პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) დღისით 10—58
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექტ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ერთზე მეტჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ამხ. ლიტვინოვის საუბარი შტრეზემანთან.
— იტალია-თურქეთის მოლაპარაკება.
— ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვრის დაკეტვა.
— რუმინეთმა ამერიკისაგან მიიღო სესხი.
— საქსონიის ლითონის მრეწველობა გადაწყვიტა ლოკაუტი გამოუცხადონ 200 ათას მუშას.
— კანტონში სიკვდილით დასაჯეს 303 კომუნისტი.
— კანონი კომუნისტების წინააღმდეგ საბერძნეთში.
— ავღანისტანის ფადიშახი მოსკოვში მიემგზავრება.
— დაიხურა თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პლენუმი.

შაბათი, 7 აპრილი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 81 (2124)

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა
აპრილისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საფრანგეთის ავანტიურის დამარცხება

დღევანდელი ცნობების თანახმად, საბჭოთა ოქრო ათი მილიონი მანეთის რაოდენობით ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებიდან უკვე გადმოიგზავნა გერმანიის საგარანტიო ბანკის მისამართით. ნიუ-იორკის ბანკებმა, სადაც ჩვენი ოქრო ინახებოდა, დამაკმაყოფილებლად სცნეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის განმარტება იმის შესახებ, რომ ეს ოქრო მოპოვებულია რევოლიუციის შემდეგ და ეკუთვნის საბჭოთა კავშირს, ხოლო საფრანგეთის ბანკის პრეტენზიები, თითქო ხსენებული ოქრო მის კუთვნილებას შეადგენს, უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. საგულისხმოა, რომ რუმინეთმაც წამოყო თავი და მანაც გაიშვირა ხელი ჩვენი ოქროსაკენ. ნიუ-იორკის ბანკებს რუმინეთის პრეტენზიისათვის ანგარიშიც არ გაუწევიათ.

ინციდენტი საბჭოთა ოქროს გარშემო ამით მაინც ამოწურული არ არის. საფრანგეთის ბანკს სარჩელი აქვს აღძრული ნიუ-იორკის სასამართლოში, რომელსაც საქმე ჯერ არ გაურჩევია. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორ მტრულადაც არ უნდა იყოს განწყობილი ბურჟუაზიული სასამართლო პროლეტარიატის სახელმწიფოსადმი და როგორადაც არ უნდა იყოს ის „ობიექტივობას" მოკლებული, ის მაინც ვერ გაბედავს საფრანგეთის ბანკის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანას. და რომ ეს ასე მოხდება, ამას თითქო გრძნობს საფრანგეთის ბანკიც, რომელიც არ ცდილა ხელი შეეშალა საბჭოთა ოქროს გადმოგზავნისათვის, ვინაიდან ეს მოითხოვდა საწინდარის სახით მნიშვნელოვან თანხის შეტანას და შექმნიდა საფრანგეთის ბანკისათვის მატერიალურ ხასიათის რისკს იმ შემთხვევაში, თუ ის სარჩელს წააგებდა. ეს ფაქტი და ნიუ-იორკელ ბანკების ზევით აღნიშნული პოზიცია უკვე ნიშნავს საფრანგეთის ბანკის ავანტიურის დამარცხებას.

მართლაც, რა არგუმენტებს აყენებს საფრანგეთის ბანკი თავის პრეტენზიების გასამართლებლად? ნიუ-იორკში გადაგზავნილი საბჭოთა ოქრო ის ოქროა, რომელიც საფრანგეთის ბანკს, ყოფ. რუსეთის ბანკში ჰქონდა შეტანილი. მაგრამ უტყუარი ფაქტი წინააღმდეგს მეტყველებს, სახელდობრ იმას, რომ ეს ოქრო ამოღებულია საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამგვარად, უფლებრივი თვალსაზრისით საფრანგეთის ბანკის არგუმენტაციის უსაფუძვლობა აშკარაა. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფო ბანკი სრულებით არ არის პასუხისმგებელი მეფის ბანკის ოპერაციებისათვის.

გაცილებით უფრო საყურადღებოა საქმის პოლიტიკური მხარე. ჩვენ აქ გვერდს ავუვლით იმ საკითხს, რომ ნიუ-იორკის სასამართლოს არ ჰქონდა უფლება საფრანგეთის ბანკის სარჩელი მიეღო განსახილველად, რამდენადაც საქმე ეხება მესამე სახელმწიფოს, მით უფრო ისეთ სახელმწიფოს, რომელთანაც ჩრდილოეთ-ამერიკის შტატები დიპლომატიურ დამოკიდებულებაში არ იმყოფება. საბჭოთა რესპუბლიკა, რა თქმა უნდა, ამერიკის თუ რომელიმე სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნის სასამართლოს არ ექვემდებარება. ამერიკის სასამართლომ თავისთვის სრულიად შეუფერებელი, მის კომპეტენციის გარეშე მდგარი საქმე იკისრა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ.

როგორი იქნება მისი გადაწყვეტილება? აშკარაა, ეს გადაწყვეტილება თავისი შედეგით ოდნავადაც არ ამოიწურება მარტო იმით, მიაკუთვნებს თუ არა საფრანგეთის ბანკს ათ მილიონ საბჭოთა ოქროს, არამედ საკითხი ასე დგას: სურს თუ არა ამერიკას საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაგრძელება. თუ ნიუ-იორკის შტატის სასამართლო გამოიტანს დადგენილებას საფრანგეთის ბანკის სასარგებლოდ, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ სახიფათოა და შეუძლებელიცაა ამერიკასთან აღებ-მიცემობა, ვინაიდან რა გარანტიაა, რომ შემდეგშიაც ასეთი შემთხვევა არ განმეორდება და ამერიკაში გადაგზავნილ საბჭოთა ფულს თუ საქონელს კვლავ არ დაადებენ ხელს საფრანგეთის ბანკისთანა მტაცებლები. ასეთი დადგენილება იქნება იმ ურთიერთ ნდობის ძირფესვიანად შერყევა, რომელიც ძირითადი პირობაა მხარეთა საქმიანი დამოკიდებულებისათვის.

საბჭოთა კავშირის ეკონომიური გარიყვის მოტრფიალენი სულ იმას გაიძახიან, რომ თითქო საშიშია საბჭოთა კავშირში კაპიტალების დაბანდება, მისთვის კრედიტების გახსნა და სხ., რადგან საბჭოთა მთავრობა თავის სიტყვას არ შეასრულებს და უცხოელ კაპიტალისტებს, რომელნიც საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებენ, ამაზე დაბანდებული კაპიტალი დაეკარგებათო. ზედმეტია იმის გაბათილება, რომ ეს პროვოკაციული ჭორია. არ არის არც ერთი ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა მთავრობას თავის თავზე ნაკისრი ვალდებულებანი დაერღვიოს და არ შეესრულებინოს. სამაგიეროდ ჩვენ ვიცით ბევრი შემთხვევები, როცა იმპერიალისტები ავაზაკური გზით ცდილობენ ჩვენი ქონების ხელში ჩაგდებას და ამით აფერხებენ ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებას საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებ შორის. საბჭოთა ოქროს ისტორიაც ამას ადასტურებს. და ვიმეორებთ, თუ ამერიკის სასამართლო ამ ოქროს საფრანგეთის ბანკს მიუსჯის, ამით ლახვარს ჩასცემს ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის საქმეს.

აქედან, ჩვენ გვგონია, რომ ნიუ-იორკის სასამართლო უარყოფს საფრანგეთის ბანკის თავხედურ პრეტენზიებს. ამას მოითხოვს ამერიკის ეკონომიური ინტერესები: ამერიკა გასაღების კრიზისს განიცდის და მას უაღრესად ესაჭიროება საბჭოთა ბაზარი. საფრანგეთის პრეტენზიები მიმართულია არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ამერიკის წინააღმდეგაც. ამატომაც საეჭვოა ამერიკის გონიერ წრეებმა დაუშვან ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის ჩაშლა, რასაც უეჭველად გამოიწვევდა საფრანგეთისათვის საბჭოთა ოქროს მიკუთვნება ნიუ-იორკის სასამართლოს მიერ. ნიუ-იორკელ ბანკების ზევით აღნიშნული პოზიცია იმის მაჩვენებელია, რომ საფრანგეთის სარჩელი არ იქნება დაკმაყოფილებული.

მაგრამ ამით მაინც არ გაწყდება ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის საკითხი. ამერიკის მთავრობის უცნაური მოქმედება, რომელიც იხატება საბჭოთა ოქროს მიღებაზე უარის თქმაში, უაღრესად აფერხებს ამ ვაჭრობის განვითარებას. ბოლო დროს საბჭოთა კავშირთან დაახლოებით დაინტერესებული ამერიკელი კაპიტალისტური ჯგუფები და მათი ზეგავლენით მთავრობის ზოგიერთი წრეებიც თითქო იმ აზრს ადგებიან, რომ საჭიროა გაადვილდეს მხარეთა აღებ-მიცემობის საქმე. და ეს თვალსაზრისი ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკის ეკონომიკა დიდად დაზარალდება.

ინგლისი ემუქრება ეგვიპტეს

ინგლისის კონსერვატორთა მთავრობა გადაჭრით უარყოფს ეგვიპტის მთავრობის მოთხოვნილებებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნილებები მინიმალურია. ინგლისი „პრინციპიალურად" სცნობს ეგვიპტის დამოუკიდებლობას, მაგრამ ერთგვარი პირობით. ინგლისი იტოვებს შემდეგ უფლებებს: მიმოსვლის საიმპერიო გზების უზრუნველყოფას ეგვიპტეში, ეგვიპტის „დაცვა" უცხო ძალის ყოველგვარ თავდასხმისაგან, უცხოელთა პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩარევისაგან. „ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესების დაცვა" და სუდანის თვითმმართველობის უზრუნველყოფა. აჰა არის ჩამოყალიბებული დიდი ბრიტანეთის უფლებები 1922 წლის დეკლარაციაში ეგვიპტის „დამოუკიდებლობის" ცნობის შესახებ. საკმარისია განვიხილოთ ინგლისის დეკლარაციაში წამოყენებული ეს ფარისეველური დიპლომატიური პირობები, რომ აშკარა გახდეს ბრიტანეთის იმპერიალიზმის ნამდვილი ზრახვები. მიმოსვლის საიმპერიო გზების უზრუნველყოფა და ეგვიპტის „დაცვა" ნიშნავს ინგლისის სამხედრო ძალების დატოვებას ეგვიპტეში, მაშასადამე, ინგლისელთა ოკუპაციის განგრძობას. ერთად ერთი „დათმობა", რომელზედაც მოლაპარაკების დროს დასთანხმდა ინგლისის უმაღლესი კომისარი, მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისის ჯარები დაბანაკებული იქნება არა მთელს ქვეყანაში, არამედ მხოლოდ სუეცის არხის ზონაში (საიდანაც ისინი ყოველწუთში შეიძლება გაგზავნილ იქნენ ეგვიპტის ყველა კუთხეებში).

შემდეგ დიდძლიერი ზრუნვა უცხო ძალის ჩარევის დაუშვებლობის შესახებ ნიშნავს კონტროლს ეგვიპტის საგარეო პოლიტიკაზე. ინგლისი თანახმაა შეიტანოს ხელშეკრულებაში მუხლი, რომელშიაც სცნობს ეგვიპტის უფლებას დასდოს შეთანხმება ყველა სახელმწიფოებთან. მაგრამ ეს ხომ ბრიტანეთის დიპლომატიური ფარისევლობის სტანდარტული ნიმუშია, ვინაიდან ამ მუხლს მისდევს „მცირე შენიშვნა", რომლის მიხედვით ასეთი ხელშეკრულებები მოითხოვს „ინგლისის თანხმობას და დასტურს".

არ არის გასაკვირი, რომ ინგლისის უმაღლეს კომისარის კარნახით შედგენილმა ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების პროექტმა ისეთი აღშფოთება გამოიწვია ეგვიპტეში, რომ სერვატ-ფაშას მთავრობა, რომელიც თითქმის დასთანხმდა კაპიტულიაციაზე, იძულებული გახდა გადამდგარიყო. ნახაზ-ფაშას ახალი მთავრობა სცდილობს გამონახოს საშუალო ხაზი ეგვიპტის ნაციონალური წრეების მისწრაფებებსა და ინგლისის იმპერიალიზმის ძალმომრეობითი მიზნების შორის. მაგრამ ასეთი პოლიტიკა ჯერ კიდევ ზაგლულის დროს დამარცხდა სავსებით. სიტყვა ეხლა ეკუთვნის დაბალ ფენებს — მუშა-ფელახებს და მათთან დაკავშირებულ რევოლიუციონურ ინტელიგენციას.

„პრავდა"-ს მიმოხილვიდან, 6 აპრილი.

საფრანგეთის ბანკს შანტაჟი არ გაუვიდა

საბჭოთა ოქრო შეერთებული შტატებიდან ბერლინში დააბრუნეს

გერმანიის პრესის ცნობები პოლონეთის საომარი მზადების შესახებ ლიტვის წინააღმდეგ

საბჭოთა ოქრო უკან დააბრუნეს

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. გერმანიის საგარანტიო ბანკის ინსტრუქციის თანახმად, ნიუ-იორკის ორმა ბანკმა 5 აპრილს უკანვე გააგზავნა გერმანიაში 5 მილ. დოლარად ღირებული საბჭოთა ოქრო. ამერიკის ბანკებმა საფრანგეთის ბანკს მოსთხოვეს იმის დამტკიცება, რომ ნიუ-იორკში გაგზავნილი ოქრო სწორედ ის ოქროა, რომელიც საფრანგეთის ბანკმა დეპოზიტში შეიტანა პეტროგრადში რევოლიუციამდე. საფრანგეთის ბანკის განცხადება სცნეს დაუსაბუთებლად. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკმა წარადგინა დამაკმაყოფილებელი გარანტიები იმისა, რომ ნიუ-იორკში გაგზავნილი ოქრო ამოღებულია რევოლიუციის შემდეგ. ამატომ ნიუ-იორკის ბანკები დასთანხმდნენ გაეგზავნათ ოქრო გერმანიაში, მიუხედავად საფრანგეთის ბანკის მიერ აღძრულ სარჩელისა, რომელიც განხილული იქნება შემდეგში. საფრანგეთის ბანკი არ ცდილა შეეჩერებია ოქროს გაგზავნა, ვინაიდან ამისთვის საჭირო იყო დიდი თანხის შეტანა გირაოს სახით, რაც, როგორც ჩანს, საფრანგეთის ბანკმა არ ისურვა.

რაც შეეხება რუმინეთის სარჩელს, რომელიც დღემდე არაა წარდგენილი, ნიუ-იორკის ბანკებს არ გაუწევიათ მისთვის ანგარიში. (ადს).

პოლონეთის საომარი მზადება
ლიტვის წინააღმდეგ

ვარშავა, 5 აპრილი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ვარშაველმა კორესპონდენტმა ბერლინში გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც აღნიშნავს პოლონეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ წრეებში გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ პოლონეთს ზაფხულში განზრახული აქვს გაილაშქროს ლიტვის წინააღმდეგ. ოფიციოზური „ეპოკა" და „კურიერ პორანი" კატეგორიულად უარყოფენ ამ ხმებს და „ცუდი ღირსების ჭორებს" უწოდებენ. (ადს)

ბერლინი, 5 აპრილი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ვარშაველი კორესპონდენტი იუწყება ხმებს იმის შესახებ, რომ პოლონეთი ემზადება ომისათვის ლიტვის წინააღმდეგ. კორესპონდენტის სიტყვით, ამ ხმებს ვარშავის სამეურნეო წრეებში მეტად სერიოზულად ეპყრობიან, რასაც მოწმობს ამ უკანასკნელ დროს ვარშავის ბირჟაზე შექმნილი ნერვიული განწყობილება. ოფიციალურ წრეებში ამ ხმებს კატეგორიულად უარყოფენ. მიუხედავად იმისა, კორესპონდენტის სიტყვით, ეს ცნობა ემყარება როგორც პოლიტიკაში საკმაოდ ავტორიტეტულ პირის განცხადებას ინტიმურ წრეში. ვარშავაში შექმნილ ნერვიულ განწყობილების ერთ-ერთ ნიშანს ხედავენ აგრეთვე იმაში, რომ პოლონეთი იძენს პურს უცხოეთში და პოლონეთის საფინანსო ბაზარზე სწრაფად ჰქრება უცხოეთის ვალიუტა, რომელსაც სახელმწიფო ბანკი იძენს.

ამხ. ლიტვინოვის საუბარი შტრეზემანთან

ბერლინი, 5 აპრილი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „შტრეზემანმა მიიღო ლიტვინოვი, რომელსაც თან ახლდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბერლინში კრესტინსკი. შტრეზემანსა და ლიტვინოვს შორის გაიმართა ხანგრძლივი საუბარი. პოლიტიკური წრეების კერძო ცნობების მიხედვით, საუბარი შეეხო რუსეთ-გერმანიის პოლიტიკისა და საერთოდ აღმოსავლეთ პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს. საუბარში შეეხნენ აგრეთვე გერმანელ ინჟინერების დაპატიმრების საკითხს, მაგრამ უშედეგოდ, ვინაიდან ლიტვინოვს, რომელიც ჟენევიდან დაბრუნდა, არა აქვს საჭირო ინფორმაცია". (ადს).

ჩანძო-ლინის ჯარების დამარცხება

მუკდენელების დამარცხება

პეკინი, 5 აპრილი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო გომინი იუწყება, რომ ფინ-იუი-სიანის ჯარებმა ცზეჩჟოუს რაიონში (ჩჟილის სამხრეთ ნაწილში, ჩჟილისა, ხენანისა და შანხის საზღვრის მახლობლად) დაამარცხეს მუკდენის ჯარები და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და ტყვეები. (ადს).

კანტონში გრძელდება მასიური დაპატიმრება

შანხაი, 5 აპრილი. გაზეთ „შანხაი ტაიმს"-ის ცნობით, კანტონში გრძელდება რევოლიუციონერების მასიური დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა. ქალაქის სამხედრო ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა 230 კაცი, რომელთაც „კომუნისტური შეთქმულების" მოწყობა ბრალდებოდათ. (ადს).

კიდევ 303 მკვლელობა კანტონში

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. „ასოშიეტედ პრეს" იუწყება, რომ კანტონის ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა კიდევ 303 კომუნისტი. (ადს).

კანონი კომუნისტების წინააღმდეგ საბერძნეთში

ვენა, 5 აპრილი. ამ დღეებში საბერძნეთის პარლამენტში მთავრობა შეიტანს კანონპროექტს კომუნისტების წინააღმდეგ. პროექტი არსებულ სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულისათვის ითვალისწინებს 5 წლამდე დაპატიმრებას და აგრეთვე სასჯელის მკაცრ ზომებს აკრძალულ კრებების მონაწილეთათვის. ოფიცრები, ჯარისკაცები, ჟანდარმები და ფლოტის მოსამსახურეები აღნიშნულ დანაშაულისათვის მიცემული იქნებიან სამხედრო სასამართლოში. საბერძნეთის პოლიცია განაგრძობს კომუნისტების დევნას. პოლიცია გაზეთების საშუალებით ავრცელებს ცნობებს, რომ თითქოს სალონიკაში ჩავიდნენ „მოსკოვის საიდუმლო აგენტები", რომლებსაც აქვთ „დიდი დავალებანი" და დიდძალი თანხები და რომლებიც, თითქოს, 1 მაისისათვის ამზადებენ „აჯანყებას ბალკანეთის მთელ ნახევარ კუნძულზე", იმ მიზნით, რომ „მაკედონიას მოუპოვონ ავტონომია". (ადს).

იტალია თურქეთის მოლაპარაკება

პარიზი, 5 აპრილი. „ტან"-ის მილანელი კორესპონდენტის ცნობით, მუსოლინისა და თურქეთის გარეშე საქმეთა მინისტრს რუშდი-ბეის შორის გამართულ მოლაპარაკების დროს, რასაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელის ჟენევიდან დაბრუნების შემდეგ, ეხებოდა შემდეგ საკითხებს: იტალია-თურქეთის სავაჭრო ხელშეკრულების შემუშავება, იტალიის კაპიტალების მონაწილეობა თურქეთის საზოგადოებრივ სამუშაოთათვის ფინანსების მიწოდებაში, იტალიის ტეხნიკოსების გამოყენება თურქეთში და თურქეთის დაკვეთები იტალიის მრეწველობას.

„ეჭვს გარეშეა, — იუწყება კორესპონდენტი, — რომ მუსოლინი ისახავს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ მიზნებს". (ადს).

სესხი რუმინეთს

ვენა, 5 აპრილი. ბუქარესტის გაზეთ „დიმინიატა"-ს ცნობით რუმინეთის მთავრობის მოლაპარაკება ამერიკელ ფინანსისტთა ჯგუფ ბლერთან რუმინეთისათვის სესხის მიცემის შესახებ წარმატებით დამთავრდა. სესხის პირველი ნაწილი 50 მილიონ დოლარის რაოდენობით გაცემული იქნება 1 სექტემბრისათვის. (ადს).

კელოგის უარყოფა.

ვაშინგტონი, 5 აპრილი. კელოგი უარყოფს ცნობას, რომ რუმინეთისათვის სესხის მიცემის საკითხზე მოლაპარაკების დროს შეეხნენ რუმინეთში ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის საკითხს; კელოგმა განაცხადა, რომ მას არასოდეს არ განუცხადებია პროტესტი რუმინელ მოქალაქეთა მიმართ ცუდი მოპყრობის წინააღმდეგ.

ავღანისტანის ფადიშახი
მოემგზავრება საბჭ. კავშირში

ლონდონი, 5 აპრილი. როგორც რეიტერი იუწყება, ავღანისტანის ფადიშახი თავისი მეუღლით ლონდონიდან გაემგზავრა პარიზში, სადაც ისინი ცოტა ხნით დარჩებიან და შემდეგ გაემგზავრებიან ბერლინში და ვარშავაში, აქედან კი—მოსკოვსა და ანგორაში. (ადს).

ეკლესიის გამოყოფა
სახელმწიფოდან თურქეთში

ანგორა, 5 აპრილი. სახალხო პარტიამ მოიწონა წინადადება. — შეტანილ იქნეს კონსტიტუციაში ცვლილებები სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის პრინციპის სავსებით განსახორციელებლად. (ადს).

მელითონეთა ლოკაუტი

ბერლინი, 6 აპრილი. საქსონიის ლითონის მრეწველობის მწარმოებელთა კავშირების გაერთიანებამ გადასწყვიტა ლოკაუტი გამოუცხადოს გაერთიანების წევრთა ყველა წარმოებების მუშებს. ლოკაუტი შეეხება 200.000-მდე მელითონეს. (ადს).

ხელმეორედ აირჩიეს

ლონდონი, 5 აპრილი. მანქანათ მშენებელთა გაერთიანებული კავშირის რეაქციონური ბელადი ბროუნლი კვლავ აირჩიეს კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე. მან მიიღო 26.076 ხმა. უმცირესობის მოძრაობის კანდიდატმა ტანერმა მიიღო 13.476 ხმა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 47.000 კაცმა. სულ კავშირში ირიცხება 192.000 წევრი (ადს).

ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის ურთიერთობის გამწვავება

ალბანეთის საზღვარის დახურვა.

ვენა, 5 აპრილი. სამხრეთ-სლავიის პრესის ცნობით, ალბანეთის საზღვარი დახურულია არა მარტო ოხრიდის სანაპირო პუნქტში (სამხრეთ სერბიაში), არამედ აგრეთვე ალბანეთ- სამხრეთ სლავიის საზღვარის მთელ ხაზზე. ამის გამო სამხრეთ სლავიის ხელისუფლებამ შესწყვიტა ალბანელთა პასპორტების შემოწმება.

პრესის ცნობით, ინგლისის და საფრანგეთის ელჩები ბელგრადში სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა სამინისტროს შეეკითხენ იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობაა სანაპირო რაიონებში. სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ალბანეთის ხელისუფლება საზღვრების დახურვას ატარებს მეტად მკაცრ ფორმებში, მაგრამ სამხრეთ-სლავიის ხელისუფლებამ მიიღო სათანადო ზომები, რათა აცილებულ იქნას არასასურველი ინციდენტი სამხრეთ სლავიის ტერიტორიის სანაპირო ზონაში. სამხრეთ-სლავიის სანაპირო ხელისუფლებას მიეცა განკარგულება თვალყური ადევნოს ალბანელ საეჭვო ელემენტებს, და არ გადაუშვან ისინი საზღვარზე.

ბელგრადში ჩამოვიდა სამხრეთ-სლავიის ელჩი სოფიაში ნეშიჩი. ნეშიჩის ჩამოსვლა დაკავშირებულია ალბანეთ-სამხრეთ სლავიის საზღვარის დახურვასთან. (ადს).

ვენა, 5 აპრილი. ალბანეთის ოფიციოზური პრეს - ბიურო უარყოფს ბელგრადის პრესის ცნობას იმის შესახებ, რომ სამხრეთ სლავია-ალბანეთის საზღვარი დახურულია იმ მიზნით, „რომ დაფარონ მაკედონელ აჯანყებულთა მზადება სამხრეთ-სლავიაზე თავდასხმისათვის". პრეს-ბიურო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალბანეთის მთავრობა მოქმედებდა თანახმად საერთაშორისო შეთანხმებისა ეპიდემიასთან ბრძოლის შესახებ. (ადს).

სამხრეთ - სლავიის პრესის მკაცრი გამოსვლა.

ვენა, 5 აპრილი. სამხრეთ-სლავიის პრესა მკაცრად ილაშქრებს ალბანეთის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც დახურა ალბანეთ-სამხ. სლავიის საზღვარი. გაზ. აღნიშნავენ, რომ საზღვრის დაკეტვა მით უფრო პროვოკაციული გამოწვევაა სამხრეთ-სლავიის, რომ სამხრეთ-სლავიის საქმეთა ახალმა რწმუნებულმა ტირანაში ზახაროვიჩმა სწორედ წინადღით ჩააბარა ალბანეთის მთავრობას რწმუნების სიგელები, რის გამოც ფორმალურად უნდა მოგვარებულიყო ის კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა შარშან სამხრეთ-სლავიის ტირანის საელჩოს დრაგომან დიურაშკოვიჩის დაპატიმრების გამო.

მთავრობის რადიკალური პარტიის ორგანო „სამოუპრავა" სწერს, რომ სამხრეთ-სლავიის არავითარი მტრული ნაბიჯი არ გადაუდგამს ალბანეთის მიმართ. სინამდვილეს არ შეეფერება ცნობა ტიფის ეპიდემიის შესახებ, რომელიც თითქოს მძვინვარებს სამხრეთ-სლავიის სანაპირო ზოლში. ამიტომ საზღვრის დაკეტვა სამხრეთ-სლავიამ უნდა შეაფასოს, როგორც მტრული აქტი, რომელსაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს შეიარაღებულ კონფლიქტის წინ.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ორგანო „პრავდა" აცხადებს, რომ ალბანეთის საზღვარზე, მაკედონელ მეამბოხეთა მოძრაობის გარდა, ხდება ალბანეთის რეგულიარული ჯარების თავმოყრა. გაზეთის სიტყვით, ალბანეთის მთავრობამ საზღვრები სწორედ იმიტომ დაკეტა, რომ დაეფარა ეს სამხედრო სამზადისი. (ადს).

ინდოელების დევნა

პარიზი, 5 აპრილი. „პტი ჟურნალი" იუწყება, რომ ცეცხლოვან მიწაზე სწარმოებს სისტემატიური ნადირობა ინდოელებზე. „ინდოელებზე ნადირობენ,—სწერს გაზეთი,— როგორც მხეცე ცხოველებზე. მრავალი ხნის განმავლობაში ელტის შემდეგ ინდოელებს დევნიან მათ უკანასკნელ თავშესაფარშიაც. ინდოელის ყოველ წყვილ ყურში აძლევენ გირვანქა სტერლინგს. ხოცავენ აგრეთვე ქალებს და ბავშვებს". (ადს).

კაპიტან უილკინსის გადაფრენა

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. ინგლისელი მფრინავი კაპიტანი უილკინსკი 5 აპრილს დილით გაფრინდა ბაროუ-ალიასკა-ჩრდილო-პოლიუსისაკენ. (ადს).

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 6 აპრილი. დაიხურა საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პლენუმი. საჰაერო ქიმიურ თავდაცვის საკითხში პლენუმმა საჭიროდ სცნო მიმართოს საბჭოთა მთავრობას და დაინტერესებულ დაწესებულებებს თხოვნით დაიწყოს ქიმიურ ომისაგან თავდასაცავ ზომების მიღება ყველა მნიშვნელოვან წარმოება-დაწესებულებებთან. პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ საავიაციო მშენებლობის საქმეში საზოგადოებამ საერო პლანერების მშენებლობის გარდა ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ჰაეროპლანების ბაზების მოედნების და ჰაეროდრომების აგებას ლოზუნგებით: „თვითეულ გუბერნიას და ოლქს ჰაეროდრომი და ჰაეროპლანი". მთელს საბჭოთა კავშირში უნდა გაიშალოს ჰაეროპლანების ქსელი, ხოლო მოსკოვში აგებულ უნდა იქნეს საკავშირო სამაგალითო ჰაეროკლუბი.

დასასრულ პლენუმმა აირჩია საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი 50 კაცის შემადგენლობით და საბჭოთა რუსეთის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი 40 კაცის შემადგენლობით. საბჭოთა კავშირის და საბჭოთა რუსეთის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოების თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. რიკოვი. მის მოადგილეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოში არჩეული არიან ამხ. ვოროშილოვი, უნშლიხტი და კუიბიშევი; საბჭოთა რუსეთის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოში —ამხ. უნშლიხტი, ბარანოვი, კამენევი და ლოზოვი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოში დამატებით არჩეული არიან ამხ. ელიავა, ზოლოდედი, უგაროვი, და სხვ.

პლენუმი უერთდება სწავლულ ქიმიკოსთა განცხადებას და საჭიროდ სთვლის ქიმიურ მრეწველობის განვითარების საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერების მიზნით მიიქციოს მთავრობის ყურადღება სახალხო მეურნეობის გენერალურ გეგმის გადათვალიერების აუცილებლობაზე. პლენუმმა პრეზიდიუმს დაავალა გაატაროს განმარტებითი კამპანია კაპიტალისტურ სახელმწიფოების მიერ ჟენევაში საბჭოთა წინადადებების უარყოფასთან დაკავშირებით და მიმართოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოწოდებით, რომელშიაც გამომჟღავნებული უნდა იქნეს ბურჟუაზიის ნამდვილი ზრახვები, რომლებიც მიმართულნი არიან ახალი იმპერიალისტური ომების მოწყობისაკენ.

კამპანიის გატარების დროს სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს ომის ქიმიურ საშუალებების უარყოფის პრობლემას. გორკის დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო პლენუმმა გადასწყვიტა გადასცეს წითელ არმიას 1 მაისს „მაქსიმ გორკის სახელობის" ჰაეროპლანი. (ადს).

რევოლიუციონერ მუშების საერთაშორისო თათბირი

მოსკოვი, 6 აპრილი. დამთავრდა რევოლიუციონური მუშა-ქიმიკოსების საერთაშორისო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. თათბირმა შეიმუშავა საჭირო ღონისძიებანი მუშა-ქიმიკოსების ეკონომიური ბრძოლის გასაძლიერებლად და გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მოქმედების დაწვრილებითი გეგმის შემუშავება.

მოსკოვი, 6 აპრილი. ტრანსპორტის რევოლიუციონური მუშების საერთაშორისო კონფერენციამ მოსკოვიდან მისალმების დეპეშა გაუგზავნა ინდოეთის გაფიცულ რკინისგზელებს; კონფერენცია კლასობრივ სოლიდარობას უცხადებს ინდოეთის რკინისგზელებს, რომლებიც თავისი უფლებებისათვის იბრძვიან.

საბჭოთა კავშირის, ფინეთის და ნორვეგიის პროფკავშირთა კონფერენციის გადაწყვეტილებები

მოსკოვი, 6 აპრილი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭომ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის, ნორვეგიის და ფინეთის პროფკავშირთა კონფერენციის (შეიდგა თებერვალში კოპენჰაგენში) გადაწყვეტილებანი საერთო თანამშრომლობის შესახებ. კოპენჰაგენში დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს ყოველ საჭირო შემთხვევაში მატერიალური და მორალური დახმარების გაწევას საბჭოთა კავშირის, ფინეთის და ნორვეგიის პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშებისათვის და აგრეთვე სხვა ქვეყნების მუშების ბრძოლისათვის აქტიური დახმარების აღმოჩენის ლოკაუტებისა და კონფლიქტების დროს და ბრძოლას პროფმოძრაობის მთლიანი ინტერნაციონალის შესაქმნელად. ნორვეგიის და ფინეთის პროფკავშირთა გაერთიანებები თავის თავზე იღებენ ინიციატივას მიმართონ პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაციას და პროფინტერნს წინადადებით, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციაში პროფკავშირთა ერთიანი მთლიანი ინტერნაციონალის შესაქმნელად, რომელიც იდგება რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის ბაზისზე. (ადს).

ურწმუნოთა კავშირის კონფერენცია

ხარკოვი, 6 აპრილი. აპრილის ბოლო რიცხვებში ხარკოვში გაიმართება უკრაინის ურწმუნოთა კავშირის კონფერენცია, რომელიც განიხილავს ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერების საკითხს.

როგორც ირკვევა, ანტირელიგიურ ფრონტზე ყველაფერი რიგზე არ არის. უკრაინაში ამჟამად გამოდის 11 საეკლესიო ჟურნალი, რომლის ტირაჟი უდრის 33.000 ეგზემპლიარს. ამ რელიგიურ ლიტერატურის წინააღმდეგ გამოდის მხოლოდ ერთი ანტირელიგიური ჟურნალი, რომლის ტირაჟი უდრის—6.000 ეგზემპლიარს, არაპერიოდული ანტირელიგიური ლიტერატურა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოშვებულ იქნა—95.000 ეგზემპლიარის რაოდენობით. ხოლო მორწმუნეებმა ამავე ხნის განმავლობაში გამოუშვეს 77 წიგნი და ბროშიურები 3.849.000 ეგზემპლიარის რაოდენობით. თავის ჟურნალებში და ბროშიურებში მორწმუნენი იყენებენ ურწმუნოთა საშუალებებს, თვით ლენინის ციტატებსაც კი ამახინჯებენ. რელიგიურ ჟურნალებში არის რებუსები, შარადები, მუსიკალური განყოფილება და აგრეთვე პრაქტიკული დარიგებანი ჰიგიენისა, სოფლის მეურნეობისა და სხ. დარგში. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

სოციალ-დემოკრატების კავშირი ბურჟუაზიულ პარტიებთან

ბერლინი, 6 აპრილი. ჰამბურგში, სოც.-დემოკრატები განაგრძობენ ბურჟუაზიულ პარტიებთან დაკავშირების პოლიტიკას, რაც მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ. პირველად, ჰამბურგის „სამოქალაქო საბჭოს" (პარლამენტი) თავმჯდომარის პირველ ამხანაგათ არჩეული იყო კომუნისტი—გუნდელახი. გუშინ მმართველ პარტიებში მომხდარი შეთანხმების თანახმად მოხდა თავმჯდომარის პირველი ამხანაგის ხელახალი გადარჩევა, რომელზედაც სოც.-დემოკრატებმა და ბურჟუაზიული პარტიების ხმათა უმრავლესობით „სამოქალაქო საბჭოს" თავმჯდომარის პირველ ამხანაგათ გაიყვანეს სახალხო პარტიის კანდიდატი.

სამოქალაქო საბჭოს კომფრაქციამ პროტესტი განაცხადა ხელახალი არჩევნების დანიშვნაზე და მოითხოვა მისი გაუქმება. მას შემდეგ, რაც კომფრაქციის წინადადება უარყოფილ იქნა, კომუნისტებმა „ინტერნაციონალის" სიმღერით დასტოვეს სხდომის დარბაზი. (ადს).

საბჭოთა ფეხბურთელებს არ უშვებენ

პარიზი, 6 აპრილი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადა საბჭოთა ფეხბურთელებისათვის ვიზის მიცემაზე. საბჭოთა ფეხბურთელებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ მუშათა სპორტიულ ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შეჯიბრში, რომელიც გაიმართება პარიზში. (ადს).

1 მილიონი დოლარის მანქანების შეძენა

ნიუ-იორკი, 6 აპრილი. ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოებამ („ამტორგ") შეიძინა „სოიუზ ზოლოტოს" საჭიროებისათვის 1 მილიონი დოლარის მანქანები. (ადს).

ამხ. ბოგომოლოვი მოსკოვში

მოსკოვი, 6 აპრილი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. ბოგომოლოვი. (ადს).

მაკდონალდი საბჭოთა დელეგაციის წინადადების შესახებ

ლონდონი, 6 აპრილი. მუშათა პარტიის შოტლანდიის ორგანო „ფორვარდ"-ში მაკდონალდი ეხება საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს ჟენევაში და სწერს:

„როდესაც მსჯელობაა ცხოვრების რთულ და ძნელ საკითხებზე, გარედან შემოსული კაცის ისეთი წინადადებები, რომლებიც კაბინეტში დამუშავებული და აგებულია იდეალურ პრინციპებზე, გახელებას იწვევს". (ადს).

ამხ. ლიტვინოვის დაბრუნება

მოსკოვი, 6 აპრილი. 6 აპრილს მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე განიარაღების კომისიის სესიაზე—ამხ. ლიტვინოვი. (ადს).

მაქს გელცის საქმე

ბერლინი, 6 აპრილი. მაქს გელცის დამცველებმა, რეიხსტაგის დათხოვნის წინ პრუსიის ლანდტაგში შეიტანეს ვრცელი მემორანდუმი დეპუტატებისადმი, რომელშიაც მოთხრობილია მაქს გელცის საქმის საჭიროთ გადასინჯვა. საქმის გადასინჯვის შესახებ თხოვნა გადაცემული ჰქონდა მთავრობის ორგანოს ორი თვის წინედ, მაგრამ დღემდე დამცველებს პასუხი არ მიუღიათ.

სოციალ-დემოკრატების პოზიციაა, რომლებმაც უარყვეს ამნისტია, ხელს უწყობს სამოსამართლო ხელისუფალთა მხრივ წარდგენილი თხოვნის შეუსრულებლობას. თავიანთი საქციელის გასამართლებლად სოციალ-დემოკრატები ავრცელებენ ხმებს, რომ თითქოს მაქს გელცი, რომელსაც მისჯილი აქვს სამუდამო კატორღა, თანაუგრძნობს მათ პოზიციას. ამის გამო გელცმა დეპეშით მიმართა ლანდტაგის კომუნისტ დეპუტატ გოლკეს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ სოც.-დემოკრატების ამგვარი მტკიცება მხოლოდ საარჩევნო ფანდი და სიცრუეა. (ადს).

სიტრინის მუქარა

ლონდონი, 6 აპრილი. ტრედ-იუნიონების გენერალური საბჭოს მდივანმა სიტრინმა რომელმაც ამას წინად მუქარით მიმართა მუშათა მოძრაობის მემარცხენე ჯგუფის ორგანოს „სანდეი უორკერს", რომ მას პასუხისგებაში მისცემდა ცილისწამებისათვის, ეხლა ანალოგიური მუქარით მიმართა კომპარტიის ორგანოს „უორკერ ლაიფ"-ს, რომლის გამომცემელმა ალინგ გოლაქერმა მას თავის პასუხში მიუთითა სიტრინს, რომ გაზეთი არასოდეს არ გადასულა პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობის ფარგლებს და სიტრინის, თუ ის თავს შეურაცხყოფილად სცნობს, შეუძლია [illegible] მოთავეებს.

— მაგრამ, თუ მისტერ სიტრინს,—ნათქვამია პასუხში,—მიაჩნია, რომ მისი [illegible] სასამართლოს წინაშე [illegible] მუშათა გაზეთის წინააღმდეგ, მაშინ ეჭვს გარეშე, მოსალოდნელი იქნება მოწინააღმდეგის შეხვედრისა ნაბიჯი. (ადს).

მიწისძვრა თურქეთში

ანგორა, 5 აპრილი. 5 აპრილს ღამით სმირნაში და მის მიდამოებში ადგილი ჰქონდა მიწისძვრის ბიძგებს. განუწყვეტელი წვიმა შესწყდა. (ადს).

სამძიმარი

მოსკოვი, 6 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა ქემალ-ფაშის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში გამოსთქვა სამძიმარი სმირნაში მომხდარ მიწისძვრის გამო. (ადს).

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 6 აპრილი. პროფინტერნის კონგრესმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

„რატომ შეხვდა მტრულად განიარაღების კომისია საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს? იმიტომ, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები არც კი ფიქრობენ განიარაღებაზე. განიარაღების საკითხში დამახასიათებელია გერმანიის ბურჟუაზიის პოზიცია. თუ გერმანიის წარმომადგენლები გამოდიან პაციფისტური ფრაზებით, ამ ფრაზების აზრი ასეთია—ნება გვიბოძეთ შევიარაღდეთ და მაშინ ჩვენ თქვენთან ერთად ვიქნებით საბჭოთა პროექტის წინააღმდეგო.

საერთაშორისო რეფორმიზმის პოზიცია განიარაღების საკითხებში მოასწავებს იმას, რომ მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალები თანაუგრძნობენ გაბატონებულ კლასებს, თანაუგრძნობენ იმპერიალიზმს.

ყველა ქვეყნის მუშებმა—ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში—უნდა იცოდნენ, რომ განიარაღების პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით კაპიტალისტურ წყობილების არსებობასთან, რომ ბრძოლა ომის წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა, არის ბრძოლა იმპერიალისტურ ექსპლოატაციის და საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბრძოლა განიარაღებისათვის ნიშნავს რევოლიუციონურ ბრძოლას კაპიტალისტურ წყობილების დასამხობად.

გაბატონებულ კლასებს არ სურთ განიარაღება, მაგრამ მუშათა კლასს სურს და უნდა სცდილობდეს თავის კლასობრივ მტერთა განიარაღებას.

ის ამას შესძლებს, თუ უკეთ იქნება ორგანიზაციულად დარაზმული, კლასობრივად შეგნებული და თუ თავის რიგებიდან განდევნის კაპიტალის ყველა მოკავშირეებსა და აგენტებს. (ადს).

სახანძრო ავტომშენებლობა

მოსკოვი, 6 აპრილი. შინაგან საქ. სახალხო კომისარიატთან გაიხსნა თათბირი სახანძრო ავტომშენებლობისა და სახანძრო მანქანების სტანდარტიზაციის საკითხებზე. უკანასკნელი წლის განმავლობაში გაძლიერდა საბჭოთა სახანძრო მანქანების დამზადება. 1926 წელში გამოშვებულ იქნა მხოლოდ 86 ავტომობილი, 1927 წელში—90 ავტომობილი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ყველა კომუნალურ სახანძრო რაზმებს დამატებით უნდა მიეცეს 363 ავტომობილი. (ადს).

ღარიბთა ფონდის გადიდება

მოსკოვი, 6 აპრილი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელში ფაქტიურად გატარდეს ღარიბთა ფონდის გადიდება ადგილობრივ ბიუჯეტის ხაზით და აგრეთვე კრედიტების გადიდება ღარიბთათვის.

საერთაშორისო კონგრესი საცივებელი საქმის შესახებ

მოსკოვი, 6 აპრილი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა დელეგაცია საცივებელი საქმის შესახებ მოწვეულ საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად. დელეგაციაში შედის ამხ. კუდიში (თავმჯდომარე) დრინი და ეხტრინი. კონგრესი აპრილში გაიხსნება რომში. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მრეწველობა გადადის 7 საათის სამუშაო დღეზე

მოსკოვი, 6 აპრილი. ლითონის მრეწველობის მთავარი სამმართველო და მელითონეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური კომიტეტი შეუდგა მუშაობას ლითონის მრეწველობის წარმოებათა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანისათვის. უკვე მოეწყო მთელი რიგი თათბირები სათანადო ტრესტებისა და ქარხნების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

განზრახულია პირველ რიგში 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნას ლითონზე მომუშავე უდიდესი ქარხნები, როგორიცაა: „სერპი მოლოტი", მაქს გელცის სახელობის ქარხანა, „მეტალოლამპა", „რუსოვსკი" და სხვა ასეთივე ტიპის ქარხნები.

პირველი მილიარდი მანეთი

მოსკოვი, 6 აპრილი. „ეკონომიჩესკაია გაზეტა"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია [illegible] საყურადღებო წერილი სათაურით—„პირველი მილიარდი". წერილში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ რა შედეგები გამოიღო შინაურ სესხმა საბჭოთა კავშირში.

ავტორი აღნიშნავს, რომ მოსახლეობაში დაბანდებულ თავისუფალ თანხების მობილიზაციამ საბჭოთა კავშირში საუკეთესო ნაყოფი მოიტანა. შინაური სესხის საერთო ჯამმა უკვე გადააჭარბა ერთ მილიარდ მანეთს.

ამ თანხის მთავარი ნაწილი შეკრებილია შინაური სესხისა და შემნახველ სალაროების საშუალებით.

შინაური სესხის ასეთი წარმატებანი განვითარება უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ეს გამარჯვება ჩვენ მივიღეთ მიუხედავად თეთრი გვარდიელთა „წინასწარმეტყველების" დაუსრულებელი ჩხავილისა იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა ფინანსიური პოლიტიკა ძირს უთხრის თვით საბჭოთა ხელისუფლებას და ამრიგად გამოიწვევს [illegible] მათი რეაქციის ყველა ჯურის შავ ძალებს.

წერილის ავტორის სიტყვით, შინაური სესხის ასეთი წარმატებით განვითარების დიდებითი შედეგი უკვე ყველასათვის თვალსაჩინოა. დღითი-დღე უმჯობესდება საკრედიტო ოპერაციების საქმე, კლებულობს პროცენტები სახელმწიფოდან აღებულ სესხზე, გრძელდება სესხით სარგებლობის ვადები, ამასთან ფართოვდება ფართო მასის აქტიური მონაწილეობა და კონტროლი ჩვენს საფინანსო საქმიანობაში და სხვა.

საჭიროა ამ მიღწევების შემდეგი გაძლიერება, საჭიროა საქმეებით გამოყენებულ იქნას მშრომელი მასების ის უსაზღვრო ნდობა თავის ხელისუფლებისადმი, რომელიც მათ ერთხელ კიდევ გამოიჩინეს შინაური სესხის განაღდების საქმეში.

მოსკოვის ფოსტა

მოსკოვი, 6 აპრილი. მოსკოვის ცენტრალურ ტელეგრაფმა საზღვარგარეთიდან გამოიწერა ახალი მოწყობილობანი.

უახლოეს მომავალში მოსკოვში შემოღებულ იქნება პნევმატიური ფოსტა, რომელიც შეკუმშული ჰაერის საშუალებით დიდად დააჩქარებს საფოსტო ოპერაციებს.

ამას გარდა მოსკოვში ეწყობა რადიოს სახლი, რომელიც კისრულობს მსურველებისათვის ყოველგვარი კონსულტაციის მიწოდებას, როგორიც იურიდიულ,—ისე ტეხნიკურ, მედიცინის სახოფლო-სამეურნეო და სხვა დარგებიდან.

ფოსტა-ტელეგრაფის აპარატის ამგვარი რაციონალიზაციის აუცილებლობა კარგა ხანია წამოჭრილია მოსკოვში. საფოსტო და სატელეგრაფო ოპერაციები უკანასკნელ წლების განმავლობაში არაჩვეულებრივი ტემპით იზრდება, რაც გამოწვეულია მოსახლეობის სწრაფი ზრდით. ფოსტა-ტელეგრაფის ტეხნიკური საშუალებები კი დღემდე თითქმის იგივეა, როგორიც ომამდე იყო.

უცხოეთში

4.000.000 უმუშევარი შეერთებულ შტატებში

ერთ წელიწადზე მეტია, რაც შეერთებული შტატების ბურჟუაზიის წარმომადგენლები და მათი მახანჯალები—რეფორმისტული ლიდერების სახით—ყოველ გზა-ჯვარედინზე გაჰყვირიან ამერიკის სახალხო მეურნეობის „აყვავების" შესახებ. მართალია, შეერთებული შტატების ბურჟუაზიის სიმდიდრე, შექმნილი პროლეტარიატის ხელით, თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება. ბურჟუაზიის ბატონობა მუშებზე, რომლებიც მან დაიმონავა არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც, არაჩვეულებრივად დიდია. მოქცეულს ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისა და რეფორმისტული პოლიტიკანების ქსელში, ამერიკის მუშათა კლასს დღემდე არა აქვს საკუთარი რევოლიუციონური პროფორგანიზაცია. გერმანელი და ინგლისელი რეფორმისტები შეერთებულ შტატებში გზავნიდენ დელეგაციებს, რომლებიც იქიდან დაბრუნების შემდეგ აღტაცებით მოუწოდებდენ მუშებს „წაებაძათ" „ამერიკულ მაგალითისათვის".

მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამერიკული ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა ისეთი ფაქტები, რომლებმაც გამოიჩინეს სამეურნეო „აყვავების" პირუკუმა მხარე და ამ „აყვავების" ილიუზიები გაჰფანტეს, ვით კვამლი. ნიუ-იორკის, ჩიკაგოს და მთელ რიგ სხვა დიდ ქალაქებში საქველმოქმედო დაწესებულებების და ღამის თავშესაფარების კარებთან გაჩნდა გრძელი რიგები უმუშევრების, რომლებიც ითხოვენ უფასო სადილს და ღამის გათევის უფლებას.

უმუშევართა სათადარიგო არმია განუწყვეტლივ არსებობს შეერთებულ შტატებში. არის მრეწველობის მთელი დარგები, სრულიად არასეზონური ხასიათის, სადაც მუშას მუდმივი სამუშაო მხოლოდ ნახევარი წლის განმავლობაში აქვს. მაგრამ შეერთებულ შტატებში არ არსებობს დაზღვევა სოციალური და უმუშევართა რეგისტრაცია არ სწარმოებს. გარკვევით არავინ იცის უმუშევართა სწორი რაოდენობა. და მხოლოდ მაშინ, როცა უმუშევრობა საშიშ ხასიათს იღებს, იგი იპყრობს საზოგადოებრივ ყურადღებას. ასე მოხდა ახლაც. ნიუ-იორკს არ ახსოვს ასეთი გრძელი კუდები საქველმოქმედო დაწესებულებებთან 1914 წ. შემდეგ. ჩიკაგოში უმუშევრობამ მიაღწია ისეთ ფარგლებს, რომ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში მსგავსი არ ახსოვს. ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

შრომის სამინისტრო იძულებული შეიქნა ეღიარებია, რომ მიუხედავად საავტომობილო მრეწველობის ზრდისა, ამ დარგის მუშებს შორის დიდ უმუშევრობას აქვს ადგილი. მრეწველთა ყრილობის ნაციონალურმა საბჭომ გამოიკვლია ორი ათასი ფაბრიკა და ამ გამოკვლევის საფუძველზე შეადგინა მრეწველობაში ჩაბმულ მუშების ინდექსი 1920 წლიდან. თუ 1920 წ. ნორმალურად ჩავთვლით და მხედველობაში არ მივიღებთ უმუშევართა მრავალრიცხოვან ფარულ (რეგისტრაციაში გაუტარებელ არმიას), გამოვა, რომ 1920 წ. შედარებით, შეერთებულ შტატებში ყოველი 100 მუშიდან 1921 წ. მუშაობდა 65, 1922 წ.—80, 1923—89, 1924—76, 1925—79, 1926—84; 1927 წ. იანვარში—82, აპრილში—83, აგვისტოში—79, ოქტომბერში—79, ნოემბერში—78.

ეს ცნობები ამტკიცებს, რომ 1927 წ. მომუშავე მუშების რიცხვი შეუჩერებლივ ეცემოდა და უახლოვდებოდა 1921 წ. (კრიზისის) დონეს. სამწუხაროთ არ მოიპოვება სტატისტიკური ცნობები წარსული წლის დეკემბრის და მიმდინარე წლის პირველი თვეების შესახებ, მაგრამ მიღებული დეპეშები ამტკიცებენ, რომ უმუშევრობა შეერთებულ შტატებში უფრო და უფრო მწვავდება და უმუშევართა რიცხვი უკვე 4 მილიონს სჭარბობს.

შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც დღემდე სდუმდა უმუშევრობის საკითხზე, ახლა სცდილობს უმუშევრობის გაძლიერებაში ბრალი დასდოს.... ამინდს. შრომის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „ამჟამად უმუშევრობას ფართე ხასიათი აქვს მიღებული; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ჩქარა მოისპობა, ვინაიდან სამუშაო ბევრია და მთელი საქმე ამინდშია".

კაპიტალისტების ორგანომ— „კომერ ენდ ფაინენს"-მაც კი ვერ მოითმინა ფარისევლობა და ირონიულად შენიშნა: „ამინდს ბევრ რამეს აბრალებდენ, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, იგი მხოლოდ ეხლა გამოაცხადეს დამნაშავედ უმუშევრობისათვის, რომელსაც ნაციონალური უბედურების ხასიათი აქვს მიღებული".

უკანასკნელი ცნობებით, ნიუ-იორკში შესდგა უმუშევართა კონფერენცია, რომელმაც მიიღო რეზოლიუცია შემდეგი მოთხოვნილებებით: სახელმწიფო დაზღვევა უმუშევრობისაგან, სასურსათო პუნქტების მოწყობა უმუშევართათვის, 5 დღიანი სამუშაო კვირის დაწესება. შემდეგ რეზოლიუცია მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას შეერთებული შტატების მიერ და აყენებს შეერთებული შტატების მუშათა პარტიის შექმნის ლოზუნგს.

უმუშევართა მოძრაობის ცნობილმა ხელმძღვანელმა კოქსიმ, რომელიც 1924 წ. ხელმძღვანელობდა უმუშევართა „მარშს ვაშინგტონზე" (ე. ი. უმუშევართა მსვლელობას ვაშინგტონში) ერთ-ერთ მიტინგზე განაცხადა, რომ უმუშევარნი კვლავ მოაწყობენ ასეთ „მარშს", თუ მთავრობა და კონგრესი (პარლამენტი) არ მიიღებენ ზომებს უმუშევართა დასახმარებლად და უმუშევრობასთან საბრძოლველად.

ა. ნ.

წყალდიდობა თბილისში

გუშინ, ღამის 12 საათზე, საგრძნობლად ადიდდა მტკვრის დონე. ნაშუაღამევს 12 ნახ. საათზე წყლით დაიფარა დესმონიოვის მოედნის ნაწილი. შეფერხდა რიყისაკენ მიმავალ ტრამვაის ვაგონების მოძრაობა.

მტკვარი წალეკით ემუქრება ორთაჭალის ხიდს.

ღამის ორ საათზე მტკვარი იმდენად ადიდდა, რომ მუხრანის ხიდთან ქუჩის ნაწილი დაიფარა წყლით.

მდინარის ადიდების შესახებ ცნობის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე დაუყონებლივ გამოცხადდენ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები.

გუშინვე წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ საგანგებო კომისიის განკარგულებით, მილიციამ აცნობა რიყისა და ორთაჭალის რაიონში მცხოვრებთ, რომ მათ დაუყონებლივ დასტოვონ საცხოვრებელი ბინები და გადასახლდენ მათთვის მიჩნეულ დროებით თავშესაფარში.

რიყისა და ორთაჭალის მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენათ გამოწვეული იქნა მილიციის სკოლის კურსანტები და ცხენოსანი მილიცია.

მოსალოდნელი უბედურების დროს მცხოვრებთათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად გამოიწვიეს აგრეთვე საექიმო პერსონალი.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

დღეს დილის 2 ნახ. საათზე მტკვრის ადიდება გრძელდებოდა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აფხაზეთი

წყლით სამკურნალოს მოწყობა

სოხუმი, 6 აპრილი. აფხაზეთის კურორტთა მთავარი სამმართველო შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას გაგრაში წყალით სამკურნალოს მოსაწყობად. წყალით სამკურნალოს შენობა აგებულ იქნება, როგორც დამატება პოლიკლინიკის არსებული შენობისა და ამგვარად ორივე ორგანიზაცია წარმოადგენს ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტს. მუშაობა წყალით სამკურნალოს ასაგებად აწარმოებს დაჩქარებით წესით და დამთავრდება საზაფხულო სეზონის ბოლოს. (ადს).

ბრძოლა ბავშვთა უპატრონობასთან

სოხუმი, 6 აპრილი. თბილი ამინდების დადგომის გამო აფხაზეთში თავს იყრიან მრავალი უპატრონო ბავშვები. ამის გამო აფხაზეთის ცაკმა ფართოდ განავითარა მუშაობა ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად. ამჟამად სოხუმში ეწყობა მიმღებ-განმანაწილებელი პუნქტი დეფექტიური ბავშვებისათვის. 16 მაისს აფხაზეთში ჩატარდება უპატრონო ბავშვთა დახმარების ორკვირეული. საქართველოს ცაკთან არსებულმა ბავშვთა დამხმარე კომისიამ აფხაზეთში ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლისათვის გადასდო 10.000 მან.

აჭარისტანი

ტუბერკულიოზის დისპანსერი

ბათომი, 4 აპრილი. აჭარისტანის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი ბათომში ხსნის ტუბერკულიოზის დისპანსერს სანატორიუმით, პროფილაქტიური განყოფილებით, რენტგენის კაბინეტით და სხ. დამხმარე დაწესებულებებით ყველა ახალი მეთოდების გამოსაყენებლად ტუბერკულიოზის მკურნალობის დარგში. დისპანსერს ყოველ დღიურად შეუძლია მიიღოს 100 ავადმყოფი. მოწყობილობა დისპანსერისათვის საზღვარ-გარეთიდან არის გამოწერილი. ხარჯთ-აღრიცხვა დისპანსერის გასახსნელად შედგენილია 80.000 მან. რაოდენობით. დისპანსერის გახსნა განზრახულია უახლოეს ხანში. (ადს).

აზერბეიჯანი

თევზის კერძო. სარეწაოების გამოკვლევა

ბაქო, 5 აპრილი. აზერბეიჯანის შრომის სახ. კომისარიატმა მოახდინა თევზის კერძო სარეწაოების გამოკვლევა. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ კერძო სარეწაოების პატრონები არღვევენ მუშების დაქირავების წესებს, თავის დროზე არ აძლევენ მუშებს ხელფასს და სხ. სარეწაოების ყაზარმებში, რომლებშიაც უნდა სცხოვრობდნენ ექვს-ექვსი ან შვიდ-შვიდი კაცი, სცხოვრობენ 20—30 კაცი, მუშებისათვის არ არის მოწყობილი ცალკე საწოლები. გამოკვლევის მასალა გადაეცემა შრომის საქმეთა პროკურორს. ორი სარეწაო კარადაღში და პუტში დახურულ იქნება. ოთხი მოიჯარადრე პასუხისგებაში იქნება მიცემული. (ადს).

ჯულფის რკინის გზაზე

ბაქო, 5 აპრილი. არაქსის მეორე ხიდის გახსნა ჯულფა-ბაქოს რკინის გზაზე განზრახულია 28 აპრილისათვის. ხიდი მე-92 ვერსზეა. ამ ზაფხულზე ჯულფის რკინის გზა მიყვანილი იქნება მდინარე აკერამდე. ამჟამად აკერაზე კეთდება რკინაბეტონის ხიდი, 18 თალით. დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა ხაზის გასამაგრებლად აკერას იქით. მთელ ხაზზე შენდება პატარა საგზაო შენობები. (ადს).

სომხეთი

სომხეთის სამთო. სიმდიდრენი

ერევანი, 5 აპრილი. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გეოლოგმა კარაპეტიანმა განაცხადა: „სომხეთის გასაბჭოებამდე სამთო-მადნო საქმის განვითარებას აფერხებდა საჭირო თანხების უქონლობა, მიწის საკითხის მოუწესრიგებლობა რკინის გზათა ქსელის სიმცირე, ახლა კი რესპუბლიკის სამთო მრეწველობის წინაშე ფრიად ფართო პერსპექტივები იშლება. საამშენებლო მასალის ექსპლოატაციის დიდი მნიშვნელობის გამო, სომხეთის სახ. კომისართა საბჭომ შეჰქმნა სამთო ტრესტი, ტრესტმა თავის პირველ ამოცანად დაისახა რკინის გზის სადგურების—ბამბაკისა და აირუმის რაიონში გრანიტის მადნების ექსპლოატაციის ტეხნიკური და ეკონომიური პირობების დეტალურად შესწავლა; ამის შემდეგ გადასწყდება, თუ სად უნდა სწარმოებდეს გრანიტის ექსპლოატაცია, რისთვისაც საზღვარგარეთიდან უკვე მიღებულია საჭირო მოწყობილობა.

სამთო ტრესტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს არტიქის ტუფის ექსპლოატაციის მოწესრიგება; ეს ტუფი, როგორც გაზეთებიდან ვიცით, აღიარებულია მაღალხარისხოვან საამშენებლო მასალად. წელს ნავარაუდევია დიდი თანხების გადადება რკინის გზის შტოს გასაყვანად ლენინაკანიდან არტიკში. შტოს გასაყვანად საჭირო მუშაობა დაიწყება თოვლის დადნობისთანავე. სასურველი იქნებოდა, რომ რკინის გზის შტოს გაყვანის დაწყებამდე, საფუძვლიანად შეგვესწავლა მთელი ასტიქის რაიონი მადნების გამორკვევის მიზნით და მხოლოდ ამის შემდეგ გაგვეყვანა რკ. გზა ეკონომიურად ყველაზე უფრო მიზანშეწონილი მიმართულებით.

ნავარაუდევია, რომ 5 წლის განმავლობაში არტიქის ტუფის დამუშავება გადიდებული იქნება 5 მილიონ კუბიკურ მეტრამდე ყოველწლიურად, რისთვისაც განზრახულია საგანგებოდ რკინის გზის გაყვანა ლენინაკანი—ახალქალაქი—ახალციხე—ბათომის ხაზით.

ამ რკინის გზის გაყვანა მით უფრო ადვილად განხორციელდება, რომ ამჟამად საქართველოს სახ. მეურნეობის საბჭოს შედგენილი აქვს პროექტი მდინარე თავფარავანზე (ახალქალაქის მაზრა) 100.000 ცხენის ძალიანი ჰიდროელექტრონული სადგურის ასაგებად, რომლის ენერგია შეიძლება გამოყენებულ იქნას რკინის გზის ელექტროფიკაციისათვის.

სამთო ტრესტს შეუძლია აგრეთვე ექსპლოატაცია ფერადი ტუფების და ყოველგვარი ბაზალტის, რომელიც ძველად, მიუხედავად უგზოობისა, სომხეთიდან გაჰქონდათ". (ადს).

დაჯილდოება სესხის რეალიზაციისათვის

ერევანი, 5 აპრილი. სომხეთის ფინსახკომმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის ფინსახკომის წინაშე ლენინაკანის და დელიჟანის სამაზრო საფინანსო განყოფილებების დაჯილდოების შესახებ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. მარტის მეორე ნახევრის დასაწყისისათვის დელიჟანის და ლენინაკანის მაზრებში სესხზე ხელმოწერამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა დასახულ საკონტროლო ციფრებს და სესხის რეალიზაციის კამპანია ამჟამად წარმატებით გრძელდება. (ადს).

ექსპონატები კელნის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენაზე

ერევანი, 5 აპრილი. სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ კელნის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენაზე გაგზავნა ყველა იმ ბეჭდვითი ნაწარმოებთა ნიმუშები, რომლებიც გამოცემულია სომხეთის გასაბჭოების პერიოდში. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მხატვრულ ილუსტრაციებს და საბავშვო წიგნებს. (ადს).

წყალდიდობის დაწყება

ერევანი, 5 აპრილი. სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჰიდრომეტრიულ ბიუროს ცნობებით, მარტის დასასრულს და აპრილის დამდეგს სომხეთის ყველა მდინარეებში წყლის დონემ მოიმატა. მდინარე არაქსში წყლის დონემ აიწია მეოთხედი მეტრით. წყლის ასეთი უმნიშვნელო მატება იმით აიხსნება, რომ მდინარეების სათავეებში ჯერ კიდევ დაბალი ტემპერატურაა და თოვლი სწრაფათ არ დნება. (ადს).

დელიჟანი, 5 აპრილი. დიდი წვიმების გამო ადიდდა მდინარე გოლოვინკა. 1 აპრილს წყალი ნაპირებიდან გადმოვიდა და მხოლოდ მოქალაქეთა ენერგიულ შრომით მოხერხდა სტიქიური უბედურების თავიდან აცილება. (ადს).

აღმშენებლობის გაიაფებისათვის

ა.-ფ. სახკომსაბჭოს და ა.-ფ. უმაღლეს ეკონომსაბჭოს უკანასკნელ გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ა.-ფ. ტეხნიკურ-საამშენებლო კომიტეტის მოხსენება 1926-27 წლის საამშენებლო სეზონის შედეგების შესახებ. ა.-ფ. სახკომსაბჭო და ეკონომსაბჭო თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ გას. წლის ანგარიშები აღმშენებლობის შესახებ არ იქნა შედგენილი თავის დროზე.

რესპუბლიკანურ ეკონომსაბჭოებს წინადადება მიეცა დაავალონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, შრომის სახალხო კომისარიატებს და დანარჩენ ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ საამშენებლო მუშაობას, 15 ივნისისათვის წარადგინონ საამშენებლო ტეხნიკურ კომიტეტში წარსული საამშენებლო სეზონის დაწვრილებითი ანგარიშები. ანგარიშები უნდა შეიცავდენ აღნიშვნას აღმშენებლობის ძირითად ელემენტებისას: დაბანდებულ თანხების რაოდენობა, შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა, საამშენებლო მასალით და მუშა-ხელით მომარაგების მდგომარეობა. ანგარიშებში ნაჩვენები უნდა იყვეს აგრეთვე აღმშენებლობის გაიაფების საქმეში მიღწეული შედეგები.

რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს დაევალა წარადგინონ საამშენებლო ტეხნიკურ კომიტეტში საანგარიშო ცნობები მშენებლობის შესახებ, დამტკიცებულ წესების და ფორმების მიხედვით.

რესპუბლიკანურ ეკონომსაბჭოებს წინადადება მიეცათ დაავალონ ყველა მშენებელ ორგანიზაციებს წინასწარ შეიმუშაონ გარკვეული ღონისძიებები აღმშენებლობის გასაიაფებლად და აწარმოონ განზრახული გეგმის შესრულების აღრიცხვა. შრომის ნაყოფიერების აწევის მიზნით, რესპუბლიკანურ ეკონომსაბჭოებს და სახალხო კომისარიატებს ევალება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კვალიფიციური მუშა-ხელის რაციონალურად განაწილებას.

მშენებელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცა აღმშენებლობის გაიაფების მიზნით მიიღონ ზომები ადგილობრივი საამშენებლო მასალის გამოსაყენებლად და სადეფიციტო მასალების მომჭირნეობით დასახარჯავათ.

რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, აღმასკომებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ამზადებენ საამშენებლო მასალას, წინადადება მიეცა მიიღონ გადამჭრელი ზომები მასალების გასაიაფებლათ.

მსხვილი ქალაქების აღმასკომებს დაევალა მიიღონ ზომები საამშენებლო მასალის (განსაკუთრებით ადგილობრივ დამზადებულის) გადაზიდვის გასაიაფებლათ.

რესპუბლიკანურ ეკონომსაბჭოებს დაევალა წინადადება მისცენ ყველა მშენებელ ორგანიზაციებს საამშენებლო გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინონ საამშენებლო მასალის და მუშა-ხელის ბაზარი და მუშაობა აწარმოონ ამ ბაზრის შესაძლებლობასთან შეფარდებით.

ნოხების წარმოება საქართველოში

ომამდე ნოხ-ფარდაგების წარმოება საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ომისა და რევოლიუციის პერიოდში ნოხების წარმოება, რომელსაც კუსტარული ხასიათი ჰქონდა, ორივე მაზრაში თითქმის სრულებით შეწყდა. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ამ წარმოებამ ისევ მოიკიდა ფეხი. ახალციხის სამაზრო აღმასკომმა და სამაზრო პარტ. კომიტეტის ქალთა განყოფილებამ გადასწყვიტეს ამ საქმეს ისევ ფართოდ ასპარეზი გაუხსნან. ამ მიზნით რამოდენიმე ხნის წინად ახალციხის მაზრის სოფელ წიანის, შალამის, და ტოლოშის რაიონში გაგზავნილ იქნენ სპეციალისტები იმის გამოსარკვევად, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ზემოხსენებულ სოფლებში ნოხ-ფარდაგების წარმოების საქმე. გამოირკვა, რომ ამ რაიონის გლეხ-ქალები ამზადებენ მაღალი ღირსების ნოხ-ფარდაგებს, მაგრამ მოკლებული არიან რიგიან ნედლ მასალას, კარგი ღირსების საღებავებს და სათანადო ხელმძღვანელობას. გამოირკვა აგრეთვე, რომ ამ რაიონში სრული შესაძლებლობაა იმის, რომ ნოხ-ფარდაგების წარმოებას ფართე სამრეწველო ხასიათი მიეცეს. ამისათვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ფეიქარ-ქალების შრომის არტელებში შეკავშირება. ახალციხის სამაზრო აღმასკომმა და ქალთა განყოფილებამ უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები ამ საქმის მოსაგვარებლად. გამართულია მოლაპარაკება თბილისის ორგანიზაციებთან ახალციხის მაზრის ფეიქარ-ქალებისათვის კრედიტის გახსნის, კარგი ღირსების ნედლეულის, საღებავების მიწოდების შესახებ და მათი ნაწარმოების ბაზრის გამოსანახად.

შეღავათები სოფლად საექიმო დარგში მომუშავეთათვის

სოფლად საექიმო დარგში მომუშავეთა შვილების განთავისუფლება სწავლის ფულისაგან

სოფლად სამკურნალო საქმის გასაუმჯობესებლად და საექიმო დარგში მომუშავეთა ნივთიერად უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ დადგენილების თანახმად, განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებმა გამოიმუშავეს სოფლად საექიმო დარგში მომუშავეთა შვილების სწავლის ფულისაგან განთავისუფლების გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით, სოფლად საექიმო დარგში მომუშავეთა შვილებს ენიჭებათ ყველა ის შეღავათები, რომლითაც სარგებლობენ მუშების შვილები უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში და 1-ლ და მეორე საფეხურის შრომის სკოლებში შესვლის დროს. მხოლოდ იმ პირობით, რომ საექიმო დარგის მომუშავეებს უნდა ჰქონდეს სოფლად მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა (საბჭოთა ხელისუფლების დროს).

ამავე გეგმით, ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლებში, სწავლის ფულიდან სრულებით თავისუფალი არიან სოფლად საექიმო დარგში იმ მომუშავეთა შვილები, რომელთაც სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დროს უმუშავნიათ არა ნაკლებ სამი წლისა.

ამას გარდა, სოფლად საექიმო დარგში მომუშავეთა შვილებს, შეძლებისდაგვარად, დაენიშნებათ სტიპენდიები.

კალორგოლის წარმოება

საქ. სახმედვაჭრობის ლაბორატორია შეუდგა მედიცინაში ფართო მოთხოვნილების წამლის ე. წ. კალორგოლის დამზადებას. კალორგოლი არის კალოიდალური ვერცხლი, რომელიც ითვლებოდა საიმპორტო საქონლად. მთელ საბჭოთა კავშირში, სახმედვაჭრობის ცნობით, ყოველწლიურად შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან 1000 კილოგრამი კალორგოლი. თითო კილოგრამი კალორგოლი ჯდება 250 მანეთი.

კალორგოლის დამზადება დღემდე ითვლებოდა გერმანელ სპეციალისტების საიდუმლოებათ. თბილისში სახმედვაჭრობის ლაბორატორიაში მომუშავე ქიმიკოსმა გელბუხმა დაამუშავა კალორგოლის დამზადების ახალი მეთოდი, რომლითაც დაამზადეს რამოდენიმე კილოგრამი კალორგოლი. შემდეგ ეს მედიკამენტი გაგზავნილი იყო მოსკოვის ლაბორატორიებში გასასინჯათ, საიდანაც მიღებულია დასკვნა, რომ სახმედვაჭრობის ლაბორატორიაში დამზადებული კალორგოლი არაფრით არ ჩამოუვარდება უცხოეთიდან შემოტანილს და მკურნალობის დროს იძლევა კარგ ეფექტს.

ვინაიდან კალორგოლის დასამზადებლათ საჭიროა ვერცხლი, ამიტომ, სახმედვაჭრობამ შუამდგომლობით მიმართა საკავშირო ფინსახკომს დაუთმოს მას ვერცხლი. ფინსახკომიდან მიღებულია ცნობა, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება.

საკურორტო მშენებლობა

აჭარისტანში

აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველო ზემო აჭარაში აწყობს 33 სამელიორაციო ამხანაგობას, აქედან—20-ს ხულოს მაზრაში და 13 ქედის მაზრაში. ამ მიზნისთვის აჭარისტანის სახკომსაბჭომ გადასდო 45.000 მანეთი, აქედან 30.000 მანეთი გრძელვადიანი კრედიტის სახით. სამელიორაციო ამხანაგობები აჭარისტანში პირველად ეწყობა. მუშაობის ჩასატარებლად ადგილობრივ მიემგზავრება კომისია წარ- [illegible] კავშირის და აჭარისტანის წყალთა სამმართველოს წარმომადგენელთაგან.

ტყიბულის მაღაროებში

სამუშაოების მექანიზაცია მაღაროებში

ტყიბულის მაღაროების სამმართველო შეუდგა მაღაროების ბურღვის მექანიზაციას, რომელიც ერთიორად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას. უკვე აგებულია შენობა ძლიერი კომპრესორის მოსათავსებლად და ამჟამად იდგმება კომპრესორი, რომელიც შვეციიდან არის მიღებული. მოხდა აგრეთვე ლენინგრადის ქარხნის „პნევმატიკის" მიერ ტყიბულის მაღაროებისათვის დამზადებულ მექანიკურ საბურღი-იარაღების გამოცდა ტყიბულის ქვა-ნახშირზე, რასაც მეტად ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა. მაღაროების სამმართველომ გადასწყვიტა ლენინგრადის ქარხანას კიდევ შეუკვეთოს მექანიკური საბურღი-იარაღის რამოდენიმე კომპლექტი [illegible] ნაწილებით. პირველ რიგში მექანიკური ბურღვა შემოღებულ იქნება მთავარ მაღაროებში და აღმოსავლეთ უბანში.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

სოფლის მეურნეობისთვის თანხების მისაწოდებლად გადადებულია 394.428 მან.

მიღებულია საჭირო ზომები ნათესების მავნებლებთან ბრძოლის საწარმოებლად

კრედიტები სოფლის მეურნეობისათვის

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დამტკიცა სასოფლო-სამეურნეო ბანკის პროექტი იმ 394.428 მანეთის განაწილების შესახებ, რომელიც გადადებულია საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სასოფლო-სამეურნეო ბანკს გადაასინჯოს ეს პროექტი იმ მხრივ, რომ გადიდებული იქნეს აფხაზეთის გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობებისათვის კრედიტების მიცემის კოეფიციენტა.

ვინაიდან საქართველოში სუსტადაა განვითარებული კოლექტიურ მეურნეობების ქსელი, საქართველოს სახკომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობებისათვის კრედიტების მიწოდება გადიდებული იქნეს იმ თანხის 60 პროცენტამდე, რომელიც გადადებულია ღარიბთ კოლექტიურ მეურნეობებისათვის კრედიტების მისაცემად.

ამასთანავე აუცილებლად არის ცნობილი გადიდებული იქნეს კრედიტების მიწოდება ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობათათვის ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში; კრედიტების გადიდება უნდა მოხდეს გორის, დუშეთის და სიღნაღის მაზრებისათვის მისაცემ კრედიტების შემცირების ხარჯზე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცა მიიღოს საჭირო ზომები კრედიტების თავის დროზე გაცემისათვის.

საერთო მეთვალყურეობა საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდებაზე დაკისრებული აქვს საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

ბრძოლა მინდვრის მავნებლებთან

გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი განყოფილება შეუდგა სათანადო ღონისძიებების ჩატარებას.

სიღნაღის, დუშეთის, გორის, თელავის, ქუთაისის და ახალქალაქის მაზრებში სათესლე მასალის მოსაწამლავათ დამატებით გაიგზავნა ფორმალინი.

სიღნაღის და გორის მაზრებში უკვე დაიწყო ბრძოლა მინდვრის თაგვების წინააღმდეგ.

სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა კალიების წინააღმდეგ სიღნაღის, ბორჩალოს და თბილისის მაზრებში, სადაც გასულ წელს კალიამ გაანადგურა მრავალი ნათესები. ამ მაზრებში კალიის საწინააღმდეგოთ უკვე დამზადებულია 5 ტონა თაგვის შაქარი, ერთი ვაგონი ქატო, ნახერხი და საჭირო მანქანები.

მახრის საწინააღმდეგოდ ზუგდიდის, ოზურგეთის, სენაკის და ქუთაისის მაზრებში გაიგზავნა 8 ნახ. ტონა თეთრი თაგვის შაქარი. დამზადებულია აგრეთვე ერთი ტონა თეთრი თაგვის შაქარი სხვა მაზრებში დასაგზავნათ.

გორის მაზრაში დაიწყო ბაღების მასიური მკურნალობა, რისთვისაც ადგილობრივ გაიგზავნა სპეციალური ინსტრუქტორები საჭირო მოწყობილობით და წამლეულობით. გორის მაზრაში ბაღების სამკურნალოდ გადადებულია 45.000 მანეთი.

მთელს აჭარისტანში დაწყებულია ციტრუსოვანი ბაღების მკურნალობა.

მიღებულია ზომები ვენახის ავადმყოფობის წინააღმდეგაც. ახლო ხანში დასავლეთ საქართველოში დაიწყება ვენახების სენის ე. წ. „ბუკნა"-ს წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ავადმყოფობა გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში და საფრთხეს უქადის ვენახებს.

გლეხკომები და თესვის კამპანია

ქუთაისის სამაზრო გლეხკომი მიმდინარე თესვის კამპანიაში შემდეგ მონაწილეობას იღებს: გლეხკომს აქვს 210 საკუთარი სასოფლო იარაღი, რომელიც განაწილებულია 39 სასოფლო-სამეურნეო პუნქტს შორის. პუნქტები ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებს იარაღს სანათხოეროდ აძლევენ, ხოლო შეძლებული გლეხებიდან ღებულობენ ქირას. გარდა ზემოხსენებული იარაღებისა, სამაზრო გლეხკომს სათანადო ორგანიზაციებისათვის დაკვეთილი აქვს კიდევ 200 სამეურნეო იარაღი და სამი ტრაქტორი, რომელიც მიღებისთანავე გადაეგზავნებათ პუნქტებს. სამაზრო გლეხკომს სასოფლო გლეხკომების საჭიროების დაკმაყოფილებლად შეკვეთილი აქვს 300 ფუთი შაბიამანი და გოგირდი, გლეხკომის ფონდიდან უკვე შეძენილია 2 ათასი მანეთის სიმინდის თესლი, რომელიც სამაზრო გლეხკომს განზრახული აქვს დაურიგოს ინვალიდებს და წითელარმიელების ოჯახებს, ქვრივ-ობლებსა და ღარიბ გლეხებს. სამაზრო გლეხკომის ინიციატივით, ზოგიერთ თემებში გლეხების მიწებზე ჩატარდება საჩვენებელი თესვა, გლეხკომს გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე მოაწყოს საფონდო მიწების კოლექტიური დამუშავება. მთელი მოსავალი საფონდო მიწიდან გადაეცემათ ქვრივ-ობლებსა და გაჭირვებულ გლეხებს, სამაზრო გლეხკომის მიერ ქუთაისის გლეხთა სახლში მოწვეული არიან აგრონომები, რომელნიც კითხულობენ მოხსენებებს სოფლიდან ჩამოსულ და გლეხთა სახლში დაბინავებულ გლეხებისათვის.

საგაზაფხულო თესვის კამპანია და კოლექტიური მეურნეობანი

საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში კოლმეურნეობათა მოწყობამ მიმდინარე თესვის კამპანიის პერიოდში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო: მრავალ თემებში ეწყობა სასოფლო-სამეურნეო არტელები, მიწის დამმუშავებელი და სამანქანო ამხანაგობები, რომელთა ორგანიზაციას უმთავრესად მეთაურობენ და ხელმძღვანელობენ საკრედიტო საზოგადოებანი. ამ მხრივ ყველაზე წინ დგას სიღნაღის მაზრა.

სიღნაღის მაზრა

ამჟამად სიღნაღის მაზრაში აღრიცხულია 68 სხვადასხვა სახის კოლექტიურ მეურნეობა. აქედან სასოფლო-სამეურნეო კომუნა არის—2, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა—11, სამანქანო ამხანაგობა—55. კოლექტიური სამეურნეო ორგანიზაციები ყველაზე მეტად გავრცელებულია გურჯაანის, შირაქის, ლაგოდეხის და კაჭრეთის რაიონებში. სიღნაღის მაზრის დანარჩენ რაიონებიდანაც სამაზრო აღმასკომში შედის მრავალი განცხადება, რომლებშიც გლეხები მოითხოვენ ამა თუ იმ ამხანაგობისა და არტელის ორგანიზაციის დროს ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევას. პირველ ყოვლისა, მაზრაში ფეხს იკიდებს სამანქანო ამხანაგობები, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო არტელები და მიწის დამმუშავებელი კოლექტივები. ამჟამად სამაზრო აგრონომიული განყოფილება იკვლევს კოლექტივების მდგომარეობას და ეწევა მუშაობას ახალ ამხანაგობათა ჩამოსაყალიბებლად. უახლოეს კვირეებში დაიწყება მუშაობა კოლექტივების მაწარმოებლობის დარგში.

კოლექტივების სამზადისს თესვითი კამპანიისათვის აბრკოლებს მათთვის გაღებული სესხის თავის დროზე მიუწოდებლობა, კოლექტივებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ 1927-28 წლის პირველ და მეორე კვარტალში გახსნილი კრედიტი. სესხის გაცემის დროს საკრედიტო ამხანაგობები კოლმეურნეობისაგან მოითხოვენ საორგანიზაციო-საწარმოო გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის წარდგენას. გვიანდება აგრეთვე კოლმეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდება.

ქუთაისის მაზრა

1928 წლამდე ქუთაისის მაზრაში არ ყოფილა არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი. მიმდინარე თესვის კამპანიის წინ მაზრაში პირველად ჩამოყალიბდა და მუშაობა დაიწყო ოთხმა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ შემდეგ სოფლებში: კუხში, გოჩა-ჯიხაიში, გამოჩინებულისა და ბაღდათში. სხვებს შორის ყურადღებას იპყრობს ბაღდათის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „განთიადი", რომელიც ამჟამად აწყობს ამერიკული ვაზის სანერგე [illegible] სადგურით. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ქუთაისის ბანკის განყოფილებამ კოლექტივს მისცა სესხი 5 ათასი მანეთის რაოდენობით, ხოლო ბაღდათის საკრედიტო ამხანაგობამ კოლექტივს გადასცა ერთი ტრაქტორი. ამ მოკლე ხანში კოლექტივი მოეწყობა შემდეგ ადგილებში: ხონში, დიდ-ჯიხაიშში, იანეთში, პატრიკეთში, სიმონეთში, სვირში, ოფუჩხეთში და ახალშენში.

ოზურგეთის მაზრა

კოლექტიური მეურნეობანი არტელებისა და ამხანაგობების სახით ფეხს იკიდებენ ოზურგეთის მაზრაშიაც. უკანასკნელ ხანებში ახალი სას.-სამ. არტელები მოეწყო დვაბზუსა, შემოქმედსა და ბახვში. თვითეული ამ არტელთაგანი აერთიანებს 25—30 მეურნეობას. არტელები უკვე შეუდგენ მუშაობას. მომზადებულია აგეთ მიწის ნაკვეთები ხილის ბაღების, მანდარინების და ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. არტელების მიერ წელს პირველად ამ რაიონებში გაშენებული იქნება აგრეთვე [illegible] მცენარე.

ადგილებზე

სენაკის მაზრაში

ახალსენაკი, 5 აპრილი. კარგი ამინდის გამო დაიწყო ხვნა-თესვა, ეწყობა გლეხების კოლექტივები მიწის დასახნავად და დასათესად. მაზრის დაბლობ ადგილებში იყენებენ ტრაქტორებსაც. აგროპუნქტები თავის მხრით გლეხობას აწვდიან სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და მანქანებს (ადს).

გორის მაზრაში

გორი, 5 აპრილი. თესვის კამპანიასთან დაკავშირებით აგროპუნქტებმა გაჩაღეს ფართო საგიტაციო მუშაობა გლეხობაში. ამასთან ერთად აგროპუნქტები თესლს სწმენდენ, ახარისხებენ და სწამლავენ ფორმალინით, იხსნება მევენახეობის მოკლევადიანი კურსები და სხ.

აგროპუნქტები სასწრაფოდ სწამლობენ ხეხილის ბაღებს, ამ საქმისთვის გადადებულია 60.000 მან.

მაზრას წელს სჭირდება 217.916 ფუთი სათესლე მასალა, უკვე მომარაგებულია 160.915 ფ. თესლი. თესვის კამპანიის ჩამტარებელმა სამეულმა ცენტრის წინაშე აღძრა შუამდგომლობა დანარჩენი სათესლე მასალის თავის დროზე გამოგზავნის შესახებ. (ადს).

ღარიბ გლეხობის დასახმარებლად

გლეხობა სათესლე მასალას [illegible] ხარჯავს, ღარიბ გლეხობისთვის დასარიგებლად ჩამოტანილია 1 ვაგონი სიმინდი და სამი ვაგონი ფქვილი. (ადს).

პარტიული ცხოვრება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის დახურვა

მოსკოვი, 6 აპრილი. 5 აპრილს, დილის სხდომაზე, ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმმა მოისმინა ამხ. იაროსლავსკის საინფორმაციო მოხსენება ოპოზიციის შესახებ. პლენუმმა ინფორმაცია მიიღო ცნობად. ამის შემდეგ პლენუმი დაიხურა. (ადს).

პარტიის მეორე ყრილობის მე-25 წლის თავი

მოსკოვი, 6 აპრილი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკამ საჭიროდ სცნო მოაწყოს 30 ივლისს ფართო პოლიტიკური კამპანია პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავის გამო. კამპანიის მიზანი უნდა იქნეს ლენინის და „ისკრა"-ს როლის გაშუქება პარტიის ძალების მოკრებაში და მეორე ყრილობის მომზადებაში, განმარტოს მეორე ყრილობის მნიშვნელობა, როგორც ისეთი ყრილობის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიზმს, გაშუქოს ბოლშევიზმის განვითარების ისტორიის ძირითადი ეტაპები და მისი ბრძოლა ყოველგვარი სახის ოპორტუნიზმისა და ლენინიზმის რევიზიის მოხდენის ცდების წინააღმდეგ საკავშირო კომპარტიის შიგნით. (ადს).

აქვს თუ არა უფლება კომუნისტს მიიღოს ტანტიემა

მოსკოვი, 6 აპრილი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის 1923 წლის 3 ნოემბრის დადგენილების განსავითარებლად ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პარტკოლეგია განმარტავს, რომ კომუნისტებს უფლება არა აქვთ მიიღონ ტანტიემები, ამიტომ, როდესაც არსებულ წესების თანახმად მოგების ნაწილში მოსამსახურეები ღებულობენ ტანტიემებს, კომუნისტებმა მათი ხვედრი ტანტიემა მთლიანად უნდა გადასცენ პარტიულ ურთიერთ დახმარების ფონდს. (ადს).

უჯრედის მონაწილეობა საწარმოო მუშაობაში

უჯრედის მუშაობა წარმოებისა თუ დაწესებულების საქმიანობის დარგში, უმთავრესად ატარებს ერთსა და იმავე ფორმას, რომელიც შემდეგში გამოიხატება: უჯრედი დროგამოშვებით ისმენს ადმინისტრაციის მოხსენებას წარმოებისა თუ დაწესებულების მდგომარეობის შესახებ, გამოაქვს მოხსენების გარშემო წინადადებები და ავალებს ადმინისტრაციას ან საწარმოო თათბირს ამ წინადადებათა ცხოვრებაში გატარებას.

თავისთავად უჯრედის საწარმოო მუშაობის ასეთი მეთოდი მისაღები და მიზანშეწონილია, მაგრამ ეს საკმარისი არაა. მოხსენების დროგამოშვებით მოსმენის გარდა, უჯრედი აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს წარმოებისა თუ დაწესებულების ყოველდღიურ მუშაობაში, ამისათვის საჭიროა, რომ უჯრედის სამუშაო გეგმაში წარმოების საკითხებს განსაკუთრებული ადგილი დაეთმოს. ამასთან უჯრედის საწარმოო მუშაობის გეგმა არ უნდა ატარებდეს საერთო ხასიათს, არამედ იქ კონკრეტიულად უნდა იყვეს აღნუსხული რა უნდა გაკეთდეს გეგმით გათვალისწინებულ დროის განმავლობაში და რა, რის შემდეგ უნდა მოგვარდეს.

უჯრედის გეგმის საწარმოო ნაწილის პრაქტიკული გამტარებელი უმთავრესად უნდა იყვეს საწარმოო ანუ ეკონომიური თათბირები. აქ უნდა დამუშავდეს ყველა ეს საკითხები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გატარდეს ისინი ცხოვრებაში. სინამდვილეში კი ბევრგან უჯრედის ბიურო მოწყვეტილია საწარმოო თათბირების მუშაობას. ასეთ მდგომარეობას კიდევ შეურიგდებოდით, რომ უჯრედი მტკიცედ ატარებდეს ცხოვრებაში იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კრებას გამოაქვს ადმინისტრაციის საანგარიშო მოხსენების გარშემო. ხშირად კი ასე ხდება: უჯრედს არა აქვს საკუთარი საწარმოო გეგმა, უჯრედი არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას საწარმოო თათბირების მუშაობაში, ის კმაყოფილდება ადმინისტრაციის მოხსენების გარშემო მიღებულ წინადადებებით და არ ღებულობს ზომებს, ამ წინადადებათა ცხოვრებაში გატარებისათვის, არ ახდენს გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას.

თბილისის ორგანიზაციის მთელ რიგ უჯრედებში ჩატარებულ გამოკვლევამ, ეს ნაკლი ერთხელ კიდევ ცხადჰყო. უჯრედები ბევრგან მოიკოჭლებენ საწარმოო მუშაობის დარგში. ისინი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, უფრო პოლიტიკას მისდევენ, ვიდრე საწარმოო მუშაობას. პარტიის ყურადღება ამჟამად მიქცეულია სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობის საკითხებზე. თვითეულ უჯრედმა უნდა დაისვას თავის წინაშე საკითხი, რა გააკეთა მან წარმოების გაუმჯობესების დარგში, თვითეულ უჯრედმა სისტემატიურად უნდა აწარმოოს თავის დადგენილებათა შესრულების შემოწმება საერთოდ, და კერძოდ წარმოების რაციონალიზაციის საკითხებში.

ა. ვ—ა.

რა გაკეთდა—რა უნდა გაკეთდეს

(ხონი)

ქალთა შორის მუშაობაში შედარებით წინა წლებთან დიდი მიღწევებია ქ. ხონსა და მის რაიონში, რაიონში არის სულ 11 სადელეგატო პუნქტი, 2 თვით ქ. ხონში. თვითეულ პუნქტს ჰყავს ორგანიზატორი ქალი და პროგრამის ხელმძღვანელი. რაიონის ქალთა შორის მუშაობას ხელმძღვანელობს ერთი ორგანიზატორი ქალი. დელეგატ-ქალთა რიცხვი რაიონში უდრის—380-ტს. სადელეგატო პუნქტებში მეცადინეობა სწარმოებს თვეში ორჯერ სისტემატიურად, ხოლო 1 ნახ. თვეში ერთხელ ეწყობა მასიური ქალთა კრებები. მიმდინარე წელს ქალთა შორის მუშაობაში შემდეგი მიღწევებია: ადგილებზე პარტ-ხელმძღვანელობა შედარებით წინა წლებთან მნიშვნელოვნად გაძლიერდა, სადელეგატო კრებებზე სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა, დელეგატ-ქალთა დასწრება უდრის 80—85 პროც. (გასულ წელს 50—60 პროც.), დელეგატ-ქალები მუშაობენ საბჭოს სექციებში, პიონერთა კოლექტივებში, სამკითხველოების საბჭოში და სხვა.

გამოცოცხლებულია მასიური მუშაობა და ამასთანავე გაძლიერებულია ცოცხალი კავშირი ადგილებთან.

ამ მიღწევებს, რასაკვირველია, თან ახლავს ნაკლიც, რაც გამოიხატება შემდეგში: უჯრედების წინაშე ორგანიზატორ-ქალების არა სისტემატიური ანგარიშგება, ზოგიერთ სადელეგატო პუნქტების ხელმძღვანელთა მოუმზადებლობა, საპროგრამო საკითხებთან პრაქტიკულ საკითხების ნაკლებად დაკავშირება, პრაქტიკულ სამუშაოზე წამოყენებულ დელეგატ-ქალებზე სუსტი ხელმძღვანელობა სათანადო დაწესებულებების მიერ და სხვა.

რომ მუშაობა უფრო გაძლიერდეს და ჩამოთვლილი დეფექტებიც გამოსწორდეს, საჭიროა: 1. ეწყობოდეს ორგანიზატორ-ქალთა და სადელეგატო პუნქტის პროგრამის ხელმძღვანელთა თათბირი, 2. დელეგატ-ქალთა მიერ პრაქტიკულ მუშაობის სწორად წარმოების მიზნით საჭიროა ტარდებოდეს სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი მიმაგრებულ დელეგატ-ქალებთან ერთად, 3. აღმასკომებს და რაიორგანიზატორის მიერ შესწავლილ იქნეს ქალთა და ბავშვთა კონსულტაციის მოწყობის საკითხი (იმ ადგილებში, სადაც მოიპოვება ამბულატორია და ექიმი) და აგრეთვე კარგი იქნება და აუცილებელიც შესწავლილ იქნებოდეს მეფრინველეობისა და სამეურნეო ქალთა ნადების მოწყობის საკითხიც, რადგან ამას სათანადო ნიადაგი მოეპოვება რაიონში.

ილ. ფალავა.

პარტინფორმაციის რაციონალიზაციისათვის

(მუშაობა რაიკომში)

პარტიული მუშაობა ორმაგდება და ფართოვდება. დღეს უკვე პარტიის წინაშე სდგანან დიდი საკითხები, პირველი შეხედვით შეუმჩნეველი, მოკლებული „რევოლიუციონურ ღელვილს", მაგრამ თავის შინაარსით ფრიად მნიშვნელოვანი, რომლებიც მოითხოვენ ყოველდღიურ შავ მუშაობას.

ამიტომ პარტიული აპარატის მუშაობა სათანადოთ უნდა შეიცვალოს, გაუმჯობესდეს, რათა მან შესძლოს ამ ამოცანების ცხოვრებაში გატარება და დამუშავება.

მომავალში პარტიული აპარატი უნდა ბევრად შემოკლდეს, მისი ხარჯები უნდა შემცირდეს. თითქმის აქ ერთგვარი წინააღმდეგობა არის: ერთის მხრივ მუშაობის გართულება, გაფართოვება, მეორეს მხრივ აპარატის შეკვეცა, შემცირება. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ჩვენ აპარატს ისე გარდავქმნით, რომ მან შეამციროს თავისი ხარჯები და მასთან შესძლოს ახალი მუშაობის შესრულება.

როგორ შეიძლება ამის მიღწევა? მხოლოდ პარტიული საზოგადოებრიობის მუშაობაში ჩაბმით.

ჩვენ კარგად ვიცით გამოცდილებით, რომ ის აპარატი, რომელიც დღეს რაიკომებში გვაქვს, ვერ გასწვდება მუშაობას.

ავიღოთ თუნდაც ინფორმაციის დარგი. მოდის აუარებელი ოქმები, მოხსენებები, გამოკვლევების შედეგების მასალები და სხვა.

საინფორმაციო ქ-განყოფილებაში უმეტეს შემთხვევაში მუშაობს ორი ამხანაგი. ისინი ვერ ამუშავებენ ან ვერ ასწრობენ ამ მასალების დამუშავებას, მით უმეტეს, რომ საინფორმაციო ქ-განყოფილებასთან გაერთიანებულია საღრიცხვო ქ-განყოფილება, რომლის მუშაობაც დამატებით დაეწვა ამავე განყოფილების გამგეს.

ჩვენ საჭიროდ ვცნობთ ნებაყოფლობით, შტატ-გარეშე მომუშავე ინფორმატორების ჩამოყალიბებას.

ფრიად მიზანშეწონილი იქნება რამოდენიმე (დაახლოვებით 3—4 ამხანაგის გამონახვა), რომლებიც ამ მუშაობას შეასრულებენ.

თვითეულ ინფორმატორმა იცის, რა ხასიათის მასალებს და რომელ საკითხზე ამუშავებს იგი ინფორმაციულ შეჯამებას.

ინფორმატორების მიერ დამუშავებული მასალების მიხედვით საინფორმაციო ქ-განყოფილების გამგე აკეთებს საერთო შეჯამებას, რომელიც იქნება სავსე და შინაარსიანი. ამის გარდა ინფორმატორების დახმარება დააჩქარებს ინფორმაციის შეჯამების გამომუშავებას.

ინფორმატორების გამოყოფა უნდა მოხდეს დიდი დაკვირვებით. ის ამხანაგი, რომელიც იმუშავებს ინფორმატორათ, უნდა იქნეს კარგად გასინჯული, იგი უნდა იყვეს განვითარებული და წერა-კითხვის კარგი მცოდნე, პარტიულ—საზოგადოებრივ და პოლიტიკურად განვითარებული. ინფორმატორების გამოყოფა უნდა დამტკიცდეს რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე და მათი მუშაობა უნდა ჩაითვალოს პარტიულ დატვირთვად.

ეხლა ინფორმაციის შეჯამების შესახებ. კარგად დამუშავებული ინფორმაციული შეჯამება ძალიან უწყობს ხელს პარტიულ აპარატს საკითხის გარკვევაში, მის დამუშავებაში და სათანადო დასკვნების გამოტანაში. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ასეთი სისტემის შემოღება, როგორც აუცილებელი საშუალება პარტიული აპარატისათვის მასალების მიწოდების საქმეში.

უნდა შემოღებულ იქნეს წესი, რომ ყოველ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ირჩევა რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე, აუცილებლად იქნეს დამუშავებული ინფორმაციული შეჯამება.

ასეთი წესი უკვე შემოღებულია მე-4 რაიონში და იძლევა კარგ შედეგებს. პრეზიდიუმის წევრები, რომლებიც წინასწარ ეცნობიან ამ შეჯამებას, უფრო გარკვეული არიან საკითხში და ადვილად, უფრო ჩქარა სწყვეტენ მას.

ეს წესი აადვილებს საკითხების განხილვას, აჩქარებს პარტიული მუშაობის ტემპს. ამიტომ იგი ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

წინა წერილში ჩვენ ვწერდით, რომ რაიკომი აღარ ღებულობს ოქმებს უჯრედიდან, ნაცვლად ამისა, რაიკომის საინფორმაციო ქ-განყოფილება იღებს ცოცხალ ინფორმაციას უჯრედების ინფორმატორებისაგან ან მდივნებისაგან.

ეს ინფორმაცია, რომელიც იქნება ჩაწერილი შავათ, უსისტემოთ, უნდა მოყვანილი იქნეს სისტემაში, დამუშავებული სათანადო ფორმის მიხედვით და ინფორმაციული შეჯამების სახით თეთრად დაბეჭდილი საჭირო რაოდენობით, დარიგებული ძირითადად მომუშავეებს შორის. მაშინ ყველა განყოფილებები გაეცნობა უჯრედების მუშაობას, მუშაობა იქნება ნაყოფიერი იმ მიზნით, რომ აპარატი უფრო კარგად გაეცნობა ყველა უჯრედების ნაკლოვანებებს და ადგილი არ ექნება ისეთ მოვლენებს, როდესაც ოქმში აღნიშნული ფაქტი ზოგჯერ გაურჩეველი რჩებოდა. ასეთი მეთოდი ბევრად აადვილებს მუშაობას და ამიტომ იგი მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ი. რუხაძე.

კომკავშირში

სომხეთის კომკავშირის ყრილობა

ერევანი, 5 აპრილი. სომხეთის კომკავშირის ყრილობის მე-9 და მე-10 სხდომებზე სწარმოებდა კამათი ამხ. არზუმანიანის მოხსენების გარშემო (სოფლად მუშაობა). კამათში მონაწილეობა მიიღო 30 ორატორზე მეტმა. შემდეგ მუშათა ახალგაზრდობის შრომისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ავეტისიანმა.

ამხ. ავეტისიანის მოხსენების შემდეგ ყრილობას მიესალმა საკავშირო კომკავშირის ც. კ.-ის მდივანი ამხ. გრიგორიევი. თავის სიტყვაში ამხ. გრიგორიევმა წამოაყენა ოთხი ძირითადი დებულება, რომელიც კომკავშირის ორგანიზაციების წინაშეა დასახული. პირველი: საჭიროა კომკავშირმა უდიდესი ყურადღება მიაქციოს კვალიფიციურ ახალგაზრდა პროლეტარიატის შექმნას პარტიის—მიერ წამოყენებულ მრეწველობის რაციონალიზაციის პრობლემასთან დაკავშირებით. მეორე: მკაფიო კლასობრივი ხაზი ახალგაზრდობის ხელმძღვანელობის გაძლიერებისა და კომკავშირის ზრდის მოწესრიგების საქმეში, მეტადრე სოფლად. მესამე: პოლიტგანათლების და საგიტაციო მუშაობის გაძლიერება იმ მიზნით, რომ ბრძოლა სწარმოებდეს პროლეტარიატის მიმართ მტრული იდეოლოგიის, ინდივიდუალიზმის, რელიგიის, ნაციონალიზმის და სხვათა წინააღმდეგ. მეოთხე: კომკავშირის კომიტეტების თვითმოქმედების გაძლიერება.

— ამ დარგში ჩვენ ნაკლოვანებანი გვაქვს, ამბობს ამხ. გრიგორიევი, მეტადრე ნაციონალურ რესპუბლიკებში, მაგრამ, ამასთანავე ერთად, ბევრ რამესაც მივაღწიეთ: კომკავშირის ნაციონალური ორგანიზაციები მასიურ ორგანიზაციებად გადაიქცა.

მე-10 და მე-11 სხდომებზე სწარმოებდა კამათი ამხ. ავეტისიანის მოხსენების გარშემო.

არჩევნები

ერევანი, 6 აპრილი. სომხეთის კომკავშირის ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები ყველა მოხსენებათა შესახებ. ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა სომხეთის ახალგ. ლენ. კომკავშირის ცეკას ახალი შემადგენლობა 49 წევრისა და 19 კანდიდატის რაოდენობით და სარევიზიო კომისია 9 წევრისა და 3 კანდიდატის რაოდენობით. არჩეულია დელეგაცია ამიერ-კავკასიის კომკავშირთა ყრილობაზე 66 კაცის შემადგენლობით და საკავშირო ყრილობაზე 10 კაცის შემადგენლობით. (ადს).

ცეკას პლენუმი

ერევანი, 6 აპრილი. 5 აპრილს საღამოთი გაიხსნა სომხეთის ახალგ. ლენ. კომკავშირის ახალი შემადგენლობის ცეკას პირველი პლენუმი. პლენუმზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 10 კაცის შემადგენლობით. სომხეთის კომკავშირის ცეკას მდივნად არჩეულ იქნა ამხ. მარტიროსიანი, კომკავშირთა გაზეთ „ავანგარდის" რედაქტორად—ამხ. აზნაურიანი. (ადს).

თვითდაბეგვრის საკითხები*)

(ამხ. შ. მათიკაშვილის წერილის გამო)

სოფლად კულტურულ და სამეურნეო მოთხოვნილებათა ზრდა ჩვენ წინ აყენებს საკითხს დამატებითი თანხების გამოძებნის შესახებ გარდა ბიუჯეტით გათვალისწინებულ იმ თანხებისა, რომლებიც საკმაო არ არის ხსენებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთ შემთხვევებში სოფლის მოსახლეობა მიმართავს არა სავალდებულო სახელმწიფოებრივ დაბეგვრას, ფულად ან შრომით, რაც ატარებს გლეხობის თვითდაბეგვრის ხასიათს. მიუხედავად იმისა, რომ თვითდაბეგვრის პრაქტიკა კარგი ხანია არსებობს ჩვენ სოფლებში, ის ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და მოწესრიგებული.

სოფლად თვითდაბეგვრის საკითხების მოგვარების დროს უამრავს დამახინჯებას ვხვდებით. ასე მაგალითად გატარებული თვითდაბეგვრა არ განსხვავდება სხვა სავალდებულო სახელმწიფოებრივ გადასახადისაგან. გარდა საერთო უანგარიშობისა და სხვა ამგვარ დეფექტებისა, არ ხდება იმ მოთხოვნილებათა წინასწარი გათვალისწინებაც, რომელიც განსაზღვრულ უნდა იქნას ამა თუ იმ თემის კულტურულ ან სამეურნეო საჭიროების მიხედვით. თვითდაბეგვრა ხშირათ ხდება შესაწერ თანხის წინასწარ გაუთვალისწინებლად და უგეგმოდ.

ამხ. შ. მათიკაშვილი თავის წერილში („კომუნისტი" № 73) პრინციპიალურად საკითხს სწორად აყენებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში წერილი ნათლად ვერ ითვალისწინებს იმ კორექტივებს, რომელთა შეტანა აუცილებელია, ადგილობრივი პირობების მიხედვით, საკავშირო მთავრობის აგვისტოს 1927 წ. დადგენილებაში და 23 და 10 იანვრის (1928 წ.) დამატებებში.

ეს კორექტივები უნდა გავრცელდეს შემდეგ საკითხებზე:

1) იმ მოთხოვნილებათა განსაზღვრა, რომელსაც უნდა ხმარდებოდეს თვითდაბეგვრით მიღებული საშუალებანი: ასეთებია: წყალსადენი, გზა, ხიდი, სკოლა, საავადმყოფო, თეატრი, კლუბი, სახალხო სახლი, სამკითხველო და წისქვილის შენობათა აგება და შეკეთება. სოფლის ელექტროფიკაციისა და მანქანიზაციის ხელის შეწყობა.

2) თვითდაბეგვრის საშუალებათა დახარჯვის აკრძალვა ადმინისტრატიულ და სხვა შტატების შესანახად (ხელფასი), რადგან ეს შეადგენს მხოლოდ ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის ობიექტს.

3) თვითდაბეგვრის საკითხები უნდა ისმოდეს და ირჩეოდეს თემსაბჭოს ინიციატივითა და სანქციით. ამ შემთხვევაში ამ საკითხზე კერძო ჯგუფების ინიციატივას მეტი კონტროლი უნდა გაეწიოს. თვითდაბეგვრის გაწერა, აკრეფა, დახარჯვა და სხვა უნდა დასტურდებოდეს იმ სათემო თუ სასოფლო კრების მიერ, რომელმაც გამოიტანა დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ.

4) თვითდაბეგვრის საშუალებათა განაწილება, რომელიც უნდა მოხდეს მეურნეობის შესაძლებლობის მიხედვით, უნდა დაეყრდნოს იმ პრინციპებს, რომლებიც გათვალისწინებული არიან მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებით.

5) გასულ წლებში თვითდაბეგვრის საშუალებანი საგრძნობლად დიდი იყო მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან შედარებით. მაგალითად: 1926—27 საბიუჯეტო წელს, საქართველოს ფინსახკომის ცნობით, ის წარმოადგენდა 20—25 პროც. მეტს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან შედარებით, რაც, როგორც ამხ. მათიკაშვილი აღნიშნავს ქმნიდა არა-ნორმალურ მდგომარეობას. ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მტკიცედ იქნეს განსაზღვრული გაწერის საშუალებანი, რომელიც საბიუჯეტო წლის განმავლობაში ყველა საჭიროებისათვის უნდა უდრიდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კონტინგენტის 35 პროცენტს, თანახმად საკავშირო მთავრობის სავალდებულო დადგენილებისა. ამ ფარგლებში თემსაბჭოებს შეუძლია აწარმოონ თვითდაბეგვრა ზემდგომ ორგანოების სანქციის მიუღებლად. 35 პროც. ზევით კი 100 პროცენტამდე საჭიროა მაზრაღმასკომის დასტური, ხოლო 100 პროც. ზევით (რის შემთხვევებს უსათუოდ უნდა ვერიდოთ) — სახკომსაბჭოს დასტური და დადგენილება.

ამხ. მათიკაშვილი მოითხოვს იმ რაიონებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ნაკლებია, თვითდაბეგვრის ნორმების გაზრდას. ის ამბობს: „აღვნიშნავთ რა ერთის მხრით აშკარა გადაჭარბებას ადგილებზე თვითდაბეგვრის საქმეში, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ **მოქმედი კანონით დაწესებული ნორმა არ შეეფერება მოთხოვნილებებს და საჭიროა ამ ნორმის გადიდება**. საქართველოს პირობებში ეს მით უფრო აუცილებელია, რომ, როგორც ვიცით, ჩვენში არის ისეთი თემები, (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში), რომლებზედაც მეტად უმნიშვნელო სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მოდის".

ჩემის აზრით, ასეთი მდგომარეობა გამოიწვევს თვითდაბეგვრაში ადგილობრივ ორგანოების თავაშვებულებას და ერთი ორად გაზრდის თვითდაბეგვრას, შედარებით იმასთან, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო სავალდებულო დაბეგვრით.

გარდა ამისა, ის ხელს შეუშლის ჩვენს სინამდვილეში იმ დადგენილების გატარებას, რომელიც გამოიტანა მე-15-ე პარტყრილობამ ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო. ამ დადგენილებაში კი ნათქვამია: „ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება ხელმოკლე გლეხობის (საბჭოთა კავშირის გლეხთა მეურნეობის მთელი რაოდენობის 35 პროცენტი) სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ განხორციელებულ იქნეს სრული სისწორით".

იმის მიხედვით, თავისუფლდება თუ მცირეთ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ეს თუ ის მეურნეობა, თვითდაბეგვრაც ამ წესით უნდა სწარმოებდეს. ღარიბ მეურნეობისათვის სავალდებულო სახელმწიფო დაბეგვრა და თვითდაბეგვრის საშუალებათა გაღებაც თანაბარ სიძნელეს წარმოადგენს. რისთვისაც წელს ჩვენ გვიხდებოდა საგრძნობი პროცენტის განთავისუფლება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან და შეღავათების მიცემა. მაგალითად: მიმდინარე 1927—28 საბიუჯეტო წელს: განთავისუფლებულ იქნა დაუბეგრავი მინიმუმით 193978 მცირე შეძლების გლეხთა მეურნეობა. აქედან აღმოსავლეთ საქართველოში 69.771 მეურნეობა, ე. ი. 16,3 პროც. დასავლეთ საქართველოში 124.202 მეურ. ე. ი. 28,5 პროც.

გადასახადის გაწერის შემდეგ მიეცა შეღავათები 15071 მცირე შეძლებიან მეურნეობებს — 67.531 მანეთის რაოდენობით.

აქედან აღმოსავლეთ საქართვ. — 38.835 მან.—7.500 მეურნ. დასავლეთ საქართველოში — 28.696 მ.—7.571 მეურნეობას.

ამ შეღავათებში შედის; 2 პროცენტიანი შეღავათი და ოქტომბრის დამატებითი ფონდი ღარიბ მეურნეობათათვის.

ეს ციფრები აშკარათ ამტკიცებენ იმ მაზრების სიღარიბეს და შეუძლებლობას, სადაც ამხ. მათიკაშვილს შესაძლოთ მიაჩნია თვითდაბეგვრის ნორმების გადიდება. ამიტომ აუცილებლად უნდა ავიღოთ ის საშემოსავლო და საგადასახადო ნორმები თვითდაბეგვრისათვის, რომელსაც ითვალისწინებს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი და დებულება.

ამ დამატებებთან ერთად ამხ. მათიკაშვილის წამოყენებული საკითხი უსათუოდ გათვალისწინებულ უნდა იქნას იმ კომისიის მიერ, რომელსაც ჩვენში დავალებული აქვს თვითდაბეგვრის კანონისა და დებულებათა გამომუშავება.

დღეს თვითდაბეგვრის საკითხები შესწავლის პროცესშია, როგორც ჩვენში, ისე ფედერატიულ და საკავშირო მასშტაბით.

საჭიროა ადგილობრივმა მუშაკებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი წამოყენებული საკითხების შესახებ.

გერ. ლომთათიძე.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ზესტაფონის საბჭოს სანიტარულ სექციას

ვარხნის თემსაბჭოს სექციებს არც ერთი სხდომა არ ქონდათ.—მუშაობდა მხოლოდ თემაღმასკომი

საბჭოს საანგარიშო კამპანია

ბათომი, 6 აპრილი. მკაცრი ზამთრისა და უგზობის გამო შეფერხებული საბჭოთა საანგარიშო კამპანია ახლა გაჩაღებულია და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსახლეობის ღარიბი და საშუალო ფენები. საანგარიშო კრებებზე დამსწრეთა რიცხვი დიდია, იგი აღწევს 80—90 პროცენტს. ქედის მაზრაში საანგარიშო კამპანია უკვე დამთავრდა, ხულოს და სხვა მაზრებში ამ დღეებში დამთავრდება. ქედის საბჭოს მუშაობის შემოწმების შემდეგ უკან გაწვეულია 29 დეპუტატი, რომელთა ნაცვლად ამოირჩიეს მუშაკები ღარიბთა და საშუალოთა აქტივიდან. ხელახლა არჩეულია აგრეთვე ცხემლისის სათემო აღმასკომი.

საუკეთესო სექციის კონკურსში პირველი პრემია ქედის მაზრაში მიიღო საამშენებლო სექციამ (ადს).

ზესტაფონის საბჭო

(წერილი ზესტაფონიდან)

სანიტარული სექცია

ზესტაფონის საბჭოს სანიტარულ სექციაში შედის 7 წევრი, აგრეთვე ჩაბმულია სექციის მუშაობაში 7 ექიმი და ერთი ტეხნიკი. სექციის ბიუროს არჩევის შემდეგ სექციის სხდომა შესდგა 5-ჯერ. სხდომების ხშირად მოწვევას ხელს უშლიდა ის, რომ სექციამ ადრე არ გამოყო ბიურო და მისი თავმჯდომარე, რომ სათანადო ხელმძღვანელობა გაეწია სექციისათვის და დროულად გადაეწყვიტა ქალაქისათვის საჭირო საკითხები, სექციის სხდომებზე გარჩეულია 27 საკითხი. ამ საკითხებიდან შესრულებულია ნაწილი და ნაწილზე არის მიღებული სათანადო ზომები. სექციამ ოთხჯერ მოიწვია სანიტარული კომისიის სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა საკითხები სანიტარული პირობების დაცვის შესახებ, სექციის ყველა წევრების მიერ დათვალიერებულია ქალაქის ყველა უბნები 4-ჯერ, სანიტარული მხარეების დასაცავად მასთან სექციას მიმაგრებული ჰყავს სხვადასხვა უბნებზე განაწილებით სექციის წევრები, რომლებიც მცხოვრებლებს ახსნა-განმარტებას აძლევენ სისუფთავის დაცვის შესახებ. ქალაქს არ ქონია აბანო, სექციამ ამაზე იზრუნა და მოკლე ხანში იქნა მოწყობილი. სექციამ იზრუნა ქალაქში არსებულ მცირე საწოლთან სავადმყოფოს სათანადო გადიდებისა და უფრო ხელსაყრელ და გამოსადეგ ადგილზე გადატანისათვის, რომელიც თანდათანობით ვვარდება. სავადმყოფოსთან მოწყობილია საღამოს ამბულატორია. სექციას განზრახული აქვს ამბულატორიის ფართო ბინაზე გადატანა. სექციის მიერ მოწვეული იქნა 6-ჯერ მცხოვრებთა კრება, სადაც იკითხებოდა ლექციები სხვადასხვა თემაზე.

ზესტაფონიდან გაყვანილია არხი სვირისაკენ ყანების მოსარწყავად 1923 წ., მაგრამ წყალდიდობის გამო ნაწილი გადასილულია და ნაწილში წყალია დაგუბებული, წყალი ლპება და ნიადაგს უმზადებს მალარიის გავრცელებას. სექციამ ამ საკითხს მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და ამჟამად შეტანილი აქვს წყალთა სამმართველოს 1928 წ. ბიუჯეტში, რომლის გაკეთება დაიწყება მოკლე ხანში. სექციამ ყურადღება მიაქცია ტბების ამოშრობის საკითხს. სექციის მითითებით ამჟამად სწარმოებს სურსათ-სანოვაგეზე მომუშავეთა ჯანმრთელობის გამორკვევა, რომ რაიმე გადამდები სენით არ იყონ შეპყრობილი და სხ.

ქალაქს არ აქვს კანალიზაცია, ამაზე მიღებულია სექციის მიერ სათანადო ზომები. სექციას მრავალი ნაკლიც აქვს, რომლის გამოსწორება აუცილებელია.

მ. ზვიადაძე.

ვარხნის საბჭო

(ახალციხის მაზრა)

(წერილი ახალციხიდან)

ვარხნის თემი აერთიანებს 22 (მუსულმანთა) სოფელს, სადაც მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს 10.634 სულს.

არა მგონია, რომ ასე ჩამორჩენილი თემი, როგორიც ვარხნის თემია, კიდევ სადმე ხუთ

ამხ. ოსმან-ალი-ოღლი

(უპარტიო, 1925 წლიდან ვარხნის თემაღმასკომის თავმჯდომარე, ენერგიული მუშაკი)

—:—

საქართველოს ფარგლებში; და ეს რომ სინამდვილეა, შეგვიძლია დავრწმუნდეთ შემდეგით: 22 სოფელს აქვს, სულ მხოლოდ პირველდაწყებითი სამი სკოლა, ხოლო 4820 სასწავლო ასაკის ბავშვიდან სწავლობს მხოლოდ 120 ბავში, ე. ი. დაახლოვებით 2,5 პროცენტი. აგრეთვე ჩამორჩენილობაა სასოფლო-სამეურნეო სხვადასხვა საჭიროებათა დარგებშიაც.

ვარხნის თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია რვა სხვადასხვა სახის სექცია. როგორც ვხედავთ, ამ თემში, სექციებს ბევრი რამ ჰქონდათ გასაკეთებელი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ერთ წელიწადზე მეტიცაა რაც ეს სექციები არსებობენ, არც ერთ სექციას ჯერ ერთხელაც სხდომა არ მოუწვევია და არავითარ საკითხზე მსჯელობა არა ჰქონია.

რა კი სექციებს არაფერი გაუკეთებიათ, ალბად საერთოდ არაფერი გაკეთებულა, იფიქრებს მკითხველი.

მაშ დაუგდოთ ყური ვარხნის თემის აღმასკომის თავმჯდომარის—ოსმან-ალი-ოღლის განცხადებას:

— ვხედავდი, რომ სექციები არაფერს აკეთებდნენ, მე თვითონ ჩამოუარე ყველა სექციების წევრებს და მივეცი წინადადება სხდომები მოეწვიათ და შესდგომოდნენ მუშაობას, მაგრამ ამანაც ნაყოფი ვერ გამოიღო: სხდომაზე წევრთა იმდე უმნიშვნელო ნაწილი მოვიდა, რომ შეუძლებელი იყო სხდომების ჩატარება. ამნაირად სექციების სხდომები გადადებულ იქნა. ასევე განმეორდა რამდენჯერმე და სხდომების მოწვევას არაფერი ეშველა; ბოლოს იძულებული გავხდით სექციების თავმჯდომარეები და მათთან პასიური წევრებიც გადაგვერჩია. ამ მეთოდს, მთელი წლის განმავლობაში, ორჯერ-სამჯერაც მივმართეთ, მაგრამ ამ უკანასკნელმაც უნაყოფო შედეგი მოგვცა,—ერთი სხდომის მოწვევაც არ მოხერხდა. პირადად მე რომ მკითხოთ, ასეთი გულგრილობა სექციათა წევრების მიერ თავიანთი მოვალეობისადმი უნდა მიეწეროს მათ ჩამორჩენილობას და უკულტურობას, თუმცაღა ისინი თავს იმართლებენ იმით, რომ ჩვენ იმდენი დრო არა გვაქვს, თვეში სამჯერ-ოთხჯერ სხდომებზე ვიაროთო და სხვა. ამნაირად იძულებულნი გავხდით, ყოველდღიური წამოჭრილი საკითხები, რომლებზედაც, ჯერ, სექციებს უნდა ჰქონოდათ მსჯელობა, პირდაპირ, აღმასკომის პრეზიდიუმის საშუალებით გაგვეტარებია ცხოვრებაში. არც ერთი საკითხი უყურადღებოდ არ დარჩენილა აღმასკომის მხრივ და შეძლებისდაგვარად ბევრი რამ გაკეთდა გლეხობის სასარგებლოდ".

მართლაც თემაღმასკომის მუშაობა კრებამ ჩათვალა დამაკმაყოფილებლად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სექციების მდგომარეობა მეტად უნუგეშოა.

ჩემის აზრით, იმ რვა სექციის მაგივრად, რომელიც ამჟამად არის „ჩამოყალიბებული" და ამავე დროს არც ერთი მათგანი არაფერს არ აკეთებს, ეს რიცხვი უნდა შემცირდეს სამ ან ოთხამდე, რომელშიაც უნდა არჩეულ იქნან უფრო აქტიური და საქმით დაინტერესებული პირები, ვიდრე დღემდე იყვნენ; ხოლო, როცა ეს მცირე რიცხვი სექციებისა თავის ფეხზე დადგება, შემდეგ შეგვეძლება ეს რიცხვი გავადიდოთ, თუ გინდ რვამდეც.

ა—ძე.

ლიუქსემბურგის საბჭო

(წერილი ბორჩალოდან)

კულტგანმანათლებელი სექცია

ლიუქსემბურგის თემსაბჭოსთან სხვა სექციებთა შორის არსებობს კულტურულ-საგანმანათლებლო სექციაც, რომელიც აერთიანებს 16 წევრს. ამათ რიცხვში 8 ქალია. სექციის წევრები ყველა მოსამსახურეებია საშუალო და უმაღლესი ცოდნით. სექციაში არა საბჭოს წევრი არ არის, სექციას არ ყავს ბიურო.

სულ საანგარიშო წლის განმავლობაში სექციას ჰქონდა ერთი სხდომა, რომელზედაც გაირჩა სამი საკითხი.

ამომრჩეველთა მიერ მიცემულ ნაკაზიდან ცხოვრებაში გატარებულია შემდეგი: მოწყობილია საბავშვო სახლში სამხედრო, ლიტერატურული, დრამატიული და ჭრა-კერვა-ქსოვილების წრეები, გახსნილია ხალიჩის და ფეხსაცმელების სახელოსნოები, რომლებიც სექციამ უზრუნველყო საჭირო ხელსაწყოებით და ლიტერატურით. აგრეთვე სისტემატიურად აწყობს ლიტერატურას გერმანულ ენაზე ამავე სკოლის წითელ კუთხეს. მიღებულია ზომები საბავშვო სახლთან ბაღ-ბოსტნეულის გასაფართოებლად და სხვა.

თემში გახსნილია ერთი წერა-კითხვის უცოდინართა და ერთიც მცირე მცოდნეთათვის სკოლები, რომლების საშუალებით სექციამ შესძლო მთელი დაბა ლიუქსემბურგის მოსახლეობაში სასკოლო ასაკის მოზარდიდან 50 წლამდე წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ასი პროცენტით აღმოფხვრა.

სექციამ შესძლო გერმანელ სასკოლო ასაკის ბავშვების მთელი ასი პროცენტით და არა გერმანელების (თათარი, სომეხი, ბერძენი, რუსი, ქართველი და სხვა) 70 პროცენტით სკოლებში ჩაბმა. ამგვარად სავალდებულო სწავლების შესახებ გერმანელ მოსახლეობაში უკვე მთლიანად განხორციელებულია. რაც შეეხება სხვა ნაციათა შორის, სექციას მიღებული აქვს ზომები მომავალ სასწავლო წელში ისინი მთლიანად ჩააბას სკოლებში. სექციის მეთაურობით შეკეთებულია ერთი ცხრა წლედის შენობა, ერთი ოთხწლედი და გერმანელთა კლუბი. შენდება ცხრაწლედის შენობასთან მოწაფეთათვის დიდი ბაღი. დაარსა და სისტემატიურად გამოდის კედლის გაზეთებიც ცხრაწლედში, ერთი 4 და 7 წლედებთან და ერთიც ინტერნაციონალურ სკოლაში. სამკითხველოსათვის შეძენილია მრავალი ლიტერატურა და პერიოდული გამოცემანი. მოწყობილია წითელი და სამხედრო კუთხეები; პროფესიონალურ და გერმანელთა კლუბებთან ჩამოყალიბებულია ლიტერატურული, სამხედრო, დრამატიული და ქალთა წრეები; რუსულ, თათრულ, გერმანულ და სომხურ ენებზე. ტარდება მოხსენებები, გასამართლებანი და იდგმება კინო-სურათები. ჩამოყალიბებულია რედკოლეგიები და კედლკორთა წრეები, რომლებიც სისტემატიურად უშვებენ კედლის გაზეთებს. კითხულობენ მასწავლებლების მიერ მოხსენებები და ლექციები, რაც ჯერ-ჯერობით 18-ჯერ ჩატარდა.

სექციის დადგენილების თანახმად თემაღმასკომი ჰყოფდა კომისიებს, ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად, სადაც სექციის 2-3 წევრი ყოველთვის შედიოდა. მოწყობილია მშობლებთა წრეები, როგორც ინტერნაციონალურ, ისე გერმანელთა სკოლებში. მოეწყო მასწავლებლების ექსკურსია საცდელ-სანიმუშო სკოლებში. სექციამ შესძლო 15 პარალელური ჯგუფების სამოსწავლო წლის დამთავრებამდე უცვლელად შენარჩუნება.

სექციამ ჩამოაყალიბა მეთოდიურ-პედაგოგიური ბიურო, მოწაფეთა თვითმმართველობა და აწყობდა მოწაფეთა კონფერენციებს. სკოლებზე მიმაგრებულია სექციის წევრები. სამოსწავლო ხარჯების მხრივ სექციამ სკოლების მდგომარეობა სრულიად უზრუნველყო.

როგორც ლიუქსემბურგში სწავლება უმეტესად გერმანულ ენაზე სწარმოებს, კულტსექციამ ის სახელმძღვანელოები, რომლებიც ადგილობრივად არ იშოვებოდნენ, შესძლო გერმანიის კ. პარტიის ცეკადან მიმარაგება.

სექციამ თემაღმასკომთან შეფარდებით დადგენილება გამოიტანა 7 და 9 წლედის მოწაფეების სწავლის გაგრძელების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო სკოლის გარეშე დარჩენ და შეუდგა ცხოვრებაში გატარებას.

კულტსექციამ აგრეთვე შესძლო გერმანელთა კლუბისათვის ელექტრო-ენერგიის უფასოდ მიწოდების მოგვარება ერთი წლით.

სექციის ნაკლი

მთელს ბორჩალოს მაზრაში სამაგალითოდ ითვლება ლიუქსემბურგის თემი თავისი საქმიანობით. აქ კულტურული მუშაობაც ფართოდ არის გაშლილი. ადგილობრივი მცხოვრებლები გერმანელები საკმაოდ გამოფხიზლებულია და მათი კულტურული მოთხოვნილებაც დიდია. მთელს ბორჩალოს მაზრის გლეხობა გერმანელი მოსახლეობიდან იღებენ მაგალითს, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე კულტურულ დარგშიაც. აქ კულტურულ დარგში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ბევრი ნაკლიც არის გამოსასწორებელი: სექციას არ ყავს ბიურო, არა აქვს სამუშაო გეგმა და კალენდარული ცხრილი. სექციაში არ არის საკმაოდ ჩაბმული ღარიბი და საშუალო გლეხობა, გლეხ ქალების რიცხვი. არც საბჭოს არა წევრები არიან ჩაბმული სექციის მუშაობაში. სექციას არც ერთხელ ამომრჩევლების და თემაღმასკომის წინაშე ანგარიში არ ჩაუბარებია. სექციას სკოლებზე მიმაგრებული წევრების მოხსენება არც ერთხელ არ მოუსმენია. მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში მარტო ერთხელ ჰქონდა სხდომა, რომელზედაც არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ განხილულა. მას არა აქვს გამოკვლეული ბავშვების ნაციონალური და სოციალური მდგომარეობა. არავითარი ზომები არ არის მიღებული ინტერნაციონალური სკოლის შენობის შესაკეთებლად, რომელიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფება.

ამ ნაკლთა გამოსწორებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო სექციამ მომავალში უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები.

გ. ქლენტი.

ა-კ. სახკომსაბჭოში

კრედიტების განაწილება

ა.-კ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა: 1927—28 წლის სამრეწველო ხაზით საბინაო მშენებლობისათვის გადადებული კრედიტი—500.000 მანეთი—განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად: სამთამადნო ტრესტს—150.000 მან., საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს—50.000 მან., ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკას—250.000 მან. და ტიფლისის მექანიკურ ქარხანას—50.000 მან.

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას დაევალა აღძრას შუამდგომლობა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს წინაშე, რათა [illegible] ქარხანას მიეცეს 250.000 მანეთი საბინაო მშენებლობისათვის.

სამოსწავლო დაწესებულებათა სპეციალური ფულადი ფონდი

ა.-კ. სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ დაადგინეს—სამოსწავლო დაწესებულებათა ფულადი ფონდის შესახებ არსებული დადგენილება გავრცელებულ იქნეს ყველა იმ სამოსწავლო დაწესებულებებზე, რომლებიც იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

საკავშირო ორგანიზაციების ა.-კ. განყოფილებები

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილებით, საკავშირო ორგანიზაციების განყოფილებებმა და კანტორებმა, რომლებიც მუშაობენ ამიერ-კავკასიის მასშტაბით, მთავარი [illegible] უნდა იქონიონ თბილისში და მათ ექვემდებარება რესპუბლიკანური განყოფილებები, რომლებიც შეიძლება გაიხსნას მხოლოდ ა.-კ. სახკომსაბჭოს ნებართვით.

ა.-კ. სახკომსაბჭოს წარმომადგენლის მეორე მოადგილე საკავშირო სახკომსაბჭოსთან

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილებით, ა.-კ. სახკომსაბჭოს წარმომადგენლის მეორე მოადგილედ საკავშირო სახკომსაბჭოსთან დანიშნულია ამხ. ნ. ტაგიევი.

საქ. სახკომსაბჭოში

საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წესდების დამტკიცება

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა პროექტი სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წესდებისა.

ამასთან ერთად წინადადება მიეცა მ. გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატს მოახდინოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების სოციალური შედგენილობის გამოკვლევა.

საბინაო მშენებლობისათვის

შრომის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი საბინაო კოოპერაციის განკარგულებაში საბინაო აღმშენებლობის ფონდიდან გადებულ 195.000 მან. განაწილებისა დამტკიცებულ იქნას შემდეგი სახით: საბინაო ამხანაგობა „წინსვლა"-ს—30.000 მან., ამხ-ბა „ტროცკი"-ს—50.000 მან., ამხ-ბა „კოოპერაციის"—10.000 მან., ამხ-ბა „მკქ"-ს 10.000 მან., ამხანაგობა „ცხაკაია"-ს—25.000 მან., აფხაზეთს—20.000 მან., აჭარისტანს—20.000 მან., სამხრეთ-ოსეთს—10.000 მან. და ლენინის სახელობის საბინაო ამხანაგობას—20.000 მან.

ამხ. ნ. ბახტაძის განთავისუფლება თანამდებობიდან

წყალთა სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ბახტაძე, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან.

ამხ. ბ. გოგიას დანიშვნა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ბ. გოგია განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან და დანიშნულ იქნა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად.

ამხ. ქ. კაკაბაძის დანიშვნა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ქ. კაკაბაძე.

იუსტიციის სახ. კომისრის მოადგილეების დანიშვნა

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილეებად დაინიშნენ ამხ. ა. კაჭარავა და თ. დოლიძე.

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია

თბილისის მუშები საბჭოს მუშაობის განხილვასთან ერთად ირჩევენ სახალხო მსაჯულებს.—საბჭოს ჯანმრთელობის სექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს სისუფთავის დაცვას მუშათა სახლებში.—ადგილობრივი პროფორგანოები ვერ უწევენ სწორ ხელმძღვანელობას საანგარიშო კამპანიას

პროფკავშირების მონაწილეობა საანგარიშო კამპანიაში

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია, რომლის დროსაც ტარდება აგრეთვე სახალხო მსაჯულთა არჩევნები, უკვე ხუთი დღეა, რაც დაიწყო. კამპანიის დაწყებამდე, როგორც თბილისის [illegible], ისე პროფორგანოებმაც დაგზავნეს ადგილებზე ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც უნდა ჩაატარონ ადგილებზე საბჭოს საანგარიშო და სახ. მსაჯულთა საარჩევნო კრებები.

უნდა ითქვას, რომ როგორც კამპანიის მომზადებიდან სჩანს ადგილობრივი პროფორგანოები, ძალიან სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ საანგარიშო კრებებს. ისინი ვერ ღებულობენ შესაფერ და მიზანშეწონილ ზომებს კრებების მოსაწვევად და საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად. ბევრ წარმოება-დაწესებულებაში, იწვევენ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებს საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად და სახ. მსაჯულთა ასარჩევად. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, როგორც ამბობენ პროფორგანოების ხელმძღვანელები, —კრება არ სდგება და საანგარიშო კამპანია ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში, იფუშება.

აი მაგალითები: თბილისის სამხედრო წისქვილში, საბჭოს საანგარიშო კრება უნდა შემდგარიყო 5 აპრილს, დღის სამის ნახევარ საათზე, მაგრამ არ შესდგა. კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში კამპანია უნდა ჩატარებულიყო 6 აპრილს, მაგრამ თანამშრომელთა დაუსწრებლობის გამო, გადაიდო. რადიო-გადამცემ სადგურში და „კრასნი ვოსტოკ"-ის სტამბაში კრება უნდა შემდგარიყო 6 აპრილს, მაგრამ „სხვადასხვა მიზეზების გამო" აქაც გადაიდო. ეს მოხდა მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში და შემდეგში კიდევ რამდენ ალაგას გადაიდება კრება, ვინ იცის.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამ კრებების ჩაშლა უმთავრესად ხდება პროფორგანოების ხელმძღვანელთა სუსტი მუშაობით. ვიცით, რომ უმთავრესად ეს გამოწვეულია ადგილობრივი პირობებით, მაგრამ საანგარიშო კამპანიაში, რომ ზოგიერთი ფაბ-ქარხკომები სუსტად მუშაობენ, ეს ცხადია. თვით ის ფაქტი, რომ საანგარიშო კრებებს არ ესწრება მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა, ფაბ-ქარხადგილკომების სუსტი მონაწილეობის მაჩვენებელია.

ადგილობრივ პროფორგანოებმა უნდა შეასრულონ უმაღლეს ორგანოების დირექტივები საბჭოს საანგარიშო და სახ. მსაჯულთა საარჩევნო კამპანიაში. კრებების მოწვევა და გადადება აფერხებს საანგარიშო კამპანიის მიზანშეწონილად ჩატარებას. უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება უცვლელად გავატაროთ საანგარიშო კამპანიის ერთხელ შემუშავებული კალენდარული გეგმა.

პროლეტარი.

საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებელია

სამხედრო წისქვილი

გუშინ, საღამოს 6 საათზე, სამხედრო წისქვილის შენობაში, შესდგა წისქვილის მუშების საერთო კრება. საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა, საბჭოს დეპუტატი ამხ. წამალაშვილი.

მომხსენებელი ეხება, რა თბილისის საბჭოს მუშაობის განათლების და ჯანმრთელობის დარგში, აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს, მიუთითებს თბილისის საბჭოს მიერ 1926—27 წლის პერიოდში ჩატარებულ, დიდ ხასიათის საქმიანობაზე: ხელფასის გადიდება, უფასო მკურნალობა, შეღავათიან ფასებში განათება, წყალი და სხ. ყველა ეს თვალსაჩინოდ აუმჯობესებს მუშების მდგომარეობას. სოფლის მეურნეობაშიც გვაქვს დიდი მიღწევები; ტრაქტორების განაწილება სოფლებზე, უფასოდ თესლის დარიგება და კოოპერაციების ზრდა სოფლად. საერთოდ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მუშების ნაკაზი, საბჭომ ჩინებულად შეასრულა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 8 კაცმა.

ამხ. გიორგობიანი მოითხოვს, საბინაო მოედნის პროპორციონალურად განაწილებას მცხოვრებლებზე, უპატრონო ბავშვების გამოსახლებში მოთავსებას მათი სათანადოთ აღზრდის მიზნით, მოძველებულ ბინებზე ყურადღების გამახვილებას და ქალაქის განაპირა უბნების კეთილმოწყობას.

ამხ. ფირიაშვილი მოითხოვს საშუალო სასწავლებლების გამრავლებას ავლაბარში და განაპირა უბნებში, ამასთან მოითხოვს მეტი ყურადღება მიექცეს [illegible] მუშებს. საერთოდ მოკამათენი მოითხოვდნენ საბჭოსაგან მომავალში მუშაობის უფრო გაცხოველებას.

დასასრულ კრებამ, გამოიტანა რეზოლუცია, სადაც საბჭოს მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად. კრება იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭო გამოასწორებს არსებულ დეფექტებს მომავალ საქმიანობაში. გარდა ამისა კრებამ სახალხო მსაჯულებად აირჩია ამხ. ნავრადოვი და აპრიამოვი.

კ—ოს.

ასე მუშაობდა თბილისის საბჭო

გუშინ, საღამოს 6 საათზე, წითელი კუთხის დარბაზში შესდგა საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომელთა საერთო კრება. თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა დეპუტატ-ქალმა ამხ. იაკობაშვილმა. მომხსენებელი ვრცლად შეეხო საბჭოს მიღწევებს და აღნიშნა ზოგიერთი ნაკლიც. მომხსენებელს მისცეს მრავალი საინტერესო შეკითხვები. ყველა შეკითხვაზე მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა.

ამხ. პაპიაშვილი ეხება რა კომუნალურ სექციის მუშაობას, საჭიროდ მიაჩნია თბილისში დაარსდეს უმუშევართა სახლი, რომელიც საგრძნობლად გააუმჯობესებს უმუშევრების მდგომარეობას. ასეთი სახლები მოსკოვში და როსტოვში სხვა ქალაქებში უკვე დაარსებულია.

ამხ. ჯავრიშვილი აღნიშნავს, რომ თბილისის მრავალ სახლებში და ქუჩებში, განსაკუთრებით კი საბურთალოს რაიონში ადგილი აქვს ანტი-სანიტარულ მდგომარეობას. გარდა ამისა ორატორს საჭიროდ მიაჩნია ბარაკებში ჩასახლებულ მოსწავლე ახალგაზრდობის ახალ ბინებში გადაყვანა.

ამხ. ჭეჟინაძის სიტყვით, ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა მუშები დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა საკითხებით. მათ წარმოებაში დეპუტატთა მაგიდა არ არსებობს, რის გამო ისინი ამა თუ იმ საკითხზე პასუხს ვერ იღებენ, ამიტომ ორატორი საჭიროდ სცნობს დეპუტატების მორიგეობის შემოღებას თბ. აღმასკომის სექციებში. გარდა ამისა ამხ. ჭეჟინაძე ეხება სასწავლებლების ტეხნიკურად მოუწყობლობას.

ამხ. მჟავეთი აღნიშნავს, რომ თბილისის სასტუმროებში ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას. იგი მოითხოვს ასეთ სასტუმროების მუშათა სახლებად გადაკეთებას. გარდა ამისა ორატორი საჭიროდ სცნობს ბინების სპეკულიაციისა და „მაკლერების" მოსპობას.

ამხ. ვუსტაკიოვი ამბობს, რომ აღმასკომის „უქსი"-დან ბინებს პროტექციით შოულობენ, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

დანარჩენი ორატორები ეხებიან სხვადასხვა წრიდან საკითხებს და მოითხოვენ ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას.

კრებამ საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

გ. თ—ძე.

ნაკლიც გამოვასწოროთ

სახელმწიფო ბანკის თანამშრომელთა საერთო კრებამ, რომელიც შესდგა 5 აპრილს, მოისმინა ამხ. კარმანოვის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა გასაგები ენით აღნიშნა თბ. საბჭოს მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გააცნო დამსწრეთ საბჭოს პერსპექტივები მომავალი მუშაობის გასაჯანსაღებლად და სხ. მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რომელიც უმთავრესად ქალაქის კეთილმოწყობისა და ჯანმრთელობის დარგს ეხებოდა. ამხ. კარმანოვმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველას, მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა 8 კაცი, ორატორები უმთავრესად ეხებოდენ ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგების საკითხს და აღნიშნავდნენ, რომ „ტელა"-ში ადგილი აქვს საქმის გაჭიანურებას და ბიუროკრატიზმს.

ამას გარდა მოკამათენი ეხებოდნენ ცალკე სექციების მუშაობას და დასძენდნენ, რომ ჯანმრთელობის სექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ქუჩებს და სახლებში ჰიგიენურ პირობების დაცვას. რის გამო მოსალოდნელია ავადმყოფობის გაჩენა. ორატორები განათლების სექციას უსაყვედურებენ იმაზე, რომ სექცია სუსტ კონტროლს უწევს სკოლების კაპიტალურ შეკეთების საქმეს, ამ ნიადაგზე ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა შეკეთებულ სასწავლებელს, მეორედ უკეთებენ რემონტს, რითაც საბჭოს, ბიუჯეტს თანხა უნაყოფოდ ეკარგება. ამომრჩევლებს საჭიროდ მიაჩნიათ, საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არსებულ ნაკლთა გამოსწორებას.

კრებამ საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, რის შემდეგ კრებამ აირჩია 7 კაცი სახალხო მსაჯულებად.

გ. ნ.

მელითონეთა კავშირში

მელითონეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ, განიხილა თბილისის საანგარიშო კამპანიის ჩატარების საკითხი, და დაადგინა ძირითად პროფორგანიზაციების საშუალებით ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს ხსენებულ კამპანიის ჩატარებას.

გამგეობის დადგენილებით 12 აპრილს, მოწვეული იქნება მელითონეთა კავშირის თბილისის საერთო საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც თბილისის საბჭოს წარმომადგენელი გააკეთებს მოხსენებას თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

კონფერენცია შესდგება მუშათა ცენტრალურ კლუბში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ვაზის სანერგეების გაშენება

გორი, 5 აპრილი. ხანგრძლივი ზამთრის გამო მაზრაში დაზიანდა ვენახების 60 პროც. მეტი. ამიტომ გლეხობაში თანდათან მტკიცდება ის აზრი, რომ ვაზის დამყნა აწარმოონ ამერიკულ ლერწზე. ამერიკულ ლერწზე გლეხობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, აგრონომსამმართველო აშენებს ამერიკული ვაზის სანერგეებს სოფ. ატენში, მეჯრეთში, ალაიანში და სალოლოშენში. (ადს).

ხეხილის ახალი ბაღები

გორი, 5 აპრილი. ვინაიდან გლეხებში ხეხილის ნერგების დიდი მოთხოვნილებაა, ამიტომ წელს მაზრაში გაშენებული იქნება 1000 დესეტ. ხეხილის სანერგეები.

ახალი სანერგეების მოწყობის შემდეგ ნერგის ფასი 60 კ. შემცირდება 40 კაპ-დე. (ადს).

საქონლის დახოცვა

ცხინვალი, 5 აპრილი. სამხრეთ-ოსეთის მესაქონლეობის რაიონებში, უმთავრესად მონასტრის, ლეხურის და ანდორეთის ხეობებში, საკვების უქონლობის გამო ბევრი წვრილფეხა საქონელი იხოცება (ადს).

თოვლის ზვავები და მეწყერი

ცხინვალი, 5 აპრილი. თოვლის დნობისა და გაზაფხულის წვიმების გამო დაიწყო მეწყერი სამხრეთ-ოსეთის სხვადასხვა ადგილას. დაცურდა სოფელი სპექი, სადაც რამოდენიმე შენობაა დანგრეული. ნიადაგი დაცურდა აგრეთვე მარალეთის, ხეჩრუქისა და სხვა რაიონებში.

სამხრეთ-ოსეთში თოვლის არაჩვეულებრივი ზვავებია. ზვავებმა ძალიან დააზარალა ტყეები. ერთ ადგილას თოვლის ზვავმა თითქმის მთელი დღე და ღამის განმავლობაში შეაგუბა მდინარე ლიახვი.

წერილები

დროზე შეუდგეთ გზის დამთავრებას

ნაკურალეშის თემი, ლეჩხ. მაზრა

ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებ გლეხობას არასოდეს არ ახსოვს ისეთი აღმშენებლობა, როგორსაც ადგილი აქვს საბჭოთა ხელისუფლების დროს. ჩამორჩენილ და უყურადღებოდ მიტოვებულ მაზრას მიაქცია ყურადღება მუშურ გლეხურმა მთავრობამ და გაუწია სათანადო დახმარება ორბელ-ცაგერის გზის გაყვანაში, რამაც კულტურის გზაზე დააყენა ლეჩხუმის მაზრა.

ნაკურალეშის თემში დაარსებულ იქნა სოფ. ახ. სკოლა, რომლის შენობის აგება მალე დამთავრდება.

ერთი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი ნაკურალეშის თემის და ნაწილობრივ სხვა თემებისათვის ის არის, რომ მათ არ აქვთ გზა, რითაც ისინი შესძლებდნენ შეუერთდნენ სამხრეთ ოსეთის გზას. ოსეთის გზასა და სოფ. ღვირიშის შორის, რომლის შემდეგ იწყება სოფ. ცხუკუშერი უცხერი, ნაკურალეში, დეხვირი, ლასურიაში და სხვები, ამართულია უზარმაზარი კლდე, სადაც ოდესღაც გლეხებს თავიანთი პრიმიტიული იარაღებით გაუყვანიათ დიდი გაჭირვებით ვიწრო საურმე გზა, რომელზედაც არ შეუძლია გვერდი შეუარონ ერთმანეთს დატვირთულმა ურმებმა. ამ უვარგისმა გზამ თავის დროზე ბევრი გამოასალმა სიცოცხლეს.

1926 წ. დასაწყისში გლეხობა თავიანთი ინიციატივით შეუდგა სამხ.-ოსეთის გზიდან აღნიშნულ კლდემდე კარგი გზის გაკეთებას იმ იმედით, რომ ასაფეთქებელ მასალას მათ მისცემდა ხელისუფლება. გზის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა, როგორც კაცი, ისე ქალი განურჩევლად ჰასაკისა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებმა შეუშალა ხელი ამ მდგომარეობას და მუშაობა დროებით შეჩერებული იქნა.

გზათა სამმართველოს მიერ გაგზავნილმა კომისიამ მოიწონა ღვირიშ-ცაგერის გზის მიმართულება და საჭიროდ სცნო მისი პირველ რიგში გაკეთება, რის შემდეგ გლეხობამ აღძრა შუამდგომლობა ადგილობრივ მთავრობის და ცენტრალური ორგანოების წინაშე, რათა მიეცათ მათთვის ასაფეთქებელი მასალა. ცენტრალურმა ორგანოებმა გაუწია ანგარიში გლეხების მოთხოვნილებას და სახკომსაბჭომ გასცა ლეჩხ. მაზრის აღმასკომზე 60 ფ. შნეიდერიტი, 500 რგოლი ბიკფორდის გრეხილი და 6.000 ცალი კაფსულები—დენტინი, აღნიშნული კლდის ასაფეთქებლად, რის შემდეგ თამამად შეიძლება ცაგერ-ღვირიშის გზის გაკეთება, რომელიც განზრახული აქვს ლეჩხუმის მაზრის აღმასკომს.

ამ გზის გაკეთებას დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ იმ მხრივ, რომ ზემოთ მდებარე სოფლებში მოდის კარგი ხარისხის ხილი, რასაც დიდი მოთხოვნილება აქვს ბაზარზე. არსებობს მეხილეთა საზოგადოება და სწარმოებს მუშაობაც, მაგრამ საქმეს დიდათ აბრკოლებს უგზოობა, რასაც ბოლო მოეღება ზემო აღნიშნული კლდის გატეხის შემდეგ და ჩამორჩენილ გლეხობას ეკონომიურად და კულტურულად დაუკავშირებს როგორც მაზრის ცენტრს, ისე ქალაქ ქუთაისს.

გ. ხვანიძე.

ვინ მისცა ამის უფლება?

ასკანის თემი, გურია

ცნობილია, რომ გურიის გლეხობა ყველაზე უფრო მეტად განიცდის მიწის სივიწროვეს. ეს მით უფრო ითქმის ასკანის თემზე, სადაც მიწის სივიწროვესთან ერთად ნიადაგი ერთობ გამოფიტულია და მასზე ძალიან მცირე მოსავალი მოდის. ასეთ პირობებში აქ თვითეულ ნაკვეთ მიწას გლეხისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენთვის გაუგებარია ასკანის თემაღმასკომის საქციელი, რომელმაც ნება დართო საბჭოს წევრს კირილე ანდღულაძეს გაეჭრა ოთხი უღარიბესი გლეხის ეზო და გაეყვანა იქ თავის სამოსახლოზე მისასვლელად უფრო სწორი გზა. კირილე ანდღულაძეს უხსოვარი დროიდან ჰქონდა გზა, რომლითაც ის და მისი წინაპრები სარგებლობდნენ; იმის ნაცვლად, რომ მას არსებული გზა შეეკეთებია, ისარგებლა საბჭოს წევრის უფლებით, გადაიბირა თავის მხარეზე საბჭოს რამოდენიმე წევრი, გასჭრა ოთხი მოსახლის სამოსახლო ეზოები მათი სახლში არ ყოფნის დროს, ასჭრა ხეხილები და ვენახებიანი ხეები, ქვებითა და ღორღით აავსო ისედაც პატარა სამოსახლო ადგილები და გაიყვანა 70 საჟენის სიგრძეზე საკმაოდ ფართე გზა.

დღეს ამ ღარიბი გლეხების სამოსახლო ეზოები გაშლილია, თემაღმასკომი კირილე ანდღულაძის მხარეზეა და ამნაირად იჩაგრებიან ეს ძალზე ღარიბი ოთხი ოჯახი.

ამ გარემოებაზე ჩვენ მივაქცევთ ოზურგეთის სამაზრო ხელისუფლების ყურადღებას და დარწმუნებული ვართ, რომ სამაზრო ხელისუფლება ადგილობრივ გამოარკვევს ამ საქმეს და დამნაშავეს შესაფერ პასუხს მოსთხოვს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუშვებელია, რომ ვინმემ თავისი მდგომარეობით ისარგებლოს და სხვების უბედურებაზე ააგოს საკუთარი ბედნიერება. მით უფრო არ შეშვენის ეს საბჭოს წევრს, რომელიც საბჭოში არჩეულია არა თავისი პირადი საქმეების მოსაგვარებლად, არამედ მშრომელი გლეხობის ინტერესების დასაცავად და ასეთ მშრომელთა წრის პირველ რიგში ეკუთვნიან სწორედ ის გლეხები, რომლებიც ამხ. კირილე ანდღულაძის მიერ იქნენ შევიწროებულნი.

გურული.

წერილებიდან

მეტი ცოდნა უნდა შეიძინონ

დ. აბაშა, სენაკის მაზრა

ადგილობრივი ცხრაწლედი გადაკეთებულია სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმად; ამ სკოლის პედაგოგებს ცოდნის მიხრივ რიგიანად შეუძლიათ სწავლის დაყენება, მაგრამ კურსდამთავრებული მოწაფეები ძალზე მცირე ცოდნით გამოდიან სასწავლებლიდან. განსაკუთრებით მწვავედ სდგას რუსული ენის შესწავლის საქმე. მეცხრე ჯგუფის ზოგიერთ მოწაფემ მთავრული ასოების დაწერაც არ იციან. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები გამგისა და მისი მოადგილის მიერ ამ არანორმალობის აღმოსაფხვრელად.

ს. გ—ა.

საშინელი სენი

დ. ალბულაღი, თბილისის მაზრა

ამ ორი თვის წინედ დ. ალბულაღში გაჩნდა ცოფი. პირველად ის უმნიშვნელო იყო, მაგრამ შემდეგში მასიური ხასიათი მიიღო. შესდგა სამეული ცოფთან საბრძოლველად. არის შემთხვევები, როდესაც გლეხობა თავისი ხელით კლავს მარჩენალ ძროხას, ან ხარს. თემაღმასკომი ღებულობს სათანადო ზომებს. რამოდენიმე კაცი და საქონელი ცოფიანი ძაღლების მიერ დაკბენილნი გაიგზავნა თბილისის სავადმყოფოში.

მდგომარეობა სერიოზულია და საჭიროა დახმარება უმაღლესი ორგანოებისაგან.

კალეო—ჯან.

მუშათა ცხოვრება

როგორ ტარდება საბჭოთა დემოკრატია

(თამბაქოს № 1 ქარხანა)

საბჭოთა დემოკრატიის გამომკვლევ ერთერთმა კომისიამ ამხ. თუმანოვის ხელმძღვანელობით დაასრულა მუშაობა თამბაქოს № 1 ფაბრიკაში. მან აქ დაჰყო ოთხი დღე. გადასინჯული იქნა 1926—27—28 წლის ყველა ოქმები, როგორც პროფკავშირის, ისე პარტიულ ორგანიზაციის. საერთოდ სჩანს, რომ ყოველ წლობით იზრდება მუშაობა, მაგრამ შეიძლებოდა ზოგიერთ შემთხვევაში მეტის გაკეთება. მაგალითად, ძალიან სუსტია კომკავშირის უჯრედის მუშაობა. საბჭოთა გადარჩევაში კომკავშირის მონაწილეობა არ მიუღია გარდა საზოგადო კრებაზე დასწრებისა.

ფაბრიკის საზოგადო კრებაზე ასეთი შეცდომაა დაშვებული, საბჭოს წევრებს ცალკე უყარეს კენჭი, კანდიდატებს კიდევ ცალკე. საბჭოს წევრებათ წამოყენებულთა შორის ზოგიერთმა ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე კანდიდატებმა. ორი დეპუტატი პასიურობას იჩენდა საბჭოს მუშაობაში, ამის მიზეზად სხვათა შორის უნდა ჩაითვალოს ფაბკომის და პარტუჯრედის უყურადღებობა მათ მუშაობისადმი. საბჭოს წევრებს ერთხელ გაუკეთებიათ საანგარიშო მოხსენება, რომელსაც დასწრებია 200 კაცზე მეტი. კამათში გამოსულა 1 კაცი. საბჭოს წევრებმა კომისიის შეკითხვაზე თუ რით უნდა აეხსნათ ასეთი პასივობა, ასე უპასუხეს, რომ მუშაობის შემდეგ აქვე ეწყობა კრება, დაღლილ-დაქანცული ხალხი ვეღარ ძლებს დიდხანს უსადილოდ და ეჩქარებათ, ვინაიდან მეტი წილი შორს მცხოვრებნი არიანო. საბჭოში მიმაგრებული აქტივი თავის სიმაღლეზე დგას. გამოირკვა აგრეთვე, რომ დეპუტატთა მაგიდა არ არსებობს. ასეთი მაგიდა კი დიდ, საჭიროებას წარმოადგენს. ამისათვის უნდა შეერთდეს 1 და 2 ფაბრიკა და დაიდგას ერთი მაგიდა, სადაც დღეგამოშვებით იმორიგეებენ ორივე ფაბრიკის საბჭოს წევრები.

დამსწრე.

—:—

ლიტერატურული გასამართლება

31 მარტს, ავტო კლუბში, თბილისის სადგურის მტვ. მუშების კულტ. კომისიამ მოაწყო ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილის" ლიტერატურული გასამართლება. გასამართლებას აუარებელი ხალხი დაესწრო. სანამ გასამართლება დაიწყებოდა, ამხ. რსხილაძემ მუშებს მოკლედ გააცნო მოთხრობის შინაარსი და გურიის გლეხების მდგომარეობა 80-90-დან წლებში.

გოგიას ბრალს სდებდა მუშ ჯიხვარია, დაცველად გამოვიდა ამხ. ზ. კეშელავა. ბრალმდებელმა ჯიხვარიამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საერთოდ თვითმკვლელობა, რა პირობებშიაც არ უნდა იყოს, იგი გამოწვეული, უაზრობა და უპრინციპობაა. გოგიამ თვითმკვლელობით თავისი ცოლშვილი უარეს დღეში ჩაყარა. გასამართლებაში ოფიციალურად დანიშნული პირების გარდა, მონაწილეობა მიიღეს სხვა მუშებმაც.

დასასრულ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, სადაც გოგია უიშვილი ცნობილია დამნაშავეთ, როგორც ცოლშვილის მოღალატე.

მუშა ხიდისთაველი.

—:—

მუშებს ყვლეფავენ

ტყავტრესტის წარმოების მახლობლად, კომუნალურ ქუჩაზე № 87 გახსნილია ღვინის სარდაფი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ შიგ ღვინით ვაჭრობა აკრძალულია, ხშირად იმართება კამპანიები და სტუმარ-მასპინძლობა. აღსანიშნავია, რომ მილიციის თანამშრომლებიც არღვევენ წესს და მართავენ ამ სარდაფში ქეიფს.

გარდა ამისა ტყავტრესტის წარმოების ზოგიერთი მუშები, თავიანთ ჯამაგირს ამ სარდაფში სტოვებენ. იყო შემთხვევა, რომ მუშამ მუშკოოპის საკრედიტო ორდერი, რომელიც მიიღო, მან ოჯახის გამოსაკვებად, დასტოვა ღვინის ფასში. მეღვინეც დიდი სიამოვნებით იღებს მას.

ამას სხვათა შორის ხელს უწყობს ღვინის სარდაფის გვერდით მდებარე მუშკოოპის № 1 პურის საცხობის გამგე, მოქ. ლეოთაძე, რომელიც დგას ღვინის სარდაფში და უსირცხვილოდ ყვლეფავს მუშებს და ღვინოში აღებულ ჩეკებს კი ფულზედ ანაღდებს. პურის ცხობაზე კი თავს არ იწუხებს. ის ფქვილის მაგივრად უმთავრესად ფქვილადვე ჰყიდის.

ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ტრესტის ადმინისტრაციამ დროზე გახსნას მუშათა სასადილო და მუშები დაიხსნას კერძო ვაჭრების ბრჭყალებიდან.

მუშკოოპის გამგეობამ უნდა მოხსნას პურის საცხობის მიკიტანი-გამგე ლეოთაძე, ხოლო აღმასკომმა კი უნდა დაბეჭდოს ეს ფარული სამიკიტნო, რომელიც მუშებისათვის მახეთ არის გადაქცეული.

ისარი.

მოიჯარადრეები ამოძრავდნენ

ქალაქის აღმასკომის „უქსიმ"—დაიწყო ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში პირუტყვ საქონლის თავშესაფარი ბაკების მოწყობა. ერთი ასეთი ბაკა დე-სიმონოვის მოედანზე უკვე მუშაობს.

ბაკების მოწყობა აღმასკომმა განიზრახა იმ მიზნით, რომ გლეხები გადაერჩინა ჩარჩ მოვაჭრეებისა და კერძო მოიჯარადრეების ბრჭყალებისაგან. ამან თავის ნაყოფი გამოიღო: აღმასკომის ბაკის გახსნის შემდეგ გლეხობა მთლიანად ჩამოშორდა კერძო ბაკების მოიჯარადრეებს და ღამის გასათევად მიდიან აღნიშნულ ბაკში.

აღმასკომის მიერ მოწყობილ ბაკში დაცულია სისუფთავეც და გლეხებიც უზრუნველყოფილი არიან ვაჭართა ცარცვა-გლეჯისაგან. ამიტომ მათ დაიწყეს გლეხებში აგიტაცია იმის შესახებ, რომ ვითომ აღმასკომმა იმიტომ მოაწყო ეს ბაკი, რომ გადასახადები მოგაწეროს და სხ.

ვაჭრების ასეთმა პროვოკაციამ ჩასაკვირველია ვერ მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ გლეხობის შეუგნებელ ნაწილზე, მაინც მოახდინა გავლენა. ამით, რომ ვერაფერს გახდენ—მოიჯარადრენი, მიმართეს სხვა ხერხს. იმისათვის, რომ გლეხებს აუცრუონ გული აღმასკომის ბაკზე, მათ აღმასკომის ბაკში გლეხის ცხენს მოაპარეს კუდი. ეს ამბავი ეცნობა მილიციას და აგრეთვე თვით აღმასკომსაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც ერთ მათგანს ზომები არ მიუღიათ ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად და საერთოდ პროვოკატორების სასტიკად დასასჯელად.

საჭიროა „უქს"-მა მეტი ყურადღება მიაქციოს აღნიშნულ ბაკს და დააჩქაროს იმ ბაკების დამთავრებაც, რომლებიც დიდი ხანია, რაც დაწყებულია და დღეს შეჩერებულია მუშაობა.

ქვენობანელი.

—:—

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბაში

კვირას, 1 აპრილს, „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის მუშათა კლუბში, ამხ. სტ. ვართანოვისა და არ. ელიკოევის თაოსნობით, გაიმართა ქართული წარმოდგენა ადგილობრივ ძალებით. წარმოდგენილი იქნა გერგესელის სამ მოქმედებიანი დრამა „ნიღაბ ქვეშ", პიესაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ვართანოვი, ელიკოევი, კუპრაძე, ახობაძე, მიაძე და სხ.

უნდა ითქვას, რომ წარმოდგენა საერთოდ სუსტად ჩატარდა. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ მონაწილეთა უმრავლესობა მუშები არიან, და არა აქვთ იმდენი დრო და საშუალება, რომ უკეთესად მომზადებულიყვნენ. მიუხედავად ამისა წარმოდგენამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე. წარმოდგენის შემდეგ ამხ. ქალანთაროვმა მანდოლინაზე შეასრულა რამოდენიმე ნომერი.

საერთოდ საღამო კარგად ჩატარდა. საჭიროა „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის კულტკომისიამ ხშირად მოაწყოს ასეთი საღამო-წარმოდგენები და პიესები დადგას, როგორც ქართულ ენაზე, ისე რუსულადაც.

ვოსტოკელი.

—:—

მაქსიმ გორკის საღამო ცენტრ. გამსახლში

თბ. ცენტრალურ გამასწორებელ სახლში, გაიმართა მაქსიმ გორკის საიუბილეო საღამო. საღამოს დაესწრო ადმინისტრაციისა და პატიმართა მთელი შემადგენლობა.

ქართულ ენაზედ კულტურული რევოლუცია და მაქსიმ გორკის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა პატიმარმა იპ. დანელიამ. მომხსენებელმა გააცნო პატიმართა კრებას მაქსიმ გორკის მოღვაწეობა.

მოხსენების შემდეგ დადგმული იქნა მ. გორკის „მოწყენილობის გამო" ქართულ ენაზე, ხოლო „მალვა" რუსულ ენაზე. პატიმრები კმაყოფილნი დარჩნენ საღამოს ჩატარებით.

პატიმ. იპ. დანელია.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

წესრიგს არღვევენ. რკ. გზის სალიანდაგო დარიგის მე-7-დე უბნის პირველ [illegible] პირველ მუშათა განყოფილების საერთო საცხოვრებელში, თავი მოუყრიათ ე. წ. მუშა-ავარიებს და აქვთ ერთი ჩხუბი და აყალ-მაყალი. ხშირად თავპირსაც კი უმსხვრევენ ერთმანეთს. ადგილკომო, მიაქციე ყურადღება.

მშენებელი.

შეაკეთეთ კედელი. ყოფილი პირველ გიმნაზიის შენობა, ქუჩის მხრივ ინგრევა. სახურავიდან ჩამოდის წყალი და კედელი ლპება. ამის გამო, ამას წინად ჩამოინგრა შელესილი გაჯი, რომელმაც ცოტას გადაარჩა არ იმსხვერპლა გამვლელი მოქალაქე. განათლების განყოფილებამ უნდა შეაკეთოს შენობის სახურავი.

ბ. ჭ.

მაქსიმ გორკის საიუბილეო კამპანია

მაქსიმ გორკის საიუბილეო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს თბილისის ყველა მუშათა კლუბებში, რომლებშიაც ეწყობა მაქსიმ გორკის შემოქმედების შესახებ მუშათა კრიტიკის საღამოები, მხატვრული საღამოები, მოგონებები, ლექცია-საუბრები და სხ.

ასეთი საღამოები უკვე გაიმართა მუშათა ცენტრალურ კლუბში, მუშათა ახალ კლუბში, მეტყავეთა და ტრამვაის მუშათა კლუბებში, მუშათა თეატრში და სხ. კლუბებში.

საიუბილეო საღამოები დიდ ინტერესს იწვევს მუშათა ფართო მასებში. ყველა საღამოებს აუარებელი ხალხი ესწრება.

საღამოები ეწყობა პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ გამომუშავებულ მტკიცე გეგმის მიხედვით.

ადგილებზე დაგზავნილია შესაფერი ლიტერატურა გორკის მოღვაწეობისა და ლიტერატურული შემოქმედების შესახებ.

კულტგანყოფილებამ გამოსცა კრებული, რომელშიაც მოთავსებულია საორიენტაციო მასალა საღამოების მოსაწყობად და საერთოდ საიუბილეო კამპანიის ჩასატარებლად.

პროფკავშირების გამომცემლობა „შრომა"-მ გამოსცა ბროშიურა „მ. გორკი", ბროშიურაში დაბეჭდილია გორკის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და აგრეთვე ზოგიერთი მის ნაწარმოებთა ნაწყვეტები.

ამას გარდა „შრომამ" გამოსცა გორკის მრავალი ნაწერები ქართულ ენაზე ცალკე წიგნებათ, რომლებიც დაეგზავნათ მუშათა კლუბებს, სამკითხველოებს და წითელ კუთხეებს.

საყოველთაო სავალდებულო სწავლება

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად, ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შესდგა სპეციალური თათბირი, რომელსაც დაესწრენ ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგეგმო კომისიების, ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ა. კ. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები.

თათბირმა დაადგინა დაევალოს ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიას შეადგინოს დაწვრილებითი ღონისძიებები საყოველთაო-სავალდებულო სწავლის შემოსაღებათ და სახელმძღვანელოდ დაუგზავნოს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს.

ღონისძიებებში გარკვევით ნაჩვენები უნდა იქნეს ადგილებზე საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებათ სათანადო გეგმების შედგენის ფორმები და სხ.

ამავე თათბირის დადგენილებით, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გეგმების განხორციელება დაიწყება 1928—29 სასწავლო წლიდან. გეგმის განხორციელების უკანასკნელ ვადას აწესებენ ცალკე რესპუბლიკების სათანადო ორგანიზაციები, იმ ვარაუდით, რომ უკანასკნელ წელიწადათ მიჩნეული იქნება 1935—36 წელი, რის შემდეგაც მთელ ამიერ კავკასიაში დაკანონდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლება.

საყოველთაო სწავლების შემოღების უზრუნველსაყოფად, ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონებში გაიხსნება პედაგოგიურ პერსონალის მოსამზადებელი კურსები.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებს სასწრაფოდ გადასინჯონ საყოველთაო სწავლების შემოღების გეგმები და 1 მაისამდე წარუდგინონ ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიას.

ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მაისის პირველ რიცხვებში თბილისში მოიწვიოს განსაკუთრებული თათბირი, რომელიც განიხილავს ცალკე რესპუბლიკების მიერ შედგენილ საყოველთაო სწავლების შემოღების გეგმებს და ამასთანავე შეიმუშავებს საერთო გეგმას ამიერ-კავკასიაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებათ.

თათბირზე მოწვეულნი არიან ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების საგეგმო კომისიების და განათლების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები.

საგეგმო კომისიის სოციალურ-კულტურულ სექციას დაევალა სასწრაფოდ გამოიმუშაოს დირექტივები საყოველთაო სწავლების შემოღების გეგმების ხელახლა შესადგენათ და დაუგზავნოს ყველა რესპუბლიკებს.

მასწავლებელთა ხელფასის მომატება

საქ. განათლების სახ. კომისარიატმა განათლების მუშაკთა კავშირთან შეთანხმებით შეიმუშავა დებულება პირველ და მეორე საფეხურის სკოლების პედაგოგიურ პერსონალის ხელფასის და შრომის ნორმების შესახებ.

თანახმად დებულებისა, ორივე საფეხურის სკოლების პედაგოგიურ პერსონალის ხელფასისთვის წესდება მხოლოდ ორი განაკვეთი: პირველი და მეორე, რომელთა მინიჭება დამოკიდებულია მხოლოდ მასწავლებელთა სტაჟზე. პირველი განაკვეთი ეძლევა იმას, რომელსაც აქვს სტაჟი ხუთ წლამდე, მეორე განაკვეთი კი ეძლევა იმას, რომელსაც აქვს ხუთ წელზე მეტის სტაჟი.

პირველი განაკვეთის მიხედვით, ყოველ კვირაში 24 გაკვეთილის მიცემისათვის პირველ საფეხურის სკოლებში ჯგუფის მასწავლებელი მიიღებს 40 მანეთს, ხოლო მეორე განაკვეთის მიხედვით—44 მანეთს. წინად არსებულ ხელფასთან შედარებით ახალი დებულების მიხედვით ხელფასი მომატებულია 10 პროცენტით. ჯგუფის მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან ორ წყებად ორივე წყებაში მუშაობისათვის ეძლევათ ერთ ნახევარი განაკვეთი.

რაიონული სკოლების მასწავლებელთათვის არსდება ზემოთ აღნიშნული სტაჟის მიხედვით პირველი განაკვეთი—45 მანეთი, მეორე განაკვეთი 49 მანეთი.

პედაგოგიურ პერსონალის ხელფასი მეორე საფეხურის სკოლებში პირველი განაკვეთის მიხედვით წესდება—52 მანეთი, მეორე განაკვეთის მიხედვით—57 მანეთი. გარდა ძირითადი განაკვეთისა, მეორე საფეხურის სკოლებში პედაგოგიურ პერსონალს დამატებითი ხელფასი ეძლევა შემდეგ სამუშაოში და შემდეგი რაოდენობით:

პედაგოგიურ საბჭოს მდივანს—შვიდწლედში 4 მანეთი, ცხრაწლედში—5 მანეთი, ფიზიკურ კაბინეტის, ბუნების მეტყველების და ქიმიურ კაბინეტის გამგეებს—თითოს: შვიდწლედში—4 მანეთი, ცხრაწლედში—5 მანეთი. ბიბლიოთეკის გამგეს, თუ წიგნთა რიცხვი 500 ცალზე ნაკლები არაა—შვიდწლედში—4 მანეთი, ცხრაწლედში—5 მანეთი.

ცხრაწლედის გამგეებს სკოლის გამგებლობისათვის ეძლევათ 70 მანეთი შვიდწლედის გამგეებს და ცხრაწლედის გამგეთა მოადგილეებს ეძლევათ—40 მანეთი.

დებულება ამ დღეებში დამტკიცებულ იქნება განათლების სახ. კომისარიატისა და განათლების მუშაკთა კავშირის მიერ.

თბილისის მაზრაში

მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ 18 თებერვალს დაადგინა თბილისის მაზრის და ქალაქის სკოლების მასწავლებლებს გაუდიდოს ხელფასი 1 იანვრიდან.

ამ დადგენილების თანახმად თბილისის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მასწავლებელთა მომატებულ ხელფასით დაკმაყოფილების საკითხი და წარმოდგენილ ნუსხის მიხედვით დაადგინა თბილისის მაზრის თემებს, მასწავლებელთათვის წასულ თვეების ანგარიშში მომატებული ხელფასის დასარიგებლად, გადაუგზავნოს: ახურეთის თემს—321 მანეთი, ალბულაღის თემს—402 მანეთი, ბოგვის—201 მან., დუმანისის—120 მან., ზემო წალკის თემს—482 მ. 76 კ., თრიალეთის—563 მ. 36 კ., ირაგის—201 მ. 15 კ., მანგლისის თემს—482 მ. 78 კ., ქვემო-წალკის თემს—341 მ. 99 კ., შუა-წალკას—241 მ. 39 კ., ხართიჯალას—201 მ. 15 კ., გომბორის თემს—301 მ. 72 კ., ქვემო თიანეთს—181 მ., საგარეჯოს—281 მ. 61 კ., ზემო-ერწოს—603 მ. 45 კ., პატარძეულს—120 მ. 69 კ., მანავის თემს—201 მ. 15 კ., ქვემო-ერწოს—221 მ .26 კ., ზემო-თიანეთის—201 მ. 15 კ., არტანის თემს—80 მ. 46 კ., ავჭალის თემს—321 მ. 84 კ., ალტაგლიას—80 მ. 46 კ., დიღომის თემს—201 მ. 15 კ., თელეთის თემს—522 მ. 99 კ., კოჯორის თემს—402 მ. 30 კ., მარტყოფის—140 მ. 81 კ., ნორიოს თემს—281 მ. 81 კ., პრიუტის თემს—191 მ., ყარაიას—403 მ. 30 კ. და წყნეთის თემს—201 მ. 15 კ.

თანხები ადგილობრივ მრეწველობისათვის

(თათბირი ს. მ. უ. საბჭოში)

გუშინ, ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებასთან შესდგა საუწყებათაშორისო კომისიის თათბირი ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო წარმოებისათვის კრედიტების მიწოდების შესახებ. თათბირს დაესწრენ საქ. ფინსახკომის, სახელმწიფო ბანკის, ს. მ. უ. ს. სამრეწველო ბანკის და სხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები.

თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენება თელავის სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში 50.000 მან. გადადების შესახებ გრძელვადიანი კრედიტის სახით. აღნიშნული თანხით თელავის აღმასკომმა უნდა ააგოს ახალი სანიმუშო ღვინის სარდაფი, სარდაფში შენახული იქნება შორეულ ბაზრებზე გამოსატანი ღვინო. თათბირმა საჭიროდ აღიარა აღნიშნული თანხა დაუყოვნებლივ გადაეცეს თელავის აღმასკომს.

შემდეგ თათბირმა მოისმინა მოხსენება მაზრებს შორის მიმდინარე საოპერაციო წლის მესამე კვარტალში გასანაწილებელ კრედიტების განსაზღვრის შესახებ. თათბირმა დაადგინა რომ რესპუბლიკის მაზრებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველოებს დაურიგდეს მესამე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) 730.000 მანეთი. ეს თანხა გაუნაწილდება ყველა მაზრებს სამრეწველო ერთეულების რაოდენობის მიხედვით. თბილისის მაზრის, აჭარისტანის და აფხაზეთის ადგილობრივი წარმოებები აღნიშნული თანხიდან კრედიტების მიმღებთა სიაში არ შედიან.

თათბირმა გამოყო სპეც. ქვე-კომისია, რომელსაც დაევალა შეადგინოს კრედიტების განაწილების გეგმა.

ჰაეროპლანების გადაცემა

კვირას, 8 აპრილს, დილის 10 საათზე თბილისის ჰაეროდრომზე შესდგება სამხედრო ჰაეროპლანების „საქართველოს პროფკავშირები"-ს და „თბილისის პროლეტარიატი"-ს გადაცემა კავკ. წითელ დროშოვან არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის.

თვითმფრინავი „საქართველოს პროფკავშირები" აგებულია იმ თანხებით, რომელიც შეგროვილი იყო საქართველოს მშრომელთა მიერ. თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატი" აგებულია საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ.

თვითმფრინავების გადაცემაზე დასასწრებლად მოწვეული არიან თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების აქტივი, საზოგადოების წევრები, ავიაქიმრაზმელები, სანიტარული, პირველი დახმარების და სხვა წრეების წევრები.

8 აპრილს, დილის 9 საათზე ნავთლულისაკენ გავა მატარებელი, რომლითაც შეიძლება გამგზავრება ჰაეროდრომზე.

გადაცემას ცუდი ამინდი არ შეუშლის ხელს.

ფართლეულობის მომარაგება

თბილისის მუშათა კოოპერატივის გამგეობის ცნობით, წელს თბილისი მიიღებს 50 პროცენტით მეტ ფართალს, ვიდრე გასულ წელს მიიღო. უკვე მიღებული და განაწილებულია 10 ვაგონი ბამბის ქსოვილი.

მუშკოოპის მიერ მიღებულ ცნობებით, რუსეთიდან გადმოგზავნილია დამატებით 10 ვაგონი ფართალი, რაც დაუყოვნებლივ გაუნაწილდება კოოპერატიულ მაღაზიებს. წლის მესამე კვარტალის განმავლობაში (აპრილი, მაისი, ივნისი) მუშკოოპი მიიღებს 20 ვაგონ ფართალს.

ზამთრის განმავლობაში თბილისის მუშათა კოოპერატივს დაუგროვდა სელის ქსოვილები 120.000 მანეთის ღირებულებისა.

ამას გარდა, მიმდინარე კვარტალში მიღებული იქნება 40.000 მეტრი ფერადი ტილო. სულ მიმდინარე კვარტალის განმავლობაში მუშკოოპი მიიღებს 130.000 მანეთის სელის ქსოვილს.

ამ დღეებში მუშკოოპის მაღაზიებს გაუნაწილდებათ საკმაო რაოდენობის თეთრეული, რომელიც კოოპერატიულ კომისიების საშუალებით გაუნაწილდება მუშკოოპის წევრებს.

მიმდინარე სეზონის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმას, რომ საბოლოოდ იქნეს აღმოფხვრილი სპეკულიაცია ფართლის ბაზარზე, რასაც კერძო ვაჭრები ეწევიან.

წითელ ჯვარში

გუსტავ ადორის გარდაცვალება

ა. წ. 30 მარტს გარდაიცვალა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე გუსტავ ადორი.

საქ. წითელმა ჯვარმა წ. ჯ. საერთაშორისო კომიტეტის სახელზე გაგზავნა სამძიმრის დეპეშა.

კონგრესები და კონფერენციები

მიმდინარე წლის ივლისში, ქ. პარიზში შესდგება: უპატრონო ბავშვთა დამხმარე საერთაშორისო კავშირის კონფერენცია, დედათა და ბავშვთა დაცვის ორგანიზაციების კონგრესი, სოც. უზრუნველყოფის ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია და სოც. მფარველობის ორგანიზაციების კონგრესი.

კონფერენციებისა და კონგრესების მოსაწყობად დანიშნულია განსაკუთრებული ორკვირეული, რომლის განმავლობაშიაც ჩატარდება მათი მუშაობა.

კონგრესებისა და კონფერენციების გაერთიანებულმა საორგანიზაციო კომიტეტმა ხსენებულ კონგრესებზე და კონფერენციებზე მიიწვია საკავშირო მთავრობა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარი მთვარეების საკავშირო აღმასკომები.

კონფერენციები აფხაზეთსა და აჭარისტანში

დღეს, 7 აპრილს, ქ. სოხუმში გაიხსნება აფხაზეთის წითელი ჯვრის კონფერენცია. კონფერენციაზე თბილისიდან გაემგზავრა საქ. წითელი ჯვრის ცეკას თავმჯდომარის მოადგილე ექიმი ფანცხავა.

რკინის გზებზე

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის და საგზაო კომიტეტის მიმართვა რკინისგზელებისადმი

უკანასკნელ ხანებში ა.-კ. რკინის გზებზე შემთხვევების რიცხვის გადიდების გამო, ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ და რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა ა.-კ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს მიმართეს მოწოდებით.

მოწოდებაში მოყვანილია 1923—24 —1926—27 წლის პერიოდში მომხდარი შემთხვევების რიცხვი. თუმცა შემთხვევების რიცხვი უმნიშვნელოდ გაიზარდა, მაგრამ უკანასკნელ წლის განმავლობაში მათ მიერ გამოწვეული ზარალი გაცილებით მეტი იყო, ვინემ 1923—24-ში: თუ მაშინ ზარალი გამოიხატებოდა 218.000 მანეთში, 1926—27 წელში შემთხვევებით გამოწვეული ზარალი უდრიდა 1.075.850 მანეთს.

ა.-კ. რკინის გზებზე მომხდარ შემთხვევების მიზეზების შესწავლიდან ირკვევა, რომ შემთხვევების 60 პროცენტზე მეტი ხდება თვით რკინისგზელების დაუდევრობით. დანარჩენ 40 პროცენტიდან, 14 პროცენტი მოდის სტიქიურ და შემთხვევით მიზეზებზე და 26 პროცენტი—უმეტესად იგივ რკინისგზელების არა წესიერ მუშაობის შედეგია.

გზის აგენტების დაუდევრობით გამოწვეულ შემთხვევების ასეთი დიდი პროცენტი უსათუოდ აიხსნება შრომის დისციპლინის დაცემით, ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაციის ავტორიტეტის შესუსტებით და იმით, რომ გზის აგენტები არ იცავენ ტეხნიკურ და საექსპლოატაციო წესებს.

გზის გამგეობა და საგზაო კომიტეტი მოუწოდებენ მთელ რკინისგზელთა მასას და მათ საზოგადოებრივ — მუშურ კოლექტივებს: საუბნო კომიტეტებს, ადგილკომებს, საწარმოო კომისიებს და თათბირებს და ტეხნიკურ თათბირებს მიიღონ რაც შეიძლება მეტი საქმიანი მონაწილეობა ა.-კ. რკინის გზებზე მოძრაობის მოწესრიგების საქმეში.

შემდეგ მიმართვაში ჩამოთვლილია მთელი რიგი ღონისძიებები შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და დასასრულ ნათქვამია, რომ 1928 წელში შემთხვევებთან ბრძოლის მეთოდები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს საზოგადოებრივ - კოლექტიურ ზეგავლენის მეთოდებს და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო თათბირებს, რომელთა როლი შემთხვევებთან ბრძოლაში თვალსაჩინოდ უნდა გაიზარდოს.

ქრონიკა

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟი

იმ მიზნით, რომ სოფლის მოსახლეობას რაც შეიძლება ჩქარა მიეცეს შესაძლებლობა გამოიყენოს ის სარგებლიანობა, რომელსაც მას აძლევს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ამ სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი მოაწყოს მაისის შუა რიცხვებში.

ანტირელიგიური კამპანია

პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ მოახლოვებულ სარწმუნოებრივ დღესასწაულებთან დაკავშირებით, გადასწყვიტა გამოსცეს სარწმუნოების საწინააღმდეგო ფურცლები. პირველ ფურცელში გაშუქებული იქნება რელიგიისა და ქალთა სწორუფლებიანობის საკითხი. მეორე ფურცელში დახასიათებული იქნება რელიგია, როგორც ანტი-კულტურული მოძღვრება.

ფურცლები გამოვა ქართულ და რუსულ ენებზე და უფასოდ გავრცელებული იქნება მუშებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერების მიზნით დაარსებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერ-კავკასიის ცენტრი. შესაფერი გეგმის შესადგენად დაარსებული იქნა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: **თარხნიშვილი, იბაევი, ივანოვი, ჩხენკელი, კაკაბაძე, გედევანიშვილი, შირვანსკი და პოჩიკიანი.**

პოლიგრაფიული კომიტეტის გაუქმება

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტის ლიკვიდაცია, რისთვისაც შესაფერ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის ორგანოების წინაშე.

ახალი ქარხნის ამუშავება

ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაში მიღებულია ცნობა, რომ ამ დღეებში ოზურგეთში ამუშავებული იქნება ამას წინათ დამთავრებული კაკლის სარჩევი ქარხანა. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა ქარხნის ამუშავებაზე დასასწრებლად მიავლინოს თავისი წარმომადგენელი.

ქარხანა უნდა შეუდგეს 20.000 ფუთ კაკლის გარჩევას, რაც შეკვეთილი აქვს მას ა. კ. ვაჭრობის კომისარიატისაგან. გარჩეული კაკალი გატანილი იქნება საზღვარგარეთ.

ოზურგეთის კაკლის სარჩევი ქარხანა მოწყობილია უკანასკნელი კონსტრუქციის მანქანებით და მას შეუძლია წლიურათ გადაამუშაოს 75.000 ფუთი კაკალი.

პროდუქციის ანალიზები

ს. მ. უ. ს. ქიმიო-ტექნიკურმა ლაბორატორიამ დაამთავრა სამთო მრეწველობის ტრესტის პროდუქციის (ოხრა, სურიკი, ცეცხლგამძლე თიხა, გლაუბერის მარილი და სხ.) ანალიზი. ანალიზმა დაადასტურა, რომ პროდუქციის ღირსება კარგია და არა აქვს ადგილი მის გაყალბებას.

ამჟამად ლაბორატორია აწარმოებს თამბაქოს ტრესტის პროდუქციის შემოწმებას.

ინჟენერ-ქიმიკოსის მოწვევა

ს. მ. უ. საბჭომ გერმანიიდან მოიწვია ტექნიკური ანალიზების სპეციალისტი ინჟენერ-ქიმიკოსი ა. დანიშევსკი, რომელიც გუშინ ჩამოვიდა თბილისში.

ინჟ. დანიშევსკი მუშაობას შეუდგა ს. მ. უ. ს. ქიმიო-ტექნიკურ ლაბორატორიაში.

დისპუტი საბჭოთა რეპორტიორზე

ხვალ, 8 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქ. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება დისპუტი საბჭოთა რეპორტიორზე. დისპუტზე მოწვეული არიან საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილების და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას წარმომადგენლები და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს და ცაკის, ამ.-კავ. ფინსახკომის, ამ.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ამ.-კავ. საგეგმო კომისიის, ამ.-კავ. და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, საქ. სახალხო მეურნ. უმაღლეს საბჭოს და სხვ. დაწესებულებების საინფორმაციო ბიუროების მუშაკები.

თბილისის აღმასკომში

◆ **სარენტო გადასახადი.** თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა სარენტო გადასახადის პროექტი, რომელიც გამოქვეყნებული იქნება ამ დღეებში.

◆ **ლენინის სახელობის მეტყავეთა კლუბის** შესაკეთებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 600 მანეთი.

◆ **პოლიტექნიკურ ინსტიტუტს** თბილისის აღმასკომმა უფასოდ გადასცა ერთი ელექტრო მოტორი.

◆ **რადიო.** თბილისის მაზრის თემებში რადიო-მიმღებ სადგურების მოსაწყობად თბ. აღმასკომმა პოლიტგანათლების განყოფილებას გადასცა 612 მანეთი.

◆ **აქციები.** თბ. აღმასკომმა დაადგინა და მატებით შეიძინოს საქ. კომუნალურ ბანკის აქციები 114.000 მანეთის რაოდენობით.

◆ **გარაჟი.** თბ. აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს ახალი ცენტრალური გარაჟი.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **უნივერსიტეტის ახალი გამგეობის სხდომა.** კვირას, აპრილის 8-ს, დილის 12 საათზე უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში, მოწვეულია ახლად არჩეულ გამგეობის გაფართოებული სხდომა პროფესორ-დოცენტთა, უმცროს მასწავლებელთა და სტუდენტების მონაწილეობით.

◆ **სტუდენტთა აღმასბიუროში.** დღეს, დილის 1-ლ საათზე. სახ. უნივერსიტეტში შესდგება სტუდენტთა აღმასბიუროს სარევიზიო კომისიის სხდომა.

ჯანსახკომში

◆ **სამალარიო სადგური.** ჯანსახკომი 1 მაისს სიღნაღის მაზრის სოფ. ჯარისუბანში ხსნის სამალარიო სადგურს.

◆ **მოძრავი საექიმო პუნქტები.** ჯანსახკომმა დაადგინა რესპუბლიკის განაპირა კუთხეებში გასაგზავნათ მოაწყოს მოძრავი საექიმო პუნქტები.

სხვადასხვა

◆ **დისპუტი საბჭოთა რეპორტიორზე.** კვირას, საღამოს, 8 ს. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება დისპუტი საბჭოთა რეპორტიორზე.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** მოსკოვიდან—პოლიუდინს, ჩოხატაურიდან—სიხარულიძეს, ბათომიდან—გრიგორიანს, ხეთიდან—ბარამიძეს, ქუთაისიდან—მეძმარიაშვილს, ენისელიდან—ბოჭორიშვილს, სარატოვიდან—ამირეჯიბს.

შემთხვევები

10 წ. წინად მოკლულის გვამის პოვნის გარშემო

გუშინ, მეორე უბნის სახალხო გამომძიებელმა ლ. ვარძიემ მოახდინა რუსთაველის პროსპექტზე № 38 მომხდარ მკვლელობის ადგილის დაწვრილებითი დათვალიერება. გამომძიებლის აზრით, მკვლელობა ჩადენილია 10 წლის წინად. მოკლული კაცის ჩონჩხი გუშინ გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოს პროზექტურაში. დღეს ექიმ-ექსპერტები მოახდენენ მოკლულის ჩონჩხის შემოწმებას.

მიღებულია ზომები მოკლულის ვინაობის გამოსარკვევად და მკვლელთა დასაპატიმრებლად.

თავისმოწამვლა

გუშინ, დილით თავი მოიწამლა ვეწერა ალექსანდრეს ასულმა მამარდაშვილმა, 17 წლისა (მცხ. საბჭოს ქ. № 28).

მამარდაშვილის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

ორი ბავშის დაკარგვა

2 მარტს უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: ვიტალი პეტრეს ძე აფანასიევი, 15 წლისა (მცხ. სანაპიროს ქ. № 7) და ვასილ პანოიდის ძე დოქსოპულო, 14 წლის (მცხ. მე-4 უბნის ქ. № 2).

ხანძარი

გუშინწინ, ღამით არშაკუნიევის ჩიხში № 13 ორსართულიან სახლს გაუჩნდა ცეცხლი. საჩქაროდ გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 15 წუთის განმავლობაში.

თავდასხმა

გუშინწინ, ღამის 12 საათზე, სოფ. შინდისში (თელავის მაზრა) მცხოვრებს ალექსანდრე მეზურნიშვილს თავს დაესხა ვინტოვკებით შეიარაღებული ორი უცნობი პირი. თავდამსხმელებმა მეზურნიშვილს წაართვეს 11 ცხვარი და მიიმალნენ.

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ ეჭვით დააპატიმრა მამედი ყურბან-ოღლი და იზედა ალი კული-ოღლი.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ივანე აზგარის ძე აზრიამბანცი და რევაზ გაბრიელის ძე ქავთარაძე.

ხსენებული პირები თბილისში ეწეოდნენ ბინებისა და მაღაზიების გაქურდვას.

ქურდობა

გუშინწინ, მუშკოოპის მაღაზიაში № 3 მოიპარეს კაცის ტანისამოსი. ქურდი ვასილ თედორეს ძე კარუბიანი დაპატიმრებულია.

გუშინ, ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს სამკითხველო (ნიკ. ბარათაშვილის ქ. № 32); წაიღეს 100 მანეთის ხელსაწყოები. გაქურდეს ნინა მიქაშვილის ბინა (ხორავალის შესახ. № 32); წაიღეს 81 მანეთის ტანისამოსი;—გაქურდეს ივანე ფუცკარიძის ბინა (გოგებაშვილის ქ. № 1); მოიპარეს ტანისამოსი.—კარის შემტვრევის საშუალებით გაქურდეს სიმონ პინჩველაშვილის ბინა (სასამართლოს ქ. 14); წაიღეს 150 მანეთის ტანისამოსი.—გაქურდეს გიორგი ხომიზარიშვილის ბინა (ხოდადოვის ქ. № 13); წაიღეს 80 მანეთის საოჯახო ნივთები.

მდინარეების ადიდება

მტკვრის ადიდება

გუშინ მტკვარი კვლავ ადიდდა. თბილისის ფარგლებში მდინარის დონემ აიწია 284 სანტიმეტრამდე. გორიდან იტყობინებიან, რომ იქ მტკვრის დონემ მიაღწია 190 სანტიმეტრს.

ონში

ონიდან იტყობინებიან, რომ ქალაქის მახლობელ მდინარეების ადიდება უკვე დაიწყო. აღნიშნული მდინარეები წალეკვით ემუქრებიან ქალაქსაც. წყალდიდობასთან მებრძოლი სამაზრო სამეული შეუდგა ქალაქის დასაცავად ცხრა ჯებირის აგებას.

რაჭის მაზრიდანვე მოსული ცნობების თანახმად, წყალდიდობა იქ საფრთხეში აყენებს რამოდენიმე რაიონს. ადიდებულია მდ. ქრახულა, რიცეული და რიონი. რიონმა დაფარა ნაპირებზე მდებარე სასოფლო საძოვრები.

ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქის სამაზრო სამეული ატყობინებს წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო კომისიას: 22 მარტამდე მთელ მაზრაში განუწყვეტლივ სთოვდა. მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთა წარმოება შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ხელოვნურათ მოშვერებული ადგილი ჯებირების ასაგებათ დაუყონებლივ იფარებოდა თოვლით. 26 მარტიდან თოვა შესწყდა და მუშაობაც ყველგან დაიწყო.

პირველ რიგში გადაწყვეტილია სასოფლო გზებისა და შარა გზების დასაცავ სამუშაოთა შესრულება. დასახლებულ ადგილებს ჯერჯერობით საფრთხე არ მოელის.

ზუგდიდის მაზრაში მუშაობა მთავრდება

ზუგდიდის მაზრიდან წყალთა მეურნეობის სამმართველოს ატყობინებენ, რომ მდ. ენგურისა და ხობის-წყალის ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები დასრულებული იქნება ერთ კვირაში.

აღნიშნული მდინარეების ადიდება უკვე დაწყებულია, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ გადასცილებიან ნაპირებს.

ლიუქსემბურგში

ლიუქსემბურგი, 5 აპრილი. ვინაიდან მოსალოდნელია წყალდიდობა, მოსახლეობა ენერგიულ მუშაობას აწარმოებს მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად. შექმნილია სამაზრო და სათემო სამეულები წყალდიდობასთან საბრძოლველად. ამ მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს მაზრის მთელი ტექნიკური პერსონალი. ლიუქსემბურგის მცხოვრებლებმა უკანასკნელ დროს გააკეთეს 35 ჯებირი. მუშაობაში ჩაბმული იყო 2.000-ზე მეტი კაცი. (ადს).

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„ლაკმე"—მუს. დელიბასი

ლ. ი. ლიპკოვსკაიას მეორე გასტროლი

ლ. ი. ლიპკოვსკაია, მისი საკონცერტო გამოსვლების დროს, უკვე შეფასებულია ჩვენ მიერ როგორც უმაღლეს კვალიფიკაციის მომღერალი, რომელშიც საუკეთესო ტექნიკურ დამზადებასთან შეხამებულია შესანიშნავი მხატვრული აზროვნება. მისი გამოსვლა ა. წ. აპრილის 5 ლაკმეს როლში, სრულებით ამტკიცებს ამ აზრს, მაგრამ ამასთან ერთად ძალა უნებურად ისმება საკითხი მომღერლის ზემო აღნიშნულ თვისებათა გამოყენების შესახებ სცენის ობიექტურ პირობებში.

საზოგადოთ მომღერლის ხმის ბგერათა დანაწილება სივრცეში დამოკიდებულია არა ცალკე ბგერის სიფართოვიდან, არამედ მის წარმომშობ ჰაერის ნაწილების დაჭიმვიდან, სისწრაფიდან, რომლითაც ეს ნაწილები მისდევენ ერთმანეთს, და ამ მიმდინარეობის განუწყვეტლობისაგან, რამდენადაც ბგერათა ეს დაჭიმვა, სისწრაფე და მიმდინარეობა უახლოვდება ლითონით მიერ წარმოშობილ ბგერათა თვისებებს—მით უფრო იშლება სივრცეში ბგერები. ასეთ შემთხვევაში იტყვიან, რომ ხმა „ლითონს შეიცავსო". ჩვენის აზრით სწორედ ეს „ლითონი" ნაკლებად მოიპოვება დღევანდელ ხმაში, და ეს სავსებით მტკიცდება იმ გარემოებით, რომ ეს ხმა სრულებით ვერ იტანს შეჯიბრებას ნამდვილ ლითონის ხმოვანებასთან. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომღერალს უხდება მღერა ლითონის ჯგუფის ინსტრუმენტებთან, მისი ხმა ქვემო და შუა ფენებში სრულიად აღარ ისმის. ზემო ფენებში კი ღებულობს მისუსტებულ ელფერს.

ვინაიდან დღეს ყოვლად წარმოუდგენელია ოპერა, რომლის ინსტრუმენტალობაშიც ლითონის ჯგუფის ინსტრუმენტებიც არ მოიპოვება, შთაბეჭდილება ლიპკოვსკაიას სიმღერიდან ოპერაში ყოველთვის იქნება უთანასწორო. შთაბეჭდილება იმატებს სიმღერაში სიმებიან ჯგუფთან ერთად და დაიკლებს ლითონის ახმაურების დროს. მაგრამ უკეთეს შემთხვევაშიაც—კი, „ლითონის" თვისებათა სიმცირის გამო, ლიპკოვსკაიას სიმღერა ვერ იმორჩილებს მანძილს, მშვენივრად ისმის და ახდენს დიდ შთაბეჭდილებას იმ მსმენელებზე, რომელნიც ახლო არიან სცენიდან, სცენიდან დაშორებულთ—კი გარკვეულათ ესმით ლიპკოვსკაიას სიმღერა მხოლოდ ხმის მაღალ ფენებში (სადაც ბგერათა დაჭიმვა უფრო მეტია), ეს გარემოება ქმნის მსმენელებში ერთგვარ უკმაყოფილებას და იწვევს კამათს ლიპკოვსკაიას შემოქმედების ირგვლივ.

ლიპკოვსკაიას შემოქმედებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკონცერტო გამოსვლებს, სადაც აკუსტიური პირობების გამო ყოველ მსმენელს ეძლევა სრული საშუალება დეტალურად შეიგრძნოს მომღერლის შესანიშნავი ხმა.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი

ხელოვნების ქრონიკა

მოსკოვის კამერული თეატრის გასტროლები

24 აპრილიდან სახელმწიფო ოპერის თეატრში დაიწყება მოსკოვის სახელმწიფო კამერული თეატრის გასტროლები.

მოსკოვიდან თეატრი მოემგზავრება მთელი თავისი შემადგენლობით (დასი, ორკესტრი, ტექნიკური პერსონალი და სხ.). მოაქვს საკუთარი დეკორაციები, კონსტრუქციები, ავეჯეულობა, კოსტიუმები, ბუტაფორია და ელექტრო-მოწყობილობა.

თბილისში თეატრი დარჩება 13 მაისამდე და გამართავს 22 წარმოდგენას. თეატრის საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია შემდეგი პიესები: ე. სკრიბის—„ადრიენა ლეკუვრერი", გაზენკლევერ-გოლოსოვკერი—„ანტიგონე", ა. ოსტროვსკი, — „ქარიშხალი" ო'ნეილის — „Любовь под вязами", ა. გლობას — „როზიტა", ლეკოკის მუსიკალური კომედია „დღე და ღამე", (ტექსტი ვ. მასის), არგოს და ადუევის მუსიკ. კომ. „ჟიროფლე-ჟიროფლა" (მუსიკა ლეკოკის), და ზაკის და დანციგერის „სიროკო".

— ხელოვანთა სახლში დღეს, საღამოს 7 ს. მოწვეულია საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამოსწავლო-მეთოდიური კომისიის სხდომა. უნდა დაესწრონ: ს. ამაღლობელი, ბ. ბუაჩიძე, ა. ვართანიანი, შ. დუდუჩავა, გ. კრეიტანი, გ. ლეონიძე, ვ. მაჭავარიანი, მამულაშვილი, დ. რინკლეგი, შ. რადიანი, ა. ხულავა, სუტირინი და ვ. ტატულოვა.

— ლიპკოვსკაიას მონაწილეობით დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „მადამ ბატერფლაი".

სასამართლო

ვინ მოწამლა ბავში?

საბრალმდებლო სკამზე ზის ახალგაზრდა გლეხი-ქალი კატო ხაზარაშვილი.

ბრალად ედება თავისი ჩვილი ბავშის მოწამვლა. ამბავი მოხდა გასულ წელს სოფელ თოხლიაურში (თბილისის მაზრა).

ხაზარაშვილის ოჯახის წევრები უკმაყოფილო იყვნენ მით, რომ კატომ პირველად ქალიშვილი შეეძინა. არც კატო იყო ამით კმაყოფილი. მეორეჯერ, რომ ფეხმძიმე შეიქნა კატო, ოჯახის წევრებმა „დაკვეთა" მისცეს, რომ უსათუოდ ვაჟი გაეკეთებია.

— თუ ვაჟი არ იქნა, მოვკლავ და გადავაგდებო, ხშირად იტყოდა ხოლმე კატო ხაზარაშვილი სხვების გასაგონად.

კატო მოილოგინდა და ყველას სურვილის წინააღმდეგ ისევ ქალი ეყოლა.

გავიდა ცხრა დღე და ბავში მოკვდა.

გამოიკვლიეს ბავშის სიკვდილის მიზეზი და შაბიამნით მოწამლული აღმოჩნდა.

პასუხისგებაში იქნა მიცემული დედა—კატო ხაზარაშვილი.

ხაზარაშვილი თავს არ სცნობს დამნაშავედ.

— მე აკვანში ჩაწვენილი დავტოვე ბავში, წყაროზე წავედი. მოვბრუნდი და ბავშს ლურჯი სითხე ამოსდიოდა პირიდან. მე არაფერი არ ვიცი, ვინ დაალევია შაბიამანი,—ლაპარაკობს ბრალდებული.

ბრალდებულის თხოვნით მისი დაკითხვა სწარმოებდა დახურულ კარებში. ქალი ლაპარაკობს, რომ შესაძლებელია მისმა ქმარმა და დედამთილმა მოაწყვეს ეს საქმე. უკანასკნელნი მასთან ცუდ განწყობილებაში არიან. შეძულეს, რადგან ვაჟი არ ეყოლა.

ბრალდებული გადაჭრით ვერ ადებს ხელს ვერც ქმარს და ვერც დედამთილს. ლაპარაკობს, რომ ის აიძულეს თავისთავზე დაებრალებია ბავშის მოწამვლა.

— მე მხოლოდ იმაში ვარ დამნაშავე, რომ ერთხელ წამოსცდა თუ ვაჟი არ იქნა მოვკლავ მეთქი... ეს არის ჩემი დანაშაული... არ უნდა მეთქვა.... აბა, ამ ცოდვას როგორ ჩავიდენდი! ცხრა თვე მუცლით ვატარებდი... ჩემს ღვიძლ შვილს ჩემივე ხელით მოვკლავდი?.. ეს სულ მაგათი ბრალია,—ლაპარაკობს მღელვარე ხმით ბრალდებული.

დედამთილი უარყოფს მონაწილეობას ბავშის მოწამვლაში და ლაპარაკობს: არ ვიცი რამ მოწამლა და როგორ მოხდაო.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება. დღეს გამოტანილი იქნება განაჩენი.

რომანი

ხილოვან სიმონის ძე ხუნდაძე და ნინა შამანაურის ასული შემთხვევით გაეცნენ ერთმანეთს მატარებელში. ეს იყო ამ 3—4 წლის წინ.

შამანაურის ქალი ავჭალაში მიემგზავრებოდა. იჯდა თავისთვის და წიგნს კითხულობდა. იმდენი ეცადა ხუნდაძემ, რომ ავჭალაში ჩასვლამდე გაცნობაც მოასწრო და გამომშვიდობება.

ქალი თბილისის მცხოვრებია. მეორე დღეს ხუნდაძე სადგურზე დაუხვდა ქალს და ამ დღიდან დაიწყო მათ შორის რომანი.

გავიდა დრო. ხუნდაძეს ეჭვიანობა დაეტყო. ქალს ჰკარგავდა, როცა ვინმესთან დაინახავდა თავის შეყვარებულს.

ეჭვიანობის ნიადაგზე ისინი გაებუტნენ ერთმანეთს და დიდი ხნის განმავლობაში ხმა არ გაუციათ.

გასულ წელს ხუნდაძემ უცნობი ქალი მიუგზავნა შამანაურის ქალს და შეუთვალა: უკანასკნელ დღეში ვარ და მინახულეო.

ქალი მივიდა სანახავად. ხანმოკლე საუბრის შემდეგ ხუნდაძემ ქალს მოსთხოვა თავისი წერილების უკანვე დაბრუნება.

— ჯერ შენ დამიბრუნე ჩემი წერილები და შემდეგ მეც დაგიბრუნებ,—უპასუხებს ქალი.

— მაშ თუ ასეა, მერიდე,—მუქარით უთხრა ხუნდაძემ ქალს.

ქალი მართლაც შეშინდა. დიდ ხანს იყო ასეთ შიშს ქვეშ. ბოლოს გამოუჩნდა „საბედო" და ქმარს გაჰყვა.

ამ ამბავმა კიდევ უფრო აალელვა ხუნდაძე, რომელმაც მოუხშირა მოციქულების გზავნას წერილების დაბრუნების გარშემო.

ახალ წელს ხუნდაძე შემთხვევით გაჩერებული იყო პლეხანოვის პროსპექტზე. ხედავს მოდის ნინო, რომელსაც მკლავში ხელი გაუყრია ქმრისათვის და სიცილ-ხარხარით რაღაცას უყვება.

ქალმა სალამიც არ მისცა ხუნდაძეს, არც კი შეხედა ისე ჩაუარა გვერდით.

ცუდ გუნებაზე დადგა ხუნდაძე. კვლავ მოაგონდა თავისი წერილები. კვლავ აენთო შურისძიების გრძნობით.

მეორე დღესვე გაუგზავნა ქალს თავისი ამხანაგი და დაავალა წერილების მოტანა.

— მე მესამე პირს წერილებს არ გადავცემ, ხვალ მოვიდეს სამსახურში ჩემთან, მოიტანოს უკანვე ჩემი წერილები და მეც დაუბრუნებ,—გამოისტუმრა ქალმა მოციქული.

არ გასულა ამის შემდეგ ერთი საათი, რომ ნინას სახლში მივიდა თვითონ ხუნდაძე.

მომეცი თუ არა ჩემს წერილებს უკან,—აღელვებული მიმართავს ქალს ხუნდაძე.

— რას გაჰკიდებე საქმე ამ წერილებით, რა ჯანდაბათ მინდა... აჰა! შენს თვალწინ დავხევ.

— ქალმა გამოიტანა წერილები, ნაკუწ-ნაკუწად აქცია და გადაყარა.

ამ დროს გავარდა რევოლვერის. დაჭრილი ქალი მოწყვეტით გაიქცა თავის გადასარჩენად, გავარდა მეორეჯერ და გასისხლიანებული ქალი დაეცა იატაკზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობები ორივე სასიკვდილოდ სცნეს ექიმებმა, ქალი შემთხვევით გადარჩა სიკვდილს და რამდენიმე ხნის შემდეგ განიკურნა.

ხუნდაძე დაპატიმრებულია. საქმე გაირჩევა თბილისის სამაზრო სასამართლოში.

შენ.

საჭირო განმარტება. ჩვენი გაზეთის 3 აპრილის ნომერში სასამართლოს განყოფილების ანგარიშში „მთვრალი ხულიგანი"-ს სათაურით არ შეეხება ვლადიმერ მარკოზის ძე კავლიშვილს.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 7 აპრილი

დღეს, 7 აპრილს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი „ახალი სოფელი"—ქართულ ენაზე.

მოხსენება: ნათესების კონტრაქტაცია—ქართულ ენაზე.

მოხსენება: კოოპერაცია და გლეხობა—ქართულ ენაზე.

მოხსენება: გლეხთა ცენტრალურ სახლის მიზანი და ამოცანები—ქართულ ენაზე.

მიწისძვრა და მისი მიზეზები—რუსულ ენაზე.

გაზეთი „ენიკენ"—თურქულ ენაზე.

გეო-ფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

რადიო-გადაცემის ერთი კვირის პროგრამის გადაცემა—რუსულ და ქართულ ენებზე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 7 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან. ოლია ვაშაკიძე, არმენაკ არუთინოვი, ალექსი ზონგულაშვილი, ნიკო ქავთარაძე, ალექ ალექსანიანი, სტეფანე მჭედლიშვილი, ჰაიკ გალუსტოვი, მიხეილ სოლანგულოვი, ოვაგიმ სარქისოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: მარიამ ბარძიმიშვილი და თამარ ლოლაძე.

რკ. გზელთა სექციიდან: სერგო გრიგორიანი, პარმენ გეწაძე, სარდიონ აზვლედიანი, ელიზბარ ჯილაური და ნიკოლოზ დალაქიშვილი.

შავ მუშათა მე-8 სექციიდან: მიხეილ გაბასაშვილი, ალექსი ჯალაღაშვილი, ალექსი მჭედლიშვილი, მარიამ კურელი, ვერა ტოლკონნიკოვი, ალექსანდრე ბალბაევი, ვალენტინა ზუელი.

მეცნიერება და ტექნიკა

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის საზღვარი

ამ რამდენიმე ხნის წინათ გარდაიცვალა 133 წლის ინგლისელი მემაღარე, რომელიც 85 წლის განმავლობაში მუშაობდა ერთ და იმავე მაღაროში. ინგლისელი გლეხი პერრი 130 წლამდე ასრულებდა მძიმე მუშაობას. 120 წლის დაქორწინდა და 32 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ახალ ცოლთან. ვინმე ჯენკინსმა 160 წლამდე იცხოვრა, როცა 140 წლის იყო, რაღაც დანაშაულისათვის სასამართლოს წინაშე წარსდგა თავისი ორი ვაჟით—ერთი მათგანი 100 წლის იყო, მეორე—102.

დიდი ხანია ცნობილია, რომ სიცოცხლის თეორეტიული ხანგრძლივობა განსაზღვრულ შეფარდებაში იმყოფება ზრდის პერიოდთან. ორმა ინგლისელმა მეცნიერმა გამოარკვია, რომ არსებობს ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობის სამი პერიოდი. თუ მესამე პერიოდს 13-ზე გავამრავლებთ, შეიძლება გამოირკვეს ამა თუ იმ სახის ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაქსიმალური საზღვარი. ამრიგად გამორკვეულ იქნა, რომ ვირთხებს შეუძლიათ ცხოვრება— 3 წელიწადი, კატებს—5 წ., ძროხებს—29 წ. და სხ. ამ გამოანგარიშებით ადამიანმა უნდა იცოცხლოს 137 წელიწადი. მაგრამ გავლენები ძლიერ ამოკლებენ ამ ვადას.

ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ვ. ნემილოვი თავის ახლახან გამოსულ წიგნში „სიკვდილი და სიცოცხლე" აღნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ამ ჰასაკს მხოლოდ ხელოვნურად შექმნილ ხელსაყრელ პირობებში. არაფერმა არ უნდა დაარღვიოს მისი მყუდროება, მას არ უნდა ჰქონდეს კავშირი არავისთან, ის უნდა ერიდოს ზედმეტ მოძრაობას და, უპირველეს ყოვლისა, ყოველგვარ აღელვებას.

ბერლინელი ფიზიოლოგი მაქს რუბნერი ფიქრობს, რომ თეორეტიულად გამოანგარიშებული ხანგრძლივობა ადამიანის სიცოცხლისა უდრის 122 წელიწადს. მისი აზრით, ცოცხალი მასის განსაზღვრული წონა მოითხოვს ენერგიის განსაზღვრულ რაოდენობას. ასე მაგალითად, ცხენი კილოგრამ წონაზე ხარჯავს—163.000 კალორიას, ძაღლი—164.000, კატა—233.000, ადამიანი დიდძალ ენერგიას ხარჯავს თავის კილოგრამ-წონაზე. პროფ. რუბნერის გამოანგარიშებით, ადამიანი თავის კილოგრამ წონაზე ხარჯავს 725.000 კალორიას. ყოველგვარი ავადმყოფობა და არანორმალური ცხოვრება აძლიერებს ენერგიის ხარჯვას და ამოკლებს სიცოცხლეს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ცხენის სიცოცხლის ხანგრძლივობა უდრის 25 წელიწადს და რომ იგი კილოგრამ წონაზე ხარჯავს 163.000 კალორიას, ადამიანს კი კილოგრამ-წონაზე ესაჭიროება 725.000 კალორია, ე. ი. 5-ჯერ მეტი, შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: იგი მერყეობს 112—133 წლის ფარგლებში.

მაგრამ ამ ასაკს ხშირად აღწევენ ადამიანები, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული წესიერი ცხოვრებით და არასოდეს არ იყვნენ დაინტერესებული მედიცინისა და ჰიგიენის მოთხოვნილებებით.

ინგლისში ამ რამოდენიმე ხნის წინად გარდაიცვალა 120 წლის მოხუცი ბრაუნი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პაპიროსს ეწეოდა და ლოთობდა. მისი საფლავის ლოდზე სწერია: „იგი მუდამ მთვრალი იყო და ასეთ მდგომარეობაში იმდენ საშინელებას წარმოადგენდა, რომ სიკვდილსაც კი ეშინოდა მისი".

არავის მიუღწევია 187 წლის ჰასაკამდე, მაგრამ 122 წლამდეც იშვიათად თუ ვინმე აღწევს. მილიონ ადამიანზე მოდის ერთი, რომელმაც ას წლამდე იცოცხლა.

„კრიპტოგრაფი"

ინგლისელმა გამომგონებელმა გოლმა გამოიგონა დაშიფრული წერილების ჩამწერი მანქანა. „კრიპტოგრაფი" — ასე უწოდებს გამომგონებელი ამ მანქანას — შესდგება ჩვეულებრივ საბეჭდ მანქანიდან, რომელიც ელექტრონის მავთულებით შეერთებულია მეორე მანქანასთან. უკანასკნელი მანქანა ჩაწერს ყველაფერს, რასაც პირველი ბეჭდავს, მაგრამ პირობითი ნიშნებით. შიფრის სისტემის შეცვლა უკანასკნელ მანქანაზე შეიძლება ყოველ წუთში. „კრიპტოგრაფის" ჩანაწერის წაკითხვა შეუძლია მხოლოდ შიფრთან გაცნობილ პირს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ანტისააღდგომო კამპანიის პერიოდში კლუბებში და წითელ კუთხეებში ანტირელიგიურ თემებზე მოხსენებებისა და ლექციების ჩასატარებლად, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი გზავნის და რაიკომებზე ამაგრებს შემდეგ ამხანაგებს:

პირველ რაიკომში: კურბანოვს, მთვარელიძეს (ცენტრ. პარტსკოლა), ნიკოლაევსკის, ორაგველიძეს, (საქ. კ. პ. (ბ) ცეკა), სნეგირევს (კავ. წით. დროშ. არმიის პოლიტ-სამმართ.) და მეგრელიძეს (საქ. კ. პ. (ბ) ცეკა).

მეორე რაიკომში: გეგენავას (ცენტრ. პარტსკოლა), ტარასოვს (თბილისის კომიტ.), იმედაძეს (საქ. კ. პ. (ბ) ცეკა), ორლოვს (ამ.-კავ პარტსკოლა); პონამარენკოს, პოლოსოვს (განათ. მუშაკ. კავშ.) და პიტოევს.

მესამე რაიკომში: ზავენ ადამიანს, (სახ. პოლიტექ. ინსტიტ.), შახდინაროვს, ხუციშვილს (ცენტრ. პარტსკოლა), ასლანიანს, ზურაბოვს. (ამ. კავკ. კომუნივერს.) ს. ხუნდაძეს (სახ. უნივერსიტ.) აზოთ თუმანიანს და სისიანს (ჯანმრთ. განყოფ.).

მეოთხე რაიკომში: ანდრიაძეს, შელიას, ჩახვაძეს, კვიცარიძეს, (სახ. უნივერსიტ.), ბოლოტნიკოვს, იონოვს (ამ. კავკ. კომუნ. უნივერს.), ხაჭაპურიძეს (სახ. პოლიტ-სამმართველო) და დუდუჩავას.

დღეს, 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის—ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში შესდგება თათბირი საშვებულებო კამპანიის ჩატარების საკითხების შესახებ.

თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

მაჩაიძე, ფირალიშვილი, (საქპროფსაბჭო), **კაკაბაძე** (სოფლის კავშირი), **ნაფეტვარიძე** (სოფლის კავშირი), **თომოცაძე** (სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო), **არემიძე** (საქ. სახ. ვაჭრ. სააიო ამხანაგობა), **მათიკაშვილი** (საქ. ცაკი), **მესხი** (თბილისის აღმასკომი), **კალატოზოვი** (საქ. სახ. სამეურნეო ბანკი), **ბიბინეიშვილი** (სახელგამი), **წილოსანი. მაქსიმოვი** (თავდაცვა-ავიაქიმი), **ქოიავა, ნაცვლიშვილი** (რემედასის ცეკა), **იმედაძე** (პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა), **აფაქიძე** (სახ. მეურ. უმ. საბჭო), **ქავთარაძე** („საქართველოს ჩაი"), **გოგინეიშვილი** (ამ. კავკ. მებაღეობის კომიტეტი), **ერისთავი** (მუშკოოპი), **კანდელაკი** (თბილისის საუბნო კომიტეტი), **მჭედლიშვილი** (გლეხთა სახლი).

ზემოთ დასახელებულთა გარდა, თათბირზე უნდა გამოცხადდენ აგრეთვე კლუბების გამგეობის და სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის თავმჯდომარენი, გაზეთ „კომუნისტი"-ს „მუშა"-ს და „რაბოჩაია პრავდა"-ს წარმომადგენლები და საშვებულებო კომისიის ჩამტარებელი რაიონული კომისიის ყველა წევრები.

ხუთშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. მამულიას კაბინეტში შესდგება აგიტპროპკოლეგიის სხდომა.

დღის წესრიგშია:

სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა გორის მაზრაში (გორის სამაზრო კომიტეტის აგიტპროპგანყოფილების გამგის მოხსენება და ხაშურის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის, ზორყომის რაიკომის და ცეკას ინსტრუქტორის თანამოხსენებები), ქუთაისის საბჭოთა პარტიული სკოლის გამოკვლევის შედეგები, მიმდინარე საკითხები.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ს. მამულია, კ. მეგრელიძე, ნ. მახარაძე, დ. ორაგველიძე, ვ. პიტოევი, დ. კანდელაკი, ვ. იმედაძე, ერ. ასრიბეკოვი, მ. მაშკევიჩი, ვ. ჯაფარიძე, ა. სტურუა, არ. მიქაძე, ალ. ფირალიშვილი, ვ. ჟორჟოლაძე, კ. პატარაია, სნეგირევი და ჩანქვეტაძე (სახ. ახ. ლ. კ. კ. ცეკა).

მომხსენებლები უნდა გამოცხადდენ ამხ. მამულიასთან 11 აპრილს დილის 10 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დღეს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე დანიშნულია სხდომა, რომელზედაც უნდა გამოცხადდენ: ამხ. დ. კანდელაკი, მალ. ტოროშელიძე, კახიანი, ს. ხუნდაძე და არ. კვირიკაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ბეჭდვითი განყოფილება სთხოვს ამხ. სიმონ ხუნდაძეს შემოიაროს დღეს, 7 აპრილს, დღის 3 საათზე ამხ. ელიაკაშვილთან.

სახ. უნივერსიტეტის ყოფილ ახალგ. მარქსისტთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე ამხ. კ. ხულაქველიძის ხელმძღვანელობით შესდგება ლენინიზმის წრის მეცადინეობა.

წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 7 აპრილს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია ბიუროს სხდომა, წევრკანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ამხ. ვლადიმერ ნუცუბიძე, ალექსანდრე ნაკაიძე, ჯალიაშვილი, შალვა გელოშვილი და ყველა ის ამხანაგები რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 7 აპრილს, საღამოს 4 საათზე ბიურო-კოლექტივის ოთახში ამხ. ხვანიძესთან:

ნიკოლოზ ღვინჯილია, გიორგი შენგელია, გაბრიელ ჯორბენაძე, აკაკი ჯანაშია, შალვა ცერცვაძე, ავთანდილ ხუციშვილი, ლავრენტი ხუნდუა, ვახტანგ ლეჟავა, ილია წულაძე, გალაქტიონ წულაია, ბიძინა აბესაძე, კორნელი ბახტაძე, კონსტანტინე ბეგაძე, იასონ ბულეიშვილი, გიორგი ბურალავა, ივანე გიგაური, ირაკლი გამყრელიძე, ვასილ გვენცაძე, აბრამ გიგაური და ლეონიდე თავხელიძე.

დღეს, 7 აპრილს, დღის 3 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს მორიგი სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ კურსის პარტორგანიზატორები—ამხ. ბერიშვილი, პაიჭაძე, ფრუიძე, კურსის პარტიული რწმუნებულები, პროფკომის თავმჯდომარე ამხ. ჯანელიძე და ახ. ლ. კ. კ. უჯრედის მდივნები—ამხ. კბილაძე და ხაჯანაძე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-3-მე რაიკომი იტყობინება, რომ კვირას, 8 აპრილს, დილის 9 საათზე მესამე რაიკომის შენობაში შესდგება ამავე რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ეკატერინე პოლიავინა, მარიამ აგაიანი, ვარსენიკ გევორქოვა, ვასილ კუჭუხიძე, ლიდა საბექია, ეკატერინე ფურცელაძე, პელო ბუდხუზი, ლეკიშვილი, დარბაისელი, ოლღა ხაჯალია, მარიამ ბარისაშვილი, ელენე კერვალიძე, როზა რიხავა, ნინო იგრიაშვილი, მარო მოშიტაშვილი, ნინო სიხარულიძე, მარიამ ცანცაძე, სიმონ მეტრეველი, კოქლამაზაშვილი, ჩიტიშვილი, ს. ბერიაშვილი, ს. კობლიაშვილი, გ. თოლიაშვილი, ა. კუჯიევი, ტერ-მოსესოვი, ბარალიძე, გასან- ასკერ-ოღლი, არამ მანუკოვი, იაკობ სვირიდოვი, სერგო შახდინაროვი, ელენე რუდნიკი, ლ. მელაშვილი. ბესარიონ კობერიძე, ბარბალე გალდავა, ა. გოთოშია და მარიამ ზოლოტარევა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს პირადი საქმეების მისაღებად სამი დღის ვადაში გამოცხადდენ ამხ. ჩაჩანიძესთან ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში:

აზოთ მელკანიანცი, ნიკოლოზ კოპალეიშვილი, ნიკოლოზ ტატიშვილი, პლატონ აბშილავა, ივანე ფეიქრიშვილი, იაკობ მჭედლიშვილი, ნიკოლოზ ბაბლიძე, გრიგოლ ჯელია, გრიგოლ ტაბიძე, ტარასი კინცურეიშვილი, გიორგი ერისთავი, კირიაკ მურადოვი, გიორგი ბაბაევი, გრიგოლ ვერულიანი, ანა სტაროვა, ნინო გიგაური, ნესტორ ბოლოტაევი, გრიგოლ გაბისონია, გ. შავკაევი, მოსე ორმოცაძე, შაქრო პაატიშვილი, გაიკ ვართანიანი, ისაკ კაზაროვი, ივანე გალკინი, ნიკოლოზ ცხაკაია, სოფიო თალაკვაძე, სიმონ ნარიმანიძე, საკო ალთუნაშვილი, გიორგი ნათბილაძე, ნინო მახარაძე, კუნტა დუსენია, ალექსანდრე ხილალაძე, ელისაბედ ჟორჟოლაძე, გრიგოლ ცინცაძე, ევსტაფია ძახოვა, ვალიკო სიხარულიძე, გრიგოლ გიგვაძე, ზაქარია ალადაშვილი, მიხეილ ჩიკვიძე, ივანე კვიცარიძე, ივანე ხუბულური, ალექსანდრე გოგიაშვილი, ნიკოლოზ ენუქიძე, ალექსანდრე ნაზაროვი, ივანე ბურდიაშვილი და სიმონ გოგიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ნ. ი. ბახტაძის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა, ამხ. ბ. ჯ. გოგიას საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და მისი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დანიშვნისა და კ. დ. კაკაბაძის საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1 განთავისუფლებულ იქნეს ამხ. ნიკოლოზ იოანეს ძე ბახტაძე, მისი თხოვნის თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნოს ამხ. ბესარიონ ჯატუს ძე გოგია, რის გამოც განთავისუფლებულ იქნეს იგი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნეს ამხ. კირილე დიმიტრის ძე კაკაბაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 6
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 9

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-19 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წლის ივლისის 27-ს დამტკიცებული სამხედრო დანაშაულთა ახალი დებულების (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 50, მუხ. 504 და 505) სამოქმედო შემოღებისა და 1924 წლის ოქტომბრის 31-ის თარიღით გამოცემულ სამხედრო დანაშაულთა დებულების (სსრკ კან. კრებ. 1924 წ. № 24 მუხ. 207) გაუქმების გამო—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის შესახებ მომქმედი დებულების (საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის კან. კრებ. 1926 წ. მე-5 №-რი, მუხ. 114) მე-19 მუხლში, რომელიც ზოგიერთი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას სამხედრო დანაშაულთა დებულების თანახმად აწესებს, შეტანილ იქნეს ცვლილებანი ტექსტისა და დებულების მუხლების ნომენკლატურისა სამხედრო დანაშაულთა ახალი დებულების რედაქციის მიხედვით.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-19 მუხლის დასამტკიცებლად დაწესებულ იქნეს პასუხისმგებლობა მილიციის მომუშავეთა მიერ საყარაულო ან საბადრაგო და აგრეთვე სამწყობრო სამსახურის წესების დარღვევისათვის თანახმად სამხედრო დანაშაულთა შესახებ 1927 წლის ივლისის 27-ს დამტკიცებული დებულების მე-15 და 16 მუხლისა.

3. აღნიშნულ ცვლილებათა მიხედვით მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის შესახებ 1926 წლის ოქტომბრის 25-ს დამტკიცებული დებულების მე-19 მუხლი. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 19. სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედებისათვის მილიციის მომუშავენი ექვემდებარებიან საერთო-სასამართლო დაწესებულებებს ხოლო ზოგიერთი სახის ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგებაში მიიცემიან სამხედრო დანაშაულთა დებულების თანახმად, მაგალითად: სამსახურის წესისამებრ მიცემული ბრძანების შეუსრულებლობისათვის—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-2 მუხლის თანახმად; იმ პირის მიმართ წინააღმდეგობის გაწევისათვის, რომელიც სამსახურით დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს,—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-3 მუხლის თანახმად; ამა თუ იმ პირის იძულებისათვის, რომ მან დაარღვიოს სამსახურით დაკისრებული მოვალეობა, როცა იგი ამ მოვალეობას ასრულებს,—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-4 მუხლის თანახმად, ხელქვეითის მიერ თავისი უფროსისა ან უფროსის მიერ თავისი ხელქვეითის შეურაცხოფისათვის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-5 მუხლის თანახმად; თვითნებობით წასვლისათვის 6 დღე და ღამეზე მეტი ხნით — სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-7 და მე-8 მუხლის თანახმად; სახმარებლად მიცემული სახაზინო იარაღისა, სასროლო მასალისა, ტანისამოსისა და საჭურველის გაფლანგვისა, განზრახ გაფუჭებისა და დაკარგვისათვის—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-14 მუხლის თანახმად და საყარაულო ან საბადრაგო და აგრეთვე სამწყობრო სამსახურის წესების დარღვევისათვის—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-15 და მე-16 მუხლის თანახმად".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მარტის 21.
თბილისი-სასახლე.

ტერეზა ნიკოლოზის ასული კახიანისა შვილებით საულ და ზაალით იუწყებიან, რომ ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლის და მამის

პროფ. ნიკოლოზ საულის ძე კახიანის

მოსაგონრად კვირას, 8 აპრილს, დღის 1 საათზე, დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 2011

გულმოკლულნი ბიძა ქუჩა შვილებით: დომნა, ნადეჟდა, ქეთო, დავით და ოთარ, ბიცოლები: ერმონია და ევა დეკანოსიძეები, სიძე ერმილე ილიას-ძე მაღრაძე პატარა ციალათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ივანე (ვანო) ვლადიმერის-ძე დეკანოსიძე

წასვენება ქ. თბილისიდან (სურამის ქ. № 3). ხარაგაულში დღეს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა სოფ. ღარისხევში, 10 აპრილს. 2013

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს დამცველთა კოლეგიის წევრებს და საზოგადოებას, რომ 31 მარტს ქ. სოხუმში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამცველთა კოლეგიის წევრი

ვლადიმერ არჩილის-ძე სალარიძე

დაკრძალვა ქ. სურამში, შაბათს, 7 აპრილს, დღის 3 საათზე. 2016

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა მარიამი (ფუცუ), ძმა ტარიელი, რძალი ელენე, ძმისწული თინა აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ, რომ კვირას 8 აპრილს გარდაცვალებულ

ალექსანდრა დავითის ასული ხოშტარიას

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 12 ნახ. საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 2008

კვირას, 8 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გარდაცვალებულ

მინადორა მაჭუტაძის ასული კანდელაკის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ალექსანდრე იოსების ძე კანდელაკი და შვილები შალვა კანდელაკი, ნორა ჩიჯავაძისა და ნატალია ბარათაშვილისა. 1972

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე გრიგოლი შვილებით: ალექსანდრე შალვა და ნინა, დედამთილი ნინო, მაზლი ლევანი ცოლით მარიამით, რძლები: ეკატერინე და ბარბარე, მული ანა ქმრით გიორგი მმაცაშვილით და დაი გარდაცვალებულისა თითიკო, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ კვირას 8 აპრილს, 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფას.

დარია ილიას ასულ მირინაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად 2009

ღრმად დამწუხრებული იაგორ ივანეს-ძე მეუღლით, ოლღა ზაქარიას ასულით, მიხეილ ივანეს-ძე და გრიშა ქიმერიძეები, დარია ივანეს ასული აბრამაშვილი შვილებით მარიამ, გიორგი და ელენეთი, მარიამ ნანეტაშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს რომ 5 აპრილს გარდაიცვალა პირველთა საყვარელი დედა, მეორეთა დიდედა და უკანასკნელის აღმზრდელი

ეკატერინე ალექსის ასული ქიმერიძისა

დაკრძალვა დღეს, 7 აპრილს, ვერის ახალ სასაფლაოზედ. გამოსვენება ნაშუადღევს 4 საათზე საკუთარ ბინიდან (პასტერის ქ. № 5). (ე)

სახელმწიფო ოპერა

შაბათს, 7 აპრილს, ლ. ი. ლიპკოვსკაიას მე-3 გასტროლი
ქ-ნი ბატერფლეი

კვირას, 8 აპრილს, ლ. ი. ლიპკოვსკაიას, ე. მ. ლეუკომის და ბ. ვ. შავროვის შეერთებული გასტროლი.
1. სევილიელი დალაქი (მთლიანად) როზინა—ლ. ი. ლიპკოვსკაია
2. კონცერტი—ლ. ი. ლიპკოვსკაია
3. საბალეტო დივერტისმენტი—ე. მ. ლიუკომ და ბ. ვ. შავროვი

ნ. 890

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი

სახკინმრეწვის თეატრები

ორიგინალური კომედია **სოროჩინის ბაზრობა** გოგოლის მოთხრობის მიხედვით
დადგმის მეორე კვირა **სიცოცხლე სიცოცხლისათვის**
მხატვრული შედევრი **განკიცხულნი** ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად
პირლ უაიტი ამერიკულ კინო-რომანში **ვუ-ფანგის საიდუმლოება** 1 და 2 სერია ერთად
მსოფლიო შედევრი **„სიცოცხლე სიცოცხლისათვის"**
გარი პილის მონაწილეობით **„უთაო მხედარი"** 5 და 6 სერია ერთად

0—6

სია გაზ. „კომუნისტის" იმ ხელისმომწერთა, რომლებიც არ იღებენ გაზეთს სწორი მისამართების უქონლობის გამო.

სახელი და გვარი	ხელის მომწერის მიერ ნაჩვენები მისამართი	
1. მამისათვალოვი	ნორაშენის 1 გასავალი 5	
2. ნემსაძე	კრასნოგორის ქუჩა № 47	
3. ლალაშვილი	არსენალის გზა-ტკეცილი № 2	
4. ჩხეიძე ნინო	კურსანტის შეს. № 4	
5. ცურგულაძე	პლეხანოვის გამზ. № 152	
6. ბარათაშვილი	კირკის ქუჩა № 57	
7. მარგიშვილი	ლენინის შეს. № 7	
8. სარქისოვი პ.	ნახოთის შეს. № 8	
9. ხაჩიძე ვასილი	საბჭოთა ქ. № 68	ფოსტის საშვალებით
10. ლომთაძე ნიკოლოზ	ყაზბეგის ქ. № 42	
11. ქსოვრელი მელქო	ყოფილი უბანის № 9	
12. მაისურაძე	ზედაუბნის ქუჩა № 345	
13. ეპიტაშვილი	გერცენის ქუჩა № 29.	

ზემოაღნიშნულ ხელისმომწერლებს ვთხოვთ აცნობონ გაზეთ „კომუნისტის" ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართი.

გაზეთ „კომუნისტის" ექსპედიცია.

მისამ.: კამოს (ყ. დიდი მთავრის) № 68, ტელ. 5—43.

2—1

მიმეოგრაფია
СТЕКЛОГРАФИЯ
სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ

ამით ცხადდება, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნებართვით (№ კ 47001, 7 მარტს 1928 წ.) ვამზადებ მიმეოგრაფისთვის საჭირო მაღალი ხარისხის **რეაქტივებს** რომლებიც დაეთმობათ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე მიმეოგრაფებს ოფიციალურ მოთხოვნის წარმოდგენისათანავე.

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.
რძისა და კეფირის ლაბორატორიაში
25—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
[illegible]
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.
25—1

ექიმი **ფ. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—

ექიმი **ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ქორესის ქ. კუთხე. 25—1

მედიც. დოქტორი **გ. ა. ახვერდოვი**
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელ. ეფ. № 1—90 25—11

ქ. ქუთაისი
ექ. **თ. ვ. აკოფაშვილი**
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, სალ. 4—6 საათ. 25—4

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელ. 11—78 25—0

ექიმი **ნ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—სალ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 1— 25 ტელ. 12—76

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 25—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
ბავშთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი
მიღებ ადილით 8—9 საათ., საღამოს 5—7 საათ., სომხის ბაზარი № 3.

დაკარგვა: მუშკოოპის წიგნაკი № 17037 პავლე ალიფეროვის სახელზე, ჩ. გ. 2010

დაკარგვა: საანგარიშო წიგნაკი № 2036 სერგო გძელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2005

დაკარგვა სამხედრო წიგნაკი № 30, ახ. ლ. კ. კ. საწევრო წიგნაკი № 47176 შალვა გიორგის-ძე ქარსელაძის სახელზე, ჩ. გ. 2015

დაკარგვა დაბადების მოწმობა მიღებული გორის მაზრის, გომის თემის მმაჩის განყოფილებიდან თამარა არტემის ასული თედორაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 891

დაკარგვა საბჭოთა მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი № 23480 ნიკოლოზ მიხეილის-ძე კალანდარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2007

დაკარგვა: სასოფლო-სამეურნეო ამხ. „გლეხი"-ს წესდება, ჩ. გ. 2006

დაკარგვა: მეტრიკები, ვიქტორ, თამარა, გიორგი, ლადიკო და მიტუშა ალავიძეების სახელზე ჩ. გ. 2008

დაკარგვა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 44, ფ. № 3 ნესტორ პეტრეს-ძე კოკაიას სახელზე, ჩ. გ. 2002

დაკარგვა: საანგარიშო წიგნაკი № 114 მიხეილ ალექსანდრეს-ძე მიქელაძის სახელზე, ჩ. გ. 1999

დაკარგვა ერთი აქცია ღირებული 50 მანეთად № 1093, შეძენილი 2 იანვარს 26 წ. ივანე ესტატეს-ძე გასიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2001

დაკარგვა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 22 გიგილა ივანეს-ძე ნატმელაძეს სახელზე ჩ. გ. 2000

დაკარგვა აქციების მობარების მოწმობა № 5, გაცემული კომუნალური ბანკის სენაკის განყოფილებიდან, ნაქალაქევის „რაი-ეპო"-ს სახელზე, ჩ. გ. 2004

დაკარგვა: 100 მანეთის თამასუქის ბლანკი პოლია ზაქარიას ასულის მშვიდობაძის ხელმოწერილი, ჩ. გ. 2012

დაკარგვა პირადობის უვადო მოწმობა № 7397, ძუკუ (ლავრენტი) ფადავას სახელზე, ჩ. გ. 2012

დაკარგვა. [illegible] მოწმობა № 543 პავლე [illegible]-ძე ოდიშარიას სახელზე, ჩ. [illegible] 2012

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64